


საქართველოს საბავშვო



1

საქართველოს საბავშვო
თბილისი - 1988



ჯვარი ვახისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით, IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვახისაო,
დაგვიცუე და დაგვიფარე ჩვენ.



ქრისტიანი



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღვთაება-კურთხევით



፳፻፲፱

ጳጳሳዊ ጥቅም

ጳጳሳዊ ጥቅም

ጳጳሳዊ ጥቅም

კალითა ჯუარისათა, ძრისტუ განმამლიერენ
დიდგაღ შენდა, რათა უბაღობღა ღვთისაგანსა შენ-
სა, მოწყალე:

დიდგაღ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდგაღ შენ-
და!

ელვარეპითა ღვთით-უშენიმერთა განაბრწყო-
ნვე ეკლესია, იესო ტკბილო, გევედრებით, შე-
გვიწყალენ ყოველნი ერთობით მორწმუნენი.

დიდგაღ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდგაღ!


ვარსკვლავითა განამბრწყინვეგებლო იესო ტკბი-
ლო, ვარსკვლავთაებრ მრავალ-ბრწყინველა სბ-
თნობეა მოგუმადლე, გევედრებით...

დიდგაღ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდგაღ!

ზეცისა და ქუმეანისანი განამსიარულენ აღ-
ღვთობითა შენითა, იესო ტკბილო, ზეცისა ზატი-
კობასა მხიარულებით ღირს-მყუმენ უფალო...

დიდგაღ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდგაღ შენ-
და!

იესო ტკბილო, სოფლისა ნათილო და სიტკბო-
ებაო, ღვინელეგულისა სულისა ჩემისა თუალნი
განანათილენ, მეო ღვთისაო, ღვთივ-ბრწყინვე-
ლითა ნათლითა შენითა იესო, მწყემსო ტკბილო,
მომიძიე, რათა გადიდგებღა ნათილსა მგას დაუღა-
მებელსა.



წმიდა ქალაქი მცხეთა. ჯვრის მონასტერი VI ს.



ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო მ კ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის, ი ლ ი ა II-ისა

**„მოკვდილთ ჩემდა ყოველნი გაშურალნი
და ტვრთ — მიიშენი, და მე განვიხილნო
თქუნე. აღიღეთ უღელნი ჩემი თქუნე ზედა,
რამეთუ მშალ ვარ და მღაბალ გულითა, და
პოვოთ განსუენებად სულთა თქუნეთად**

მათე 11,28—29.

„მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის,“ — ხშირად ამბობდა წმიდა იოანე ოქროპირი. მის მსგავსად ჩვენც მადლიერნი ვართ უფლისა ჩვენდამი, ჩვენი ხალხისა და ეკლესიისადმი მოწველებისათვის.

მადლობა ღმერთს, რომ მისი შეწევნით მშვიდობით ვხედებით ახალ წელს; მადლობა ღმერთს, განცდილი სიხარულისა და მწუხარებისათვის.

ვხარობდით და — უფალი იყო ჩვენთან, ვტიროდით და — ისევ უფალი გვანუგეშებდა. ვეცემოდით და გვაყენებდა, ვშორდებოდით და, არ გვტოვებდა. მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის.

აი, კიდევ ერთი წელიწადი წავიდა. კიდევ ერთხელ დავდექით მომავლის შეუცნობი სამყაროს წინაშე. საით მივიხედოთ, სად მოვიძიოთ იმედი და ხსნა?

„მოვედით ჩემდა“... — გვიხმობს მაცხოვარი.

მაგრამ „უფალო, რაა არს კაცი, რამეთუ შეპრაცხე იგი? კაცი ამოებასა მიემსგავსა და დღენი მისნი ვითარცა აჩრდილნი წარვლენ“ (ფს. 143,3—4), — ვიტყვით ჩვენც წმ. დავით მეფის მსგავსად.

თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი ღვთის ქმნილებაა. იგი თავის თავში მოიცავს და ასახავს, როგორც სულიერ, ისე მატერიალურ სამყაროს, აერთიანებს მთელ ეპოქებს და ამას ვერავითარი ძალა ვერ დაჩრდილავს, ვერ განაქარვებს. ადამიანი ეს არის სხეული, რომელიც ექვემდებარება მატერიის კანონებს, მაგრამ, ამავე დროს, ის არის სული და — ჯილდოებული თავისუფლებით, რწმენით, ღვთის, მოყვასისა და სამყაროსადმი სიყვარულით. სული-მოწოდებულია უკვდავებისათვის და იგი ამქვეყნიური ცხოვრებით უნდა მოვიპოვოთ.

ჩვენს ყოფას ხშირად განსაზღვრავს ჯანსაღია თუ არა ის საზოგადოება, სადაც შემო-

ქმედებითი წინსვლა წარსულთან კავშირის გაუწყვეტლად ხდება, სადაც ერთმანეთს ერწყმის კონსერვატიული და შემოქმედებითი ელემენტი.

საერთოდ, კონსერვატიზმში ბევრი რამაა სასარგებლო და აუცილებელი, მაგრამ დინამიკის, სწრაფის გარეშე მას მადლი ეკარგება. ანბანური ჭეშმარიტებაა: სადაც უძრობაა, იქ სიკვდილია მხოლოდ.

ახალგაზრდობა ქვეყნის გარდამქმნელი, განმაახლებელი ძალაა. ამიტომაც ამ საახალწლო ეპისტოლეს სწორედ მათ ვუძღვნი.

თანამედროვე ახალგაზრდობა დიდი შინაგანი დამოუკიდებლობითაა გამორჩეული. უფროსების მფარველობა და შრუნველობა მასში ხშირად უარყოფით დამოკიდებულებას, წინააღმდეგობის სურვილს ბადებს. თავისუფლებისადმი ლტოლვა მისი თვისებაა.

თუმცა თავისუფლება არ ნიშნავს თავაშვებულობას, ადვილახსნილობას. იგი ბრძოლაა ბოროტებასთან, სიცრუესთან... და უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან.

ნამდვილ თავისუფლებას მხოლოდ ჭეშმარიტება გვაზიარებს, ჭეშმარიტებას კი მხოლოდ თავისუფლებით მივუახლოვდებით.

„სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლენს თქვენ“ (იოანე 8,32), — გვასწავლის საღმრთო წერილი.

მაგრამ რაა არს ჭეშმარიტი?

„მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება (იოანე 14,6), — ბრძანებს მაცხოვარი.

კაცთა მოდგმის ისტორია წარმოუდგენელია იესო ქრისტეს გარეშე. იგია ზეციურის და მიწიერის გადაკვეთის ცენტრი. მისი მეოხებით იშლება განყოფის ზღვარი მეტაფიზიკურსა და ისტორიულს შორის, რადგან, როგორც ერთმა ფილოსოფოსმა, თქვა: „ღმერთმა ინება გადაამიანება“.

რწმენითა და ლოცვით უნდა მივადწიოთ უფალთან ურთიერთობას, უნდა შევძლოთ ღვთის მიერ თითოეული ჩვენგანისათვის ბოძებული მადლის მიღება და გამოვლენა. მართალია, ძნელია გზა თანამედროვეობიდან მართლმადიდებლობისაკენ და პირიქით, — როგორც მამა სერგი ბულგაკოვი ამბობს, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა განვვლოთ. აღამიანს სჭირდება არა ფილოსოფიური იდეა ღვთაებრივის შესახებ, არამედ ჭეშმარიტი, ცოცხალი რწმენა ღვთისა, ქრისტესი და ეკლესიისა.

პიროვნების რელიგიურობას ეკლესიური ხასიათი, სულიწმიდის ბეჭედი უნდა აჩნდეს. ახალგაზრდობა ნელა ხვდება ამას. თუმცა, ჯერ კიდევ მათი რელიგიური ცხოვრება მძაფრი განცდების გადატანისა და ძიების რთული გზით მიემართება. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს.

ბევრი მათგანი ათეისტური ოჯახიდან მოვიდა. მათ არ იციან ბიბლია, არ იცნობენ საღვთისმეტყველო ლიტურატურას, იდეალისტურ ფილოსოფიას... მიღებული ცოდნა კი არ აკმაყოფილებს.

ჩვენს გარეგნულად ხალისიან ახალგაზრდებში მე ვხედავ სევდას, რომელიც დროდადრო ნელდება, ხან კი ისევ ძლიერდება. ეს, ხშირად გაუცნობიერებელი გრძნობა, ჭმუნვაა სულისა. წუხილია სიწმიდის, სიმაღლის, ტრანსცენდენტურის ვერ მიწვდომისა გამო, ღვთისა და ჭეშმარიტების მონატრების გამო.

ახალგაზრდები ესწრაფვიან ცოდნის შექენას, რომ მისცენ საზრდო არა მარტო გონებას, არამედ სულსაც. ისინი არ კმაყოფილდებიან შეთავაზებულით, არ უფროსიან შეცდომებს და უშიშრად ეძებენ სიმართლეს. უნებურად გვახსენდება ნეტარი ავგუსტინეს ღვთის ძიების რთული გზა; მაგრამ გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის გონების ვარჯიში, აბსტრაქტული და ფილოსოფიური აზროვნება, ერთგვარად უცხო გახდა. მათ აღარ სურთ და არც შეუძლიათ ყურადღების გამახვილება ერთ საგანზე; სულ ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს ეძებენ, გაურბიან დიდტანიან წიგნებს, აკმაყოფილებს და აინტერესებს სანახაობითი აღქმა...

აქამდე, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლების მიზანი იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზადება, თუმცა ამას ნაკლებად ვაღწევდით. ახლა კი ისეთ დროს ვცხოვრობთ, რომ აღარ არის საკმარისი სპეციალისტების თუნდაც ძალიან კარგი ცოდნა. ის, ამავე დროს, სულიერად და ინტელექტუალურად განვითარებულიც უნდა იყოს. მინდა შევეხო მეცნიერებისადმი დამოკიდებულების საკითხსაც.

ღღეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ გაუსწრო კაცობრიობის სულიერ წინ-



სვლას. უკვე დაირღვა თანხმობა მათ შორის, ჩვენი სულიერი მოუშხადებლობის გამო მეცნიერება და ტექნიკა მოსპობით დაემუქრა ადამის მოდემას, საერთოდ სიცოცხლეს დედამიწაზე. ეს ბაღებს გაუცნობიერებელი დაპირისპირების გრძნობას.

მაინც რა არის მეცნიერება?

ფართო გაგებით, მეცნიერება ერთობლიობაა ყოველგვარი ცოდნისა, რომელსაც გონებრივი შემოწმება ან გაანგარიშება აქვს გავლილი და ცნობილ სისტემურ წესრიგშია მოყვანილი, დაწყებული თეოლოგიით, მეტაფიზიკით... ისტორიულად დადასტურებულია, რომ მეცნიერება თუმცა დამოუკიდებლად განაგრძობს განვითარებას, იგი ყოველთვის დასაბუთებულ გამაერთიანებელ საწყისს ამა თუ იმ ფილოსოფიური სისტემიდან იღებდა.

როდესაც მეცნიერებაზე ვსაუბრობთ, უნებურად ისმის კითხვა: ეწინააღმდეგება თუ არა ერთმანეთს მეცნიერება და რწმენა?

ბოლო ათწლეულების მანძილზე ბევრი ითქვა და დაიწერა ისეთი, რაც, ერთი შეხედვით, მათ დაპირისპირებას ამტკიცებს; ამტკიცებს იმასაც, თითქოს მეცნიერებით ყველაფრის ახსნა შეიძლება; მაგრამ განა შესაძლებელია მეცნიერების საშუალებით გადაწყდეს სულიერი პრობლემები, როცა იგი უძღურია, გაარკვიოს ფიზიკური წესრიგის ესა თუ ის მოვლენაც კი?

განა შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდეს მეცნიერება და რწმენა, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი ფიზიკურს, მეორე სულიერს. ისინი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

საერთოდ კი, მეცნიერება, რა თქმა უნდა, ღვთისაგანაა ნაკურთხი. იგი ადამიანის ინტელექტის მიღწევაა. მეცნიერების მონაპოვარი დალოცვილია და მხოლოდ პიროვნების სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობისათვის უნდა გამოიყენებოდეს და არა მის დასათრგუნად.

თანამედროვე პირობებში, როცა ხდება ფერისცვალება სოციალურ-ეთიკურ სფეროში, როცა ტრადიციული ღირებულების ნაცვლად ახალი მეცნიერულ-ტექნიკური სიახლენი იბადება, მთავარია, არ დავკარგოთ თვითონ პიროვნება, არ დავეუაროთ მას ის თვისებები, რაც გააჩნია ადამიანს, როგორც ღვთის ხატებას.

ღღეს საზოგადოების პროგრესზე ხშირად თითოეული მოსახლის კეთილდღეობის მიხედვით მსჯელობენ. სულიერი და ზნეობრივი კულტურის გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები კი მეორე პლანზე რჩება.

თუ გვსურს საზოგადოების წინსვლა, უნდა ვიზრუნოთ მისი კულტურის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს ადამიანში ადამიანურობის გამოვლენას, ადამიანის „გაადამიანებას“. იგი უნდა იყოს არა მარტო მატარებელი სიკეთისა და სილამაზისა, რომლითაც დაგვაჯილდოვა შემოქმედმა, არამედ ამ მარადიულ ღირებულებათა მთესველიც.

ჩვენ კარგა ხანს ვიმყოფებოდით კულტურაზე არასწორი წარმოდგენის ტყვეობაში, არც ესლა ვართ მისგან ბოლომდე გათავისუფლებულნი, მაგალითად, თუ კაცი განათლებულია, როგორც არ უნდა იყოს იგი საერთოდ, მას კულტურულად ვთვლით. ნუთუ შეიძლება კულტურული ვუწოდოთ ადამიანს, ვინც შეურაცხყოფს და ამცირებს სხვას? მას, ვინც სარგებლობს თანამდებობრივი მდგომარეობით და ავიწროებს ქვეშევრდომთ?

ნუთუ შეიძლება კულტურული ვუწოდოთ მათ, ვინც უპატრონოთა სახლში აბარებს მშობლებს, ანდა იმ მშობლებს, ღვთის ანაბარა რომ ტოვებენ შვილებს?

რომელ კულტურაზე შეიძლება საუბარი, როცა შვილებს ვზრდით, როგორც მომხმარებლებს და არა შექმნელებს?..

ახალგაზრდების ცხოვრება რომ სწორი გზით წარვმართოთ, გულის კულტურას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. გულის სიწმიდე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მადლია; „ყოველითა დაცვითა დაიცევ გული შენი“ (იგავნი 4,23), — გვაფრთხილებს უფალი, „ნეტარი იყუნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ სასუფეველი იხილონ“ (მათე 4,8), — ბრძანებს საღმრთო წერილი. ამიტომაც მხურვალედ შესთხოვს შემოქმედს დავით წინასწარმეტყველი: „გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გეამსა ჩემსა“ (ფს. 50,12).

ყველაზე მეტად ვნებები და განცდები თრგუნავს გულს, სიძულვილი, შური, მრისხანება, განდიდების მანია საშინელ წამებად კეცევა; მიწიერ სიამეთა და სიტკბობათა მსახურებაც საბოლოოდ ფიტავს და აუხეშებს მას.

ვნებები შედეგია საკუთარი თავის მოყვარების, კეთილდღეობის, განცხრომის სურვილისა, ჭეშმარიტების — ღვთის გზით სიარული კი ეგოიზმის დაძლევა, მის უარყოფას ნიშნავს. ამიტომაც გვაფრთხილებს იესო ქრისტე: „რომელსაც ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თვისი“. (მათე 16,24) თავის მოყვარებისაგან თავისუფალ გულზე ვნებები ძალას კარგავენ და ტოვებენ მას.

გულით წმიდა ქრისტიანი მარილია სოფლისა, ხოლო ცოდვით დაძმობული — ძალადაკარგული მარილი, რომელზეც მაცხოვარმა ბრძანა: „უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითამე დაიშარილოს?“ (მათე 5,13).

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი ცოდვა, თუნდაც მცირე, თვალში მოხვედრილი მტერის მსგავსად ბინდავს, აძნელებს ჩვენი სულიერი გულის მხედველობას და გვაშორებს უფალს, რადგან ეს ღვთისაგან განდგომაა, მისი ნების უარყოფაა.

თუ ამ ქვეყნად საცდურს განვერიდებით, უფალი ღირსგვეყოფს, ჩვენს გულში იმეფოს, რა თქმა უნდა, უბრძოლველად ეს არ მიიღწევა, თუ წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი აღიარებს: „ჩემს გონებაში ორი გონია: ერთი კეთილია და იგი შედეგია ყოველივე მშვენიერისა, მეორე კი ღაცემულია და მისდევს ყოველივე ცუდს; ერთი გონება სინათლისაკენ ილტვის და სურს, თაყვანი სცეს ქრისტეს, ხოლო მეორე, ხორცის და სისხლის გონება, ჰქრის ბნელსა შინა და შხად არის, ტყვე იქმნას ბელიარისა“ (11,305), მაშინ ჩვენ რაღა ვთქვით?

მაგრამ ის, რაც შეუძლებელია კაცთაგან, ღვთის მეოხებით შესაძლებელი ხდება. „ნეტარია, ვინც მუდამ ცდილობს, სუფთა გული განამზადოს მადლისათვის, რომ მოვიდეს იგი და შეეფრქვიოს კეთილ საქმეთა სურნელება და სულის სიწრფოება და დაივანოს მადლმა მასში უკუნისამდე“ (წმ. მაკარი ეგვიპტელი 25,316, გვ. 14). ასეთ ადამიანს არ დატოვებს უფალი.

დაითმინეთ ღვთისთვის და იგი მოგაგებთ ღიღებულს. გაიხსენეთ თუნდაც სოლომონ ბრძენი, რომელმაც წრფელი გულით შესთხოვა შემოქმედს: „მიანიჭე შენს მორჩილს გამგებელი გული, რათა განაგოს შენი ერი, რომ სიკეთე გაარჩიოს ბოროტებისაგან.

და უთხრა მას ღმერთმა: „იმის გამო, რომ ისურვე ეს და არ მოითხოვე შენთვის ხანგრძლივი სიცოცხლე, არ მოითხოვე სიმდიდრე, არ მოითხოვე შენი მტრების სული, არამედ გონიერება მოითხოვე სამართლის განსაკითხავად, აჰა, მომინიჭებია შენთვის ბრძენი და გონიერი გული, ისე, რომ შენი მსგავსი არც შენამდე იქნებოდა სადმე და არც შენს შემდეგ გამოჩნდება შენი მსგავსი, რაც არ გითხოვია, იმასაც მოგცემ: სიმდიდრესაც, დიდებასაც, ასე რომ, ვიდრე ცოცხალი ხარ, არავინ იქნება მეფეთა შორის შენი მსგავსი“ (მეფეთა 3; 9,11—13).

ჩვენ რაღა შევთხოვთ უფალს ამ ახალ წელს?

ბედნიერება? მაგრამ რა არის ბედნიერება? არსებობს კი იგი საერთოდ?

ყველა მიწიერი სიხარული ნაკლულევანია; მას მუდმივად თან ახლავს სიხარულის განქარების წინათგრძობისეული სევდა და, მართლაც, ბედნიერება ხშირად გვტოვებს მოულოდნელად, ზოგჯერ კი ჩვენ თვითონ ვშორდებით მას.

ეკლესიასტე გვარიგებს: „ღიღი საქმენი ჩავიდინე, ავაგე სახლნი, ჩავყარე ვაზი, გავიშენე ჩემთვის ბაღები და წალკოტები; დავრგე ხეხილი ყოველგვარი, წყალსატევები მოვაწყვე, რომ მოერწყოთ ნორჩი ტევრები. შევიძინე მონა-მხევალნი, და მრავლად მესხდნენ სახლში სახლელუნი; მყავდა ცხვარ-ძროხა იმათზე მეტი, ვისაც ჩემს უწინ უმეფია იერუსალიმს. დავა-

გროვე ოქრო და ვერცხლი, მეფეთა განძი ყოველი მხრისა; გავიჩინე მგალობელნი, კაცნი და ქალნი, და სიამენი ხორციელნი, ულამაზეს ხარჭთა დასი.

განვიდიდე და გაემდიდრდი უმეტეს მათსა, ვინც ჩემს წინარე არსებულა იერუსალიმს; და სიბრძნე ჩემი მევე მეყუდნა. არ უარყვავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, არ დავიოკე გული სიხარულისაგან, რადგან ხარობდა გული ჩემი ნაღვაწით. ეს ყოველივე იყო ხვედრი ჩემი შრომისა. მერე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ და ყოველ საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, მივხვდი ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარის ნაბერი, და რომ არ არის სარგებელი ამ მზისქვეშეთში“ (ეკლესიასტე 2,4—11).

მართლაც, ადამიანის გულს მიწიერი ვერავითარი კეთილდღეობა ვერ დააკმაყოფილებს. რაც უფრო დიდია სიმიდრე, დიდება, პატივი, განცხრომა, მით უფრო ძლიერდება შინაგანი ტანჯვა და ისადგურებს სულიერი სიცარიელე.

ბედნიერებასთან ზიარების წყურვილი თითოეული ჩვენგანის სულშია ჩატანებული და ეს ჩვენი შეუვალი უფლებაა. იგი საკუთარ გულში უნდა ვეძებოთ და თუ იქ ვერ ვიპოვით, სხვაგან ვერსად ვნახავთ. თუ გული სავსეა რწმენით, სასოებით, სიყვარულით, თუ იქ ადგილი არა აქვს შურსა და მტრობას, თუ გულს შეუძლია წყენის პატიება და ეგოიზმის ნაჭუჭში არ ჩაიკეტება, თუ მას სხვათა ტკივილის გაზიარება და მათთვის დახმარების ხელის გაწვდენა შეუძლია, შეიმოსება ჭეშმარიტი ბედნიერებით, რომელსაც დრო ვერ განაქარვებს. ასეთი სულიწმინდის ტაძრად იქცევა. ყოველივე და, მით უმეტეს, ყოველი წელი გონიერი კაცისთვის დიდი გაკვეთილია, იგი განვლილი დროის მცირე მონაკვეთსაც კი აახლოებს მარადიულობის კარიბჭეს; თან. ამან უნდა დაგვაფიქროს.

სიკვდილი მიმოვიდოდა ჩვენს შორის; ჩვენ კი არ შეგვეხო, ალბათ, ჯერ კიდევ არა ვართ იმქვეყნიური ცხოვრებისთვის მომზადებულნი, მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს დღე ყველასათვის დადგება და რომ მუდამ მზად ვიყოთ, უნდა ვეცადოთ, ყოველი დღე განვვლოთ ისე, თითქოს იგი იყოს უკანასკნელი. მაშინ ბოროტი ვერ გვძლევს, მაშინ ცდუნებანი ადვილად ვერ გვიმონებენ, მაშინ უფრო მეტს ვიფიქრებთ ჭეშმარიტ ბედნიერებაზე, მარადიულ ღირებულებებზე.

ღვთის მოწყალების იმედით აღვსილი, ყველას გულითადად გილოცავთ კურთხეულ ახალ წელს.

დაე, იყოს იგი მშვიდობიანი და ხალხთა და სახელმწიფოთა შორის სამართლიანი ურთიერთობის დამამკვიდრებელი.

დაე, აკურთხოს ღმერთმა და განამტკიცოს ყოველი ოჯახი, თითოეული თქვენგანი. განსაკუთრებით მინდა დავლოცო სნეულნი და მწუხარებასა შინა მყოფნი, მოგმადლოთ თქვენ ყოველისშემძლე უფალმა შემწეობა.

განგებამ ახალი წმიდანი მოგვივლინა, მეოხი ჩვენი და ჩვენზედ მლოცველი წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე); მისი მაღლი გვარაუდეთ ყველას!

ილია მართლისა და ზეციური საქართველოს სხვა მკვიდრთა ლოცვით ღმერთმა გააკურთხოთ.

მაშ, ვიცხოვროთ რწმენითა და წრფელი გულით, სიყვარულითა და თანხმობით და ვიქნებით უძლეველნი.

მინდა ეს საახალწლო ეპისტოლე დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით დავამთავრო: დაე, ჩვენი ვაჟები ნერგებივით იზრდებოდნენ მათს სიჭაბუკეში, ჩვენი ასულნი, ვითარცა ოსტატურად თლილი სვეტები სასახლისა. ჩვენი ბედლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით, ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს სამოვრებზე, ჩვენი ხარები დატვირთულნი იყვნენ, არც ზარალი და არც დანაკლისი და არც გოდება ჩვენს ქუჩებში. ნეტარ არს ხალხი, რომელისთვისაც ასეა, ნეტარ არს ხალხი, რომლისთვისაც უფალი ღმერთია მისი“ (ფსალ. 143,12—15).

„შეიყვარეთ უფალი ყოველთა ღირსთა მისთა“ (ფსალ. 30,24);

იყავით ღვთისაგან კურთხეულნი, რათა გიხაროდეთ აწ და მარადის.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ი ლ ი ა II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი

მ ა კ ი ს ტ ო ლ ე ნ ი, ო ნ ო ბ ე ბ ი, ღ ე კ ე შ ე ბ ი

ს რ უ ლ ი ა ლ ს ა ქ ა რ თ ე ვ ე ლ ო ს კ ა თ ო ლ ი კ ო ს - კ ა ტ რ ი ა რ კ ს, ღ რ მ ა ლ კ ა ტ ი ვ ი ც ე მ უ ლ ო ლ ი ა II - ს

ბ ა ტ ო ნ ო ო ლ ი ა!

საქართველოს კულტურის ფონდის გამგეობა და პრეზიდიუმი ღრმა პატივისცემით მოგესალმება თქვენ და მხურვალე მადლობას მოგახსენებთ იმის გამო, რომ გულუხვად გაიღეთ მოწველება და საქართველოს კულტურის ფონდში 20.000 მანეთი გადმორიცხეთ.

თქვენი ამგვარი ზრუნვა საქართველოს წარსულ, დღევანდელ და მომავალ კულტურაზე ნათლად მოწმობს, რომ თქვენ, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უგანათლებულეს ადამიანს და ქართველი ხალხის ხნეობრივ განწმედაზე დაუღალავ მზრუნველს, ღრმად გაქვთ გათვალისწინებული მშობლიური ეროვნული კულტურის დაცვის, გამდიდრებისა და შემდგომი განვითარების რთული პრობლემები, რომელთა კონკრეტული გადაწყვეტა სწორედ საქარველოს კულტურის ფონდს ევალება.

ჯვლაჲ მოგახსენებთ დიდ მადლობას მთელი ჩვენი ორგანიზაციის სახელით. პატივისცემით, პრეზიდიუმის დავალებით

პროფესორი **თინათინ ბუაჩიძე**

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე.

უ ნ ე ბ ა რ კ ს ო,

თესალონიკეში დაბრუნებისთანავე ვჩქარობ წერილის მოწერას, რათა ერთხელ კიდევ გადმოგცეთ ჩემი გულთბილი მადლობა მასპინძლობისათვის.

საუკეთესო შთაბეჭდილებებით ვართ აღვსილნი საქართველოზე, მის დიდებულ და მშვენიერ ხალხზე, კვლესიაზე.

რაც ვნახეთ და რასაც ახლოდან გავეცანით, ჯვლაჲფერმა მოლოდინს გადააჭარბა. ჯვლაზე მეტად კი იმ სიყვარულმა და სითბომ აგვაღელვებ, რომლითაც შეგვმოსეთ.

განსაკუთრებული და დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის დღე ილია ჭავჭავაძის წმიდანად შერაცხვისა.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი მღაბალი ლოცვები. ღმერთმა მოგანიჭოთ ძალა და გააძლიეროთ თქვენს საქმიანობაში.

შევთხოვ ღმერთს, ერთხელ კიდევ მომანიჭოს საქართველოში ჩამოსვლის ბედნიერება.

უღრმესი პატივისცემით თეუპოლეოსის ეპისკოპოსი

პ ა ნ ტ ე ლ ე ი მ ო ნ ი

მსოფლიოს საპატრიარქოს მღვდელმთავარი.

კ ი რ ი ო ნ II

კ ა თ ო ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

ს რ უ ლ ი ა ლ

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ს ა

80 წელი გარდაცვალებიდან



1918 წლის 26 თუ 27 ივნისს, გამთენიის ხანს, მარტო-ყოფის მონასტერში დიდი ტრაგედია დატრიალდა... მოკლეს საქართველოს ავტოკეფალიადაღმკურნალო ეკლესიის პირველი კათოლიკოსი კირიონ II. კიდევ ერთხელ, მოწამებრივი სისხლით შეიღება ქართული ეკლესია. და არა მარტო ქართული ეკლესია. ეს დიდი ტრაგედია, რომელმაც იმ არეულ დროში საფრანგეთში შესძრა თანამედროვეთა სული და გული, ჩვენი მრავალნატიანე ქვეყნის შეილებმა, მისმა ჭირისუფლებმა თავისი მნიშვნელობით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სიმძაღლეზე დააყენეს და მღუღარებით დაიტირეს. მაშინდელ მთავრობას კი (მენშევიკებისას) ხალხის ამდელვარების შიშით, არც უცდია საქმის გამოძიება. არ უძებნია მისი არც ფიზიკური და არც

მორალური მკვლელები. ისინი კი არსებობდნენ. და ხალხში განუწყვეტელი მიტქმა-მოტქმა ატყდა. ასე ჩაიარა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის დაღუპვამ და ახლა მხოლოდ თანამედროვეთა უაღრესად ძუნწად მოღწეულ მოგონებებში, მაშინდელი პრესის ფურცლებზე დარჩენილ გულისტკივილსა თუ ცრემლიან სტრიქონებში ვკითხულობთ ამ ამაზრზეც ამბავს.

ერთი მათგანი, ვინც იმ დღეებში (და შემდეგაც) თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა და კირიონს მისი დაკრძალვის დღეს ღირსეული სიტყვა უთხრა, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე ყოფილა. ეს სიტყვა ჩვენს ჟურნალშიც გამოქვეყნდა (იხ. „ჯვარი ვახისა“ № 1. 1985.) ამჯერად კვლავ ვბეჭდავთ მას.

ს ი ტ ვ ა წ ა რ მ ო თ მ შ უ ლ ი ს ი ო ნ ი ს ტ ა ძ ა რ შ ი კ ა თ ო ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

კირიონ მეორის ანდერძის აგებაზე,
კვირას, 17 ივლისს, 1918 წელს

შვიდობით თქვენო უწმიდესობაჲ!

ეს ერთი კვირაა, შენი ანჩისხატი, მთელ მორწმუნე თბილისის ქართველობასთან ერთად, გულდათუთქული დატყვევებულა ტყვეობით განგმირულ თვისს მამათმთავარს. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხიდან მოზღვავებულა მთელი საქართველო, — შენი სამწყსო, — რათა მიგაცილოს საუკუნო განსასვენებელ საფანემდე. დაობლებული შენი სამწყსო, ისევ დაქვრივებული ივერიის ეკლესია დღეს საქვეყნოდ მოსთქვამს და ჰგოდებს თვის ვაებას, თვისს უბედურებასა, თვისს ეგზომ დაცოდვილებას, სამშობლო ქვეყნის გარეშეთაგან გაჭირვებას: ეს

შენი საიდუმლოებით მოცული კუბოც მძიმე ლოდივით ზედ დაგვერთო. ასეთ განსაცდელს ადგილი აღარ უნდა ჰქონებოდეს ჩვენში.

არ ვიცი, შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუგებრობის თუ უმადურობის ნაყოფია. ზოგჯერ მტერი ვერ უზამს ადამიანს იმას, რასაც თვით ადამიანი თავის თავსა, — სწორედ ჩვენზეა ეს ნათქვამი. სხვებმა, გარეშეებმა, ჩვენმა მტრებმა და ორგულებმაც კი შეიგნეს შენი დიდი პიროვნების ღირსება, ჩვენ კი ვერა! სხვებმა, უცხოელებმა, დააფასეს შენი გონებრივი და ზნეობრივი ღვაწლი სამშობლოსათვის, ჩვენ კი ვერა...

ვერ გამოვიყენებ, რას ვთხოვლობდით კიდევ შენგან?! სხვა ქვეყანაში ასეთ ნაბაგდარ, დამაშვრალ მსცოვან მოღვაწეს დაასვენებენ ხოლმე, სიბრძნის უამს დაუტკობენ, განვლილ ტანჯვა-წაპყობას დაუაშებენ და თუ კიდევ სამოღვაწედ მოიწვევენ, მაშინ თავს ევლებიან მას, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მისს სიბრძნე — გამოცდილებით ისევე ასარგებლონ ქვეყანა. ჩვენ ასე ვერ მოგვექცით. ჩვენ მხოლოდ უფლებო კათოლიკოს — პატრიარქად ამოვირჩიეთ! თითქოს ჩვენი ეკლესიის ხომალდის საჭეთმკურთხელად მოვიწოდეთ, ნამდვილად კი ეს საჭე ხელიდგან გამოგტაცეთ!

ქედმაღლობა, გამძვინვარებული შური, საარაკო თავხედობა და გულფიცხობა ვაწარმოეთ თვისს მამათმთავრის ვარშემო... უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ჩაუქმწარეთ მას და ახალ საქართველოში ეკლესიასაც ძირი გამოეუთხარეთ, არსებობის ნიადაგი გამოგაცალეთ...

განა მხოლოდ კირიონ კათოლიკოსს მოვექვეყნეთ ასე? უფრო მეტის სისასტიკით გავისტუმრეთ საიქიოს დიდი ილია! წიწაპურისა და მარტყოფის ტრაგედია საქართველოს დაუძინებელი მტრების მიერ ჩვენში დათესილმა ერთმანეთის ჯგუფურმა გადაკიდებამ-კინკლაობამ შეაძაბა. მტრებმა დაგვსაქსეს, ერთმანეთის მტრებად გადაგვაქციეს, საკუთარ ოჯახში შინაური მტრები და ჯამუშები გაგვიჩინეს და ეს თავზარდამცემი უბედურება თვით ქართველების ხელს გააკეთებინეს... რაღა გვეთქმის ამ შავბნელ ბოროტებაზე? — შური, ერთმანეთის მძულვარება და გაუტანლობა დაესადგურა ჩვენ შორის და ეს გვათხრევინებს ჩვენ სამარეს ჩვენივე ხელით... როდესაც ილიას და კირიონს ყოყინას სცემდნენ უგუნურნი, ჩვენში არ აღმოჩნდა ვინმე, რომ დამაშვრალთათვის ნუგეში ეცაბთ, მათთვის მოეგერიებინათ უპასუხისმგებლო კალმოსანნი. პირიქით, უფრო ასისიანებდნენ მათ...

ილიას და კირიონს მამულიშვილობა, უანგარობა და საშობლოსათვის თავგანწირვა როდი ესწავლებოდათ, საყვარელო!.. მაგრამ დღეს რაღა გვეთქმის... დღეს ისევე საქვეწმოდ სირცხვილში ჩავცვივდით, ქართველნი... ეტყობა ისტორიის გაკვეთილები ისევე ფუჭია ჩვენთვის, ჯერჯერობით მაინც... მაგრამ ღრმად გვწამს საქართველოს ჭირისუფლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ანდერძი: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

დიახ, „გზა უვალი“, კირიონისაგან „თელილი“, უსათუოდ დარჩება. ამ გზაზე უკვე დაგვაყენა განსვენებულმა. პირველმა მან შეაშუქა ჩვენს საზოგადოებაში ჩვენი ეკლესიის განთავისუფლების აზრი. შეაშუქა არა 1905, ან 1917 წლებში, როდესაც ქვანიც კი დაღალებდნენ, არამედ ეფრო ადრე, როდესაც სუსხიანი ცარიზმისაგან ყოველი

ეს სიტყვა კომენტარს აღარ საჭიროებს. მასში ისე მძაფრად, ისე მტკივნეულად, ისე ამაღლებულად და ღირსეულადაა გამოხატული მთელი მაშინდელი ჭეშმარიტი ქართველი საზოგადოების მწუხარება, რომ ძალაუნებურად,

აზრი და იდეა თავისუფლებაზე იყო ჩვენში გაყინულ-გათოშვილი; კირიონი კი მაშინაც სთესდა ჩვენში თესლსა კეთილსა. ის შეესწრო კიდევ ამ თესლისაგან ნაყოფის გამოღებასა, მაგრამ თვით კი ვეღარ იცაბა თვისი ნაშუქევი. ასეთი ყოფილა ხვედრი ქართველ საზოგადო მოღვაწეებისა და ვერც კირიონი ასცდა თვისს ხვედრს...

არ შემიძლია არ გამცნოთ, საყვარელო, კირიონისაგან ერთ საეკლესიო წრეში უკანასკნელად წარმოთქმული აზრი ჩვენს ძალთა ურთიერთ განწობილებაზე: „ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი საშობლოს, — ბრძანა განსვენებულმა, — შორიდგან თვალყურს გადავხედვინებდით, ვფიქრობდი, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ საქმარისად შეიგენით საქვეწმოდ მოვალეობა, მაგრამ როგორც ეხლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულხართ და დაქსაქსულხართ. თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხვაფრივ თქვენს გამობრუნება შეუძლებელია“. ასე ნაღვლიანად დაასრულა მან თვისი მწვემმთავრული შილიება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ „ხელახლა დავიბადებით“, როგორც განსვენებულმა გვამცნო. — ახალ საქართველოში, მხოლოდ თავისუფალ საქართველოში აღორძინდება, ამაღლდება, გაფაქიზდება ძალთა განწობილება, მხოლოდ განახლებულ მოქალაქეობაში შევძლებთ უკუ ვაგდოთ აწ დამშობილ მონობისაგან ნაანდერძევი გახრწნილი ხნე-ჩვეულებანი და შეერთებულ ძალდონით საშობლოს ვეშახუროთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწ თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ეკლესია შესძლებს აღუზარდოს საშობლოს ღირსეული მოქალაქენი მტკიცე ქრისტიანულ ზნეობის ნიადაგზე. უნდა შევიგნოთ საყვარელო, რომ მხოლოდ წმიდა სახარების მცნებებზე აღზრდილი ერია უკვდავი და უძლეველი.

ამ რწმენით მიგაცილებთ, ტანჯულო მამათმთავარო, საფლავის პირზე; აქ ჭაღარა სიონის ტაძარში მივაბარებთ შენს ნეშტს, შობელ მიწას. აქ დაისვენე და განისვენე დამაშვრალი! აქ მაინც აღარ იქნები „განმარტოებული“, აქ მუდამ სინანულის ცრემლებს დაავაფრქვევთ შენს წმიდა საფლავს. შენც, უწმიდესო მუუფო, აქედგან თვალყური გვაღვენე, გავგამხნევე, არ დაგვივიწყო, არ დაგვწყველო, არ შეგვაჩვენო! პირიქით, შენებურად, დიდსულოვნად შეგვედრე ჩვენი ეგზოპო დაცოდელიება სიონის ღვთის შობელს, წმ. ნინოს და ჩვენს ნათლით მოსილ წინაპართ...

შეგცოდეთ, — შეგვიწოდეთ და გვაბატე, ჩვენო დაუვიწყარო მამათმთავარო!

ღმერთი იყოს შენი მოწყალე. ამინ!

ღვთაობა ნ ი კ ი ტ ა მ ა ლ ა კ ვ ა კ ი

რად, ჩვენც იმავე ტკივილით გვავესებს და ერთხელ კიდევ ჩავვაფიქრებს, გვახედებს ჩვენი სიბნელით მოცული წარსულის (თუნდაც არც ისე შორეულის), თვალჩაუწვდენ უფსკრულში, გვიღვიძებს დაუოკებელ სურვილს,

მოკვებნით, მოვიძიოთ, უკეთ გავიგოთ, გავიცნოთ ამ დი-
ლი პიროვნების ცხოვრება, მისი დრო... რატომ ვიცით
ჩვენ მის შესახებ ასე ცოტა, თითქმის არაფერი? რატომ
მიეცა იგი „სიღრმესა დავიწყებისასა“. და კიდევ, ამ ტრა-
გედიაში, თუნდაც რამდენიმე წლით ადრე, რატომ თქვა
მოხუცმა აკაკი წერეთელმა, დიდმა აკაკიმ კირიონის რუ-
სეთში გადასახლებისა და მისთვის სასულიერო წოდების
ჩამორთმევის გამო, „კირიონის ამბავმა ლახვარი გამი-
ყარა!.. რაც იმედები მქონდა, სულ გამიქარწყლა, მაგრამ
ახლა ამაზე გლოვის დრო აღარ არის!.. თავს არ დავზო-
გავ. წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოც-
ხალი აღარ დავბრუნდებიო“. რატომ შესძრა მისმა სიკე-
დილმა არა მარტო საქართველო, არამედ თვით რუსეთიც
და საზღვარგარეთის ქვეყნები?..

მოვიყვანთ ერთ წერილს, რომელიც კათოლიკოს—პა-
ტრიარქ კირიონთან გამოთხოვების ჟამს ქართულ ენაზე
წარმოუთქვამს პოლონელ მოქალაქეს — ვალკომირსკის:

„... სულ ნახევარი წელიწადია, რაც ასი წლის ობლო-
ბის შემდეგ, დიდი ზეიმი დააგვირგვინე შენი სულიერი
მამა და ესლა ასე მოულოდნელად, მიწას აბარებ მის
ნუშტს! სხვა რომელ ხალხს შეუძლია უფრო მწვავედ
იგრძნოს შენი დანაკლისი, ვიდრე იმას, რომლის ისტო-
რია ასე ჰგავს შენსას; ვისი გამოჩენილი პოლიტიკური და
სასულიერო მოღვაწეი განიცდიდნენ იმასვე, რასაც შენი
წინამძღვრები... პოლონელებსა და ქართველებს ყოველ-
თვის ესმოდათ ერთმანეთის გულისპასუხი... ყოველთვის
უწვდიდნენ ერთმანეთს ხელს ჭირსა და ღზინში, რის
მოწმენი არა ერთხელ ცოფილვართ ჩვენ აქ — თბილის-
შიაც, საქართველოს დედაქალაქში.

კავკასიის პოლონელთა საბჭომ დაგვაგაღა ჩემს აშმა-
ნაგსა და მე, დავსწრებოდით ქართველთა კათოლიკოსის
დაკრძალვას და აქაური პოლონელების ახალშენის სა-
ხელით გამოგვეცხადებინა გულწრფელი თანაგრძნობა
ქართველი ერისათვის: გადაგვეცა მისთვის, რომ პოლო-
ნელები თავსებით იზიარებენ ქართველთა მწუხარებას და
იმავ დროს, მოუწოდებენ მათ სულიერ სიმტკიცისაკენ.

საუკუნო ნათელი დაედგას საქართველოს ამ ერთგულ
შვილს, ქართული ეკლესიის თავადს. განისვენოს მისმა
სულმა, სადაც მართალნი განისვენებენ...

ხოლო ჩვენ ნუ მივეცემით სასოწარკვეთილებას, იმი-
ტომ, რომ ცოცხალია ქართველი ერი, რომელიც მრავ-
ლად წარმოშობს ისეთ ძეთ, რომელნიც უზრუნველყო-
ფენ ქართველი ხალხის საუკეთესო, ისტორიულ მომა-
ვალს“. („საქმე 253, ფ. I).

კირიონის ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი შრო-

მისა და დეაწლის ამსახველი მასალები, პირადი წერილე-
ბი, ძირითადად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტსა, სა-
ხელმწიფო არქივში, საქართველოს ლიტერატურის მუზე-
უმსა და საქართველოს საპატრიარქოს ფონდებში ინახე-
ბა.

სახელმწიფო და საპატრიარქოს არქივებში კირიონის
ნაშრომების სია კათოლიკოს—პატრიარქ ილია II-ის
თხოვნით შეუდგენია ისტორიკოს ვახტანგ გურგენიძეს.
ავტორი გვამცნობს: „ჩვენ მიერ შედგენილი ბიბლიოგრა-
ფია არასრულია. იგი ორ ნაწილადაა წარმოდგენილი.
პირველი მოიცავს ცალკე წიგნებად გამოცემულ ნაშრო-
მებს, მეორე — ჟურნალ—გაზეთებში, უმეტესად, სხვადა-
სხვა ფსევდონიმებით, გამოქვეყნებულ წერილებსო. კა-
თოლიკოს—პატრიარქ კირიონის ნაშრომებიდან ბევრი,
თითქმის უმეტესი, დაკარგულია (ეს ხომ ჩვეულებრივი
ბედუკუდმართობაა ჩვენი), მაგრამ რაც არის, მაინც გასა-
ოცრად მნიშვნელოვანია. არსებობს ვ. გურგენიძის ნაშ-
რომიც „კირიონ II“, რომელიც დაბეჭდილია 1981 წლის
№5 საღვთისმეტყველო კრებულში“.

ამავე ავტორმა გაზეთ „წიგნის სამყაროშიც“ (1985. 25
სექტემბერი) დაბეჭდა მშვენიერი წერილი კირიონ II-ის
ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, სათაურით „მო-
ქალაქე და მამულიშვილი“ (ჩვენც დავესხესეთ ცნობებს
ამ წერილიდან). როგორც ჩანს, უკვე დადგა დრო, რომ არა
მხოლოდ ეკლესიამ, საერთოდ, მთელმა საქართველომ სა-
თანადო უფლებებში აღადგინოს და დაიბრუნოს თავისი
დიდი შვილი.

ამ მასალების პარალელურად, არსებობს კიდევ პი-
რადი ბარათები. მიწერილი კირიონისადმი. მოვიტანთ
ერთს... ესაა ხარკოვში მყოფ ქართველ სტუდენტთა მიერ
1908 წელს საქართველოდან გასახლებული კირიონისად-
მი გაგზავნილი წერილი:

„უფალო კირიონ! თქვენ ხართ სამშობლოს უსაზღვრო
სიყვარულით აღგზნებული. ყოველი თქვენი მოქმედება
აღბეჭდილია ხალხისადმი განუზომელ შრუნველობით.
თქვენი განუშორებელი ფიქრია საყვარელი სამშობლოს
კეთილდღეობა, რომლისთვისაც არ ზოგავთ ძალ—ღონეს,
მზად ხართ შესწიროთ თვით სიცოცხლეც კი. სამშობლოს
ტკივილი თქვენ ტკივილად გაქვთ მიჩნეული, მისი ნეტა-
რება თქვენ ნეტარებად. ყოველ თქვენ მოქმედებაში, სურ-
ვილში თუ ლტოლვილებაში მუდამ ის გამოსტვივის, თუ
რა წვლილი შეიტანოთ ჩაგრულთა სანუგეშებად და რა
იღონით დამწაგვრელთა დასამშობად. ხალხისადმი აშმა-
ირ განუსაზღვრელ სიყვარულით და შრუნველობით აღ-



ჭურვილი დაშორდით ამქვეყნიურ ყოველნაირ საბოლოო-
ბას და აღიკვეცეთ ბერად... მიტომ, რომ უფრო მეტი დრო
გქონოდათ ნაყოფიერ მუშაობისათვის... როდესაც რევო-
ლუციამ იფეთქა და ჩაგრულთა ხმა დაუმაღლაჲდ შეიქმნა,
მაშინ თქვენ უადრესად აღიმაღლეთ ხმა და თავისუფლე-
ბის მოძრაობისაკენ სიხარულით გაეშურეთ, რადგან მას-
ში ხედავდით საერთოდ, ჩაგრულ ხალხთა აღდგენას და,
კერძოდ, თქვენი ქვეყნის მიძიმე მონობის უღლიდან გან-
თავისუფლებას, მაგრამ რა ჩანელდა რევოლუცია, თქვენ,
როგორც ერთი საუკეთესო მფარველი ქართველი ერისა,
გახდით მსხვერპლი გამძიმეზარებული რეაქციისა.

...გაძლეეთ პირობას, რომ თქვენი მიწა-წყლის ახალ-
გაზრდა შეიღობა, თქვენი უმცროსი ძმები, თქვენთან
ერთად გაილაშქრებენ საერთო მტერზე და მტრის შემუ-
სვრით ააყვავებენ გათელილ კუთხეს, დაჩაგრულ ერს; ვი-
ნატროთ, რომ მალე, სულ მალე, მტერი შემუსვრილიყოს,
ჩაგრული ერი განთავისუფლებულიყოს და ჩვენ ქართულ
ეკლესიას ავტოკეფალია მინიჭებოდეს. თქვენ კი მის პირ-
ველ მმართველ კათალიკოსად გვენახოთ“ (საქართვე-
ლოს ცსპ. ფონდი 1458. საქ. 153. ფ. I.).

კირიონ II-ის (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვი-
ლი) ცხოვრების თარიღები 1855—1918 წლებშია მოქცე-
ული. იგი დაიბადა სოფელ ნიქოზში (გორის მაზრა),
სასულიერო პირის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სასუ-
ლიერო სემინარია. შემდეგ კიევის სასულიერო აკადემი-
აში სწავლობდა, სადაც მიიღო ღვთისმეტყველების კან-
დიდატის ხარისხი... 1883 წელს დაბრუნდა საქართვე-
ლოში და 1895 წლამდე სხვადასხვა დროს მუშაობს თე-
ლავის, გორის, ქუთაისის, თბილისის სასულიერო სას-
წავლებლებში. 1895 წელს კი, ცოლ-შვილის მოულოდ-
ნელი სიკვდილის შემდეგ, აღიკვეცა ბერად. მიდის ქვა-
თახევის მონასტერში, ორი წლის შემდეგ მალღებდა ეპი-
სკოპოსის ხარისხში, განწესდება ალავერდის საკათედრო
ტაძარში. 1901 წლიდან კი ინიშნება გორის საეპისკოპო-
სოს მეთაურად. ამ პერიოდის იწყება მისი ღვაწლი მფიცის
ხორანკის მხრიდან და ბოლოს გადასახლებაში.

პირველად რუსეთის სინოდი მას 1902 წელს აძევებს
საქართველოდან და გადაჰყავს კამენეც-პოდოლსკის ეპა-
რქიაში. 1903 წ. ხერსონშია, 1904 წ. ორიოლის ეპარქია-
ში. 1908—14 წლებში რეპრესირებულია. ჩამორთმეული
აქვს სასულიერო ტიტული და ჟანდარმერიის მუდმივი
ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. თავს აფარებს რუსე-
თის სხვადასხვა მონასტერს. განიცდის სასტიკ ღვენას,
შევიწროებას, რის გამოც თვით ბელგიიდანაც კი „ადამი-
ანის უფლებათა დაცვის ლიგის“ თავმჯდომარემ, დეპუ-
ტატმა ვორჟ ლორანმა 1909 წ. 10 მარტს ბრიუსელიდან
სახელმწიფო სათათბიროს სთხოვა დაეცვა ეპისკოპოსი
კირიონი წამებისაგან. მაგრამ, როგორც კირიონის თხოვ-
ნიდანაც ჩანს, ვერც საზღვარგარეთის და ვერც შინაურმა
გამოსარჩლებამ ვერ შეუმსუბუქა მას მდგომარეობა (მ.
ჯანაშვილი, „კირიონი“. თბ. 1917. გვ. 2. ცსსა, ფონდი
1458, საქ. 156. ფ. I.).

1914 წლის მარტში კირიონი ხერსონიდან წერილს
უგზავნის რუსეთის იმპერატორს და მოითხოვს პოლი-
ციის მეთვალყურეობიდან გათავისუფლებას. ამ თხოვნის
შედეგად 1915 წელს ეპარქიის მმართველობის უფლება

აღუდგინეს, სამშობლოში დაბრუნებაზე კი უარი უთხრეს.
მას პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს და იმპე-
რატორისავე 1915 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით წმი-
და ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ამ
თარიღებში კირიონის ჯოჯოხეთური ტანჯვის წლებია
მოქცეული. რა უნდოდა მას ორიოლში, სანაქსარში, კოვ-
ნოში, ხერსონში... და მაინც, საგულისხმოა, რომ იქაც...
იმ შორეულ ყინულეთშიც დიდებით განვლო კირიონმა
თავისი გზა, ღირსებით ატარა თავისი ჯვარი და ადამი-
ანებში, უცხო, შორეულ, უბრალო ადამიანებში დასტოვა
სითბო და გაუზზარავი სახელი. დიდი ამაგი გაუწევია მას
ყველგან, სადაც კი მეფის ოხრანკის მიერ გადასახლებაში
ყოფილა. მაგალითისათვის ერთი ფაქტის გახსენებაც
კმარა. ორიოლში რუსეთ-იაპონიის ომის დროს დაჭ-
რილთათვის საკუთარი ხარჯებით (11700 მან.) საავად-
მყოფო — ლაზარეთი ჩამოუყალიბებია, ხოლო შემდეგ იგი
ეკლესიის მოხუც მსახურთა თავშესაფარად გადაუკეთე-
ბია (ასევე საკუთარი ხარჯებით). ამის გამო თვით რუსე-
თის სინოდის გადაწყვეტილებით, ამ თავშესაფრისათვის
(როგორც სხვებისთვის იშვიათი და განსაკუთრებული ფაქ-
ტი) კირიონს ვიკი უწოდებიათ.

გასაოცარი შემართებით გაუძლო კირიონმა ყოველი-
ვეს. რეპრესირებთან ერთად ეს იყო მისი შემოქმედებითი
განმარტობის წლები. „განმარტობა — სწერდა სანაქ-
სარის უდაბნოში გადასახლებული კირიონი ი. ჩიჯავა-
ძეს, — მასწავლებელია სიბრძნისა, განმარტობა სიბრ-
ძნის დედაა, განმარტობა შობილია გმირთა, განმარტო-
ება კავშიანს აქარებს, განმარტობა — აკანია მამული-
შვილობისა, განმარტობა — მუერობა ნათესაურდელია,
განმარტობა — სამკურნალოა გულისა, განმარტობა
კრავს ალომებს, განმარტობა მიზნის მიღწევას აადვი-
ლებს“ (ინსტიტუტის არქივი. საქ. № 360). ამ სიტყვების
დასტურად, რა გასაოცარიც არ უნდა იყოს, სწორედ სა-
ნაქსარის უდაბნოს მკაცრ პირობებში შეიქმნა მისი ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი შრომები. აქვე დაასრულა მან თა-
ვისი დიდად გახმაურებული წიგნი „ივერიის კულტურუ-
ლი როლი რუსეთის ისტორიაში“.

კირიონი წერდა, „ტანჯვას კაცი ადვილად იტანს, რო-
დესაც დარწმუნებულია, რომ მისი ტანჯვა თანამემამუ-
ლეებს ბედნიერებას მიანიჭებსო“. და ამ სიტყვებს მთე-
ლი თავისი ცხოვრებითა და ღვაწლით ადასტურებდა.
აღბათ, ეს რწმენა იყო ის მთავარი, რამაც მას აუტანელი
აატანინა.

თავისი ქვეყნის წინაშე კირიონის მიერ გაწეული ღვა-
წლის მხოლოდ ჩამოთვლაც კი გაჭირდებოდა. იგი ღრმად
ჩაჰყურებდა „ქრისტეს ჯვრის მტერთაგან გაწეულ და წა-
მეხულ“ (მისი გამოთქმა) საქართველოს წარსულს და
მისი ისტორიის და თავისი ერის დაქინების მთავარ მი-
ზეუებს ეძიებდა. „როცა ქვეყანა დაჰყრობილია, ასეთ პი-
რობებში, მას გადაგვარებულ ადამიანთა მხრიდან მუდმივ
თანამგზავრად სდევს მკრეხელობა, შური, მეკრთამეობა,
ერთმანეთის გაუტანლობა, ღალატი და აქედან გამომდინ-
ნარე, ყოველგვარი უკანონობა, ბიწიერება, საბოლოო ან-
გარიშით კი, ქვეყნის დაცემაო, წერდა იგი. და ეძებდა
გზებს, რომ როგორმე მიშველებოდა თავის ტანჯულ
ხალხს. „მაშინ ჩაითვლები ადამიანად, თუ სამშობლოს

სათავყვანებელ ხატად გაიხდით,“ — წერდა კირიონი და სწორედ ამ თავდადებაში, მამულიშვილური მოვალეობის ამ დიდმა გრძობამ აქცია იგი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში თავისი ერის უპირველეს მოძღვრად.

კირიონი ერთი იმთავითაა, რომელთა ნიჭიერება და კიდევ, რაც მთავარია, მრავალმხრივი ღვაწლი, თავისი სიმრავლითა და მნიშვნელობით, გაცივებს იწვევს... წარმოუდგენლად გვეჩვენება ერთი აღამიანისაგან ამდენის მოსწრება, ჩაღრმავებით, ჩაკვირებით, ფანტასტიკური ენერგიით გაწეული შრომა. უჭირდა მის ტანჯულ სამშობლოს, იავარქმნილი იყო მისი წარსულის ძვირფასი მოწმენი — საერო თუ საეკლესიო სიძველენი, ხელნაწერები, წიგნები, ჯვარ-ხატები, სიგელ-გუჯრები, სიწმიდენი... ბევრზე ბევრი უკვე წაეღო ხანძარს, ნიაღვრებს, მტრებს, ქარაფნებს... აქა-იქ-ღა ბუტბუტად წარსული დიდების აწ უკვე მინავლებული ცეცხლი და იგი ექებდა, ათბობდა, სულს უბერავდა, კვლავ სიცოცხლისაკენ აბრუნებდა იმ მცირეს, ძვირფასს... მისი ღვაწლით და ზრუნვით საქართველოს გადაურჩა მრავალი უნიკალური ძეგლი. დადიოდა ოჯახიდან ოჯახში და, ასე თანდათან, თავს უყრიდა ერის ფასდაუდებელ საუნჯეს. მას არ დარჩენია საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც არ მოედინოს ეს სიძველენი. მის მიერ შეწირული ხელნაწერები დღესაც აშშ-ში მდებარე საქართველოს მუზეუმების ფონდებს, ყველაზე მეტად კი ხელნაწერთა ინსტიტუტს. მარტო ერთ ჯერზე არქიმანდრიტმა კირიონმა ქვათახევიდან ჩამოიტანა და თბილისის საეკლესიო მუზეუმს (რომლის გახსნის ერთერთი მოთავე და მოამბე თითონ იყო) ჩააბარა 95 ხელნაწერი. ამ ხელნაწერებში, როგორც აღნიშნავდა გაზეთი „ივერია“ (1898 წ. 21 აგვისტო, № 179. გვ. 1) იყო მეთერთმეტე საუკუნის სახარება და მეთხუთმეტე საუკუნის დავითნი. იგი აგროვებდა ძველ ბეჭდურ წიგნებს, მონეტებს (მონეტების დიდი კოლექცია მან ასევე გადასცა საეკლესიო მუზეუმს), სიგელ-გუჯრებს, საერო წიგნებს, ჯვარ-ხატებსა და საერთოდ ყველაფერს.

კირიონს შესწავლილი ჰქონდა მოსკოვის, პეტერბურგის, თბილისის, კამენეცპოლოლსკის, ხარკოვის, კიევის, ხერსონის, ორიოლის, კონოს არქივებსა, მუზეუმებსა, მონასტრებსა და საჯარო ბიბლიოთეკებში დაცული ყველა ხელმისაწვდომი წერილობითი მასალა საქართველოსა და ქართული ეკლესიის შესახებ.

„ქართლის ცხოვრება და გუჯრები, — წერს კირიონი, — გვიმოწმებენ, რომ ისე, როგორც სხვა კულტურულ ქვეყნებში, ჩვენს სამშობლოშიც არსებულა არქივები; რომ მარტო მცხეთის ტაძარში ინახებოდა 7000-ზე მეტი იშვიათი ხელნაწერი. ასევე ითქმის ქართლ-კახეთის, იმერეთის, მეცხეთის თუ სხვა კუთხის ეკლესია-მონასტრებზე... ვიცით, რომ თბილისში იყო სამეფო და საეკლესიო არქივები, დიდის გულდადებათი შეგროვილი მეფეების სასახლეებში... მონასტრებთან, მაგრამ ისინი გახდნენ ცეცხლის მსხვერპლად აღამაპომედ ხანის შემოსვლის დროს. (საისტ. არქივი, ფონდი 1458. საქ. 19.

„სამი დღეა, რაც მოსკოვიდან დაბრუნდი, — სწერდა კირიონი 1906 წ. 6 ნოემბერს პოლ. კარბელაშვილს, — იქ ვიპოვე არქივში ძვირფასი მასალები — მიწერმოწერა ჩვენ მეფეებთან მე-XVI—XVII საუკუნეებში, შესახებ მხატვრების და ოსტატების გამოგზავნისა რუსეთში.

ჩვენს საეკლესიო მოღვაწეებს მეტად დიდი ფასი ედება (საისტ. არქივი, ფონდი 1458. საქ. 19. გვ. 1.).

„... ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის შრობიურ სიძველეს, — სწერდა კირიონი ხერსონის მუზეუმის დამაარსებელს გ. გომეკეინს, — და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავის წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არა დირსული მემკვიდრეა, შემთხვევითი რგოლია არსებობა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია.

ისევე, როგორც შეუძლებელია ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა, ასევე შრობიური სიძველის ცოდნისა და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიადი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის“.

მარტო ასე სქემატური ჩამოთვლაც კი ჭირს იმ დიდი და მრავალმხრივი ღვაწლისა, რომელიც კირიონს გაუწევია. იგი თავისი ბუნებით ნამდვილი შემოქმედი იყო. ვერ ისვენებდა, ჩქარობდა, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოესწრო. თავისი ქვეყნის არც ერთი ტკივილი არ იყო მისთვის უცხო, შორეული... ბევრი ღვაწლი გაუწევია კირიონს ქართული ხალხური პოეზიის, საერთოდ, ხალხური სიტყვიერების შეკრების საქმეშიც... მის არქივში უხვადაა ამის დამადასტურებელი მასალები. იგი იღვწოდა ქართული (და არა მარტო ქართული) ეკლესია — მონასტრების აღდგენისათვის, საკუთარი სახსრებით ყიდულობდა ძველ ხელნაწერებს, წიგნებს, საეკლესიო ნივთებს, საკუთარი სახსრებით აღადგენდა ტაძრებსაც... როგორც სწვდებოდა და როგორც შეეძლო.

ზრუნვას არ აკლებდა სამშობლო ქვეყნის მწერლობასაც... ბევრი უმუშავნია ქართული საგალობლებისა და საერთოდ, ქართულ ხალხური სიმღერების შეკრება-მობატრონებისათვისაც.

ბევრი უფიქრია და უმუშავნია ქართული ანბანის წარმოშობისა და საერთოდ ქართული ენის საკითხებზე... მეტად საინტერესოა მისი აზრები და შეხედულებები: „დედა-ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღმწებული უწმიდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი...

შოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზე ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას... (გაზ. „ივერია“. 1904 წ. № 35) რა დიდებული სიტყვებია! შრობიური ენის, ზნეობისა და საერთოდ, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის უპირველეს დამცველად კირიონს მიაჩნდა ოჯახი და მისი მთავარი ბურჯი დედა სახლისა. ამიტომ იყო, რომ მეტად აწუხებდა დროებას აყოლილი ქართული ოჯახის, განსაკუთრებით ქართველი დიასახლისის ბედი. იგი ქართველ ქალში ჩვენი ეროვნულობის დამცველ მთავარ ძალას ხედავდა. „დედა თუ შეიღს ვერ ასწავლის ღვიძლის ენის და სამშობლოს სიყვარულს, წიგნს და წერა-კითხვას, მისი აღზრდილი თუ ვერ შეიკრავს, ვერ მოიქოსვს, ვერ მოუვლის სახლს, — აბა ამისთანა არსებო როგორ გამოადგება სამშობლოს“ — წერს იგი. ასეთივე ტკივილით განიცდის იგი სამშობლოდან წასული ახალგაზრდების

მდგომარეობასაც... საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ ამონაწერს. წერილის აღრესატია ჩიტო კაპანაძე:

„შენი წერილი მომივიდა. მე ჩემი კალო გავლექე. ეხლა ახალგაზრდობაზედ არის საქმე. ბევრ სანუგეშო მოვლენას ვხედავ ახალგაზრდობაში. ოდესიდან სტუდენტები ისე არ გამოივლიან გემით სევასტოპოლზედ, რომ არ შემოირბინონ ჩემთან და არ მნახონ. იმათში ერთი სომეხიც ურევია-ლენონ მელიქსეთ-ბეგოვი.

რასაკვირველია, შხარდ თაობაში ისეთებიც არიან, რომელნიც გადაგვარების გზას ადგანან, მაგრამ სანუგეშოდ, ამისთანა რენეგატების რიცხვი მცირეა“... (ლიტ. მუზეუმი №12818—6). ამ სიტყვებში, ისე, როგორც საერთოდ ამ საკითხზე დაწერილ მის სხვა წერილებსა თუ ნაშრომებში, კირიონის ახრი მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით გადაგვარების გზაზე მდგარ საქართველოსა და ქართველი საზოგადოებისათვის ვერძნობინებია ერის ტრაგიკული მდგომარეობა, რომელიც მართლა სავალალოდ გამოიყურებოდა ამ დროს.

კირიონის მიერ გავლილი კვლის გზა არის გზა სამშობლო ქვეყნისათვის თავშეწირული ნამდვილი მამული-შვილისა, რომელიც მრავალმხრივი სამაგალითო ღვაწლით, მოწოდებით, ნიჭიერებით, ამაღლებული მოქალაქეობით ემსახურებოდა თავის ტანჯულ, ცარიზმისაგან ფეხქვეშ გათელილ ქვეყანას... მისი შრომები ძირითადად საქართველოს ისტორიის, მისი კვლევის კვლევის სფეროს მოიცავს, მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი ძალიან ძნელია, ისე ბევრია ისინი. ეს შრომები ძირითადად მონოგრაფიული ხასიათისაა და ეხება თავდაუზოგავ ძიებას საქართველოს წარსულის ამოცნობისა და ამოძიებისა. მათში ზოგი რამ ზოგჯერ იქნებ ტენდენციურადაც გამოიყურება, მაგრამ ძირითადად ძალზე მნიშვნელოვანია ისინი. ამ შრომების დიდი ნაწილი რუსულადაა დაწერილი. აქაა ნიქოზისა და ვალის კვლევების აღწერები, მასალები ქართველ განმანათლებლებზე, ქართული კვლევების აღწერები, ქართული კვლევის ისტორია, ცნობები საფარის, მცხეთის, სამთავროს მონასტრების, ზარზმის კვლევისა, იქ დაცული ოქრომჭედლობისა და სხვა ძველთა შესახებ, ფიქრები ქართული საეკლესიო გალობის საწყისებზე, შენიშვნები თამარაშვილის წიგნზე — „კათოლიკობა“ საქართველოში, წერილები პლატონ იოსელიანზე, ღაზების წარმოშობის საკითხზე, ციხე-გალავნებისა და კვლესია-მონასტრების კედლებიდან გადმოღებული წარწერები და მათი კომენტარები. კირიონის არქივში დაცულია ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევი „იეივო—პერორის მამათა ცხოვრებიდან“, „ხერსონის ქართული მონასტერი“ (რომელსაც აწერია „ნე პეტრატ დო მოე-ვო უმერტვლენია“), ნაშრომი ვეფხისტყაოსანზე, დავით აღმაშენებელზე, მოთხრობა დავით-გარეჯის ქვაზედ და მრავალი სხვა.

„აბა ვსინჯოთ — წერდა ჯერ კიდევ 1904 წელს ჟურნალი „მოგ ზაური“, — რამდენი წიგნი და ნაშრომი უძღვნა კირიონმა საქართველოს... სამწუხაროა, რომ მისი მსგავსნი ცოტა გვყავს... იგი იმ ადამიანთა წყებას კუთვნის, რომელიც შხად არის თავი დასდოს მშობელი ხალხის ბედნიერებისათვის. კირიონი მთელი პირდაპირობით უს-


წორდებოდა ვალბის მქნელებს, ორგულებს, დაუდეურებს, „ჟამთა მჭვრეტელებს“, სამშობლოს ჩინმედლებზე გაძვიდვლებს. ასეთი სულისკვეთებით იყო განწყობილი ყველა ერის წარმომადგენლებისადმი, მეცნიერებისა და სამოქალაქო დარგის შესვეურებისადმიც, „გულბაცრუებულ გლეხებისა და დაუდევარ კვლესიის მსახურებისადმიც“ (№5—6, გვ. 344).

კირიონი იყო პირველი, ვინც ქართული კვლევის ავტოკეფალიის აღდგენისათვის იბრძოდა; ცნობილი ფაქტია: გასული საუკუნის დასაწყისში რუსეთის სინოდმა ცარიზმის კოლონიალქმნილ ქვეყნის უძველეს თხოთმეტსაუკუნოვან კვლევის დამოუკიდებლობა ანუ ავტოკეფალია წაართვა, მისი ტაძრების უნიკალური ფრესკებით თერთად გადაღება, კათოლიკოსობა გააუქმა და მის ნაცვლად ეგზარქოსობა დააწესა... ჯგერ-ხატები და კვლესიის სიწმიდენი გაანიავა, ხოლო თვით ტაძრებში რუსული წირვა—ლოცვა დააწესა... ყოველივე ეს ერის მოსპობა—განადგურებას ნიშნავდა... ამიტომაც იბრძოდნენ ქვეყნის უკეთესი შვილები, მისი ჭირისუფალნი ავტოკეფალიის კვლავ აღდგენისათვის... ცნობილი ფაქტია, ილია ჭავჭავაძე თავისი ფეხით მისულა ამ საქმის გამო მთავარმართებელთან... ხოლო უკვე დაუძღვრებულ კვლესიის შესვეურთაგან, პირველი, ვინც თანამიმდევრულად და თავგანწირვით იბრძოდა ავტოკეფალიის აღდგენისათვის, იყო ყოვლადსამღვდელო კირიონი.

„ავტოკეფალიის ნუ მოყრუეთ ყური: მაგისთანა კითხვა სწრაფად არ სწყდება, ხელსაყრელი გარემოებით უნდა ვისარგებლოთ“ — სწერს იგი, რუსეთიდან, გადასახლებაში მყოფ მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს.

ავტოკეფალიისათვის ბრძოლა კირიონს ერის გადარჩენის ერთერთ აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა. მის არქივში, ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალადა თავმოყრილი ნარკვევები, მოხსენებები, პეტიციები, ისტორიული ცნობები, სხვადასხვა პირთა მოსაზრებები, აქტები და თვით მისი მეცნიერული ნაშრომები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია: ქართული კვლევის ისტორია, საქართველოს კვლევის მართვა—გამგეობა XIX საუკუნის დასაწყისში, ქართული საეკლესიო გალობა, მართლმადიდებელი საქართველოს თორმეტსაუკუნოვანი ბრძოლა მუსულმანური აგრესიის წინააღმდეგ, ეროვნული პრინციპი კვლესიაში და სხვა და სხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით კირიონი, ხშირად მიუთითებდა დავით აღმაშენებელზე და აღნიშნავდა, რომ ისევე უნდა ვცეთ პატივი ყველა მორწმუნეს, თვით მუსულმანებსაც, როგორც ექცეოდა მათ ჩვენი დიდი წინაპარი. მართალია, მაჰმადიანები ყოველთვის სასიკვდილოდ ებრძოდნენ ქართველებს და ყველა ქრისტიანს, მაგრამ ამ გარემოებას დიდებული მეფისათვის ხელი არ შეუშლია; მეგობრულად მოპყრობოდა მათ, საქართველოში მცხოვრებლებსო, და ჰპაძავდა რა დიდი დავითის მაგალითს, კირიონი ყოველთვის ცდილობდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენლებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა. მას ღრმად სწამდა, რომ ამ პრინციპის სასურველად განხორციელება მხოლოდ ავტოკეფალიის აღდგენის შემ-





ხახულის ღვთისმშობლის ვედრების ხატი

ხახულის ღვთისმშობლის ვედრების სასწაულმოქმედი ხატი ქართული ეკლესიის ფასდაუდებელი სიმდიდრე და სიამაყეა. იგი X საუკუნეშია შექმნილი. ხატი ინახებოდა ხახულის მონასტერში (ტაოს მხარე, ახლა თურქეთის ტერიტორიაზე). მისი სახელწოდებაც აქედან წარმოსდგა. თავისი მინანქრული ოსტატობის ბრწყინვალეობით, ოქროში დაფერილი ვერცხლისა და ვერცხლის ჭედური ხატ-ჩუქურთმებით ხახულის ხატი უმაღლესი ხელოვნების ნიმუშია. იგი გელათის საოქრომჭედლო სკოლაშია მოჭედილი. როგორც ჩანს, XI საუკუნეში, სელჩუკების შემოსევის გამო ხატი ხახულის ტაძრიდან იმერეთში გადაუტანიათ და გელათში დაუსვენებიათ. დიმიტრი მეფის დროს მისთვის გაუკეთებიათ დიდი კარები, კუბო ოქროსი, ხოლო კარები მოოქროვილი ვერცხლით მოუჭედიათ. იგი ძვირფასი მინანქრებითა და თვლებითაა შემკული. სავსებით უნიკალური სიმშვენიერისაა ხატის ჩუქურთმა.

ხატს ახლავს წარწერები. საგულისხმოა, რომ მისი ორივე კარის ბოლოში მოთავსებულ წარწერაში მოხსენიებულია მეფე დავით აღმაშენებელი და მისი ძე — მეფე დემეტრე.


ხატი რამდენჯერმე გაძარცვეს. ბევრჯერ მოინდომეს მისი გატაცებაც. ხოლო, გასულ საუკუნეში ქუთაისის ყოფილმა გუბერნატორმა ლევაშოვმა და მისმა მეუღლემ სხვა ძვირფასი ჯვარ-ხატებსა და საეკლესიო განძეულობასთან ერთად ხახულის ღვთისმშობლის ხატიც გაიტაცეს. ხატი იმთავითვე კოლქციონერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. როგორც გელათის მონასტრის საარქივო მასალებიდან ირკვევა, ლევაშოვს წინასწარი გეგმაც შე-



უღგენია, თუ როგორ უნდა გაეტაცნა ხახულის ხატი. მან ერთ რუს მხატვარს (ვასილევს) წინასწარ შეუკვეთა ღვთისმშობლის ახალი ხატის ესკიზი, რომლის მოჭედილობა ქართული ხატების მოჭედულობის სახეებს შეესაბამებოდა. ამ ესკიზის მიხედვით მოსკოვში დამზადდა კარედის მოჭედულობა და აი, მეორე დღესვე, როგორც კი ხახულის ღვთისმშობლის ხატი გაიტაცა, გელათის მონასტერს „საზეიმო ვითარებაში გულუხვად უძღვნა“ საზიკოვის მიერ მოჭედილი ახალი ხატი. ხახულის ღვთისმშობლის ხატი კი შეისყიდა კოლექციონერმა ბოტკინმა. ყოველივე ამან ააღელვა ქართველი საზოგადოება, მაგრამ მიუხედავად მრავალი ცდისა, ხატი მხოლოდ 1923 წელს დაუბრუნდა თავის ნამდვილ პატრონს. ამჟამად იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის განძთსაცავშია ექსპონირებული.

საგულისხმოა, რომ ღვინისფერი მინანქარი, რომლითაც შემკულია ხატი (მისი დიდი ნაწილი დღემდე გატაცებული და თითქმის დაკარგულია), თავისი ტექნოლოგიითა და მაღალი ოსტატობით, აბსოლუტურად ამოუცნობი და მიუღწეველია დღევანდელი სამინანქრო ხელოვნებისათვის. იგი მსოფლიოში უდიდესი და უნიკალურია მინანქართა ოდენობითაც გასაოცრად ცოცხალი და მშვენიერია მისი ჩუქურთმები, ფირფიტებზე შესრულებული ჭკარ-ხატები და ძვირფასი თვლები.

(ყურნალში დაბეჭდილი ყველა ფერადი ილუსტრაცია ხახულის ხატის დეტალებია).



თხვევაში შეიძლება... და კირიონი მოესწრო ამ ბედნიერ დღეს... ავტოკეფალია მის შობილიურ ეკლესიას 1917 წლის რევოლუციამ მოუტანა... 100 წლის მონობის შემდეგ ქონებრივად და თვით ზნეობრივად გაღატაკებული ქართული ეკლესია თავის უფლებებში აღსდგა. ეს ბედნიერი დღე 12 მარტს, სვეტიცხოვლის ტაძარში გაცხადდა, ხოლო ამავე წლის 17 სექტემბერს სრულიად საქართველოს ავტოკეფალია აღდგენილი ეკლესიის პირველ კათოლიკოს—პატრიარქად აირჩიეს კირიონი. მის არქივში დაცულია რამდენიმე ფრიალ საინტერესო მოლოცვის ბარათი.

გამოჩენილი არქეოლოგის და ისტორიკოსის, კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორის, ნ. პალმოვის წყრილიდან:

„გთხოვთ მაზიაროთ მეც თქვენს სიხარულს, რადგან ვეუშობდი რა კავკასიის სიძველეებზე, თვალნათლივ და ვწმუნდი, რომ საქართველოს უფლება ჰქონდა სრული ავტოკეფალიისა და ამას მრავალ სხვა გავლენიან პირსაც ეუშვებოდა.“ (საისტორიო არქივი, ფონდი № 1458. საქ. №34, გვ. 66.).

ნ. დურნოვო, ავტორი წიგნისა „საქართველოს ეკლესიის ბუნებრივი ცარიზმის რუსეთის დროს“, (ეს ის დურნოვოა, ცარიზმის წლებში, ნამდვილ ჭირისუფლად და გულშემატყვივრად რომ მოველინა საქართველოს ეკლესიას, რომელიც ამხელდა თავისი ერის წარმომადგენელთა მანკიერებებს და ქართველებს თავისი განძეულისა და უფლებების დაცვისაკენ მოუწოდებდა) სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისადმი გამოგზავნილ წერილში გულწრფელად ულოცავდა ქართველებს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. „აღდგენა ავტოკეფალიისა, რომელიც ანტიეკლესიურმა სინოდმა დაარღვია, საქართველოს ეკლესიას შეაძლებინებს ასი წლის ტრილობა გაიმართლოს და ხელახლა განანათლოს სამწესო თავისი ქრისტეს ჭეშმარიტის სარწმუნოებით... ახლა საქართველოს, რომელმაც შემოიკრიბა თავისი შვილები, მმართველს ახადდინოს პოლიტიკური ავტონომიაც ქართველთა ეროვნების საზღვრებში, თანახმად 1783 წ. ხელშეკრულებისა. დღეს საერთო თავისუფლების დროს, საქართველოსაც უფლება აქვს მოაწიოს თავისი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ისე, როგორც ამას უმჯობესად და თავის სასარგებლოდ დაინახავს. საქართველო უნდა განთავისუფლდეს უცხოელ ექსპლოატორებისაგან, ამასთანავე, არამართლმადიდებელთაგან. არცერთ ხალხს, რაც გინდა დიდი იყოს იგი, არა აქვს უფლება შეახოს ხელი საქართველოს ისტორიულ მიწაწესს; როგორც არცერთ ეკლესიას უფლება არა აქვს თავისი საკურთხეველნი აიგოს საქართველოს ეკლესიის საზღვრებში.“ (ჟურნალი „სვეტიცხოველი“ 1917 წ. № 3. გვ. 12.).

ხოლო მისმა უწმიდესობამ, კათოლიკოს—პატრიარქმა კირიონ II-მ თავისი სამწყსოსა და სხვადასხვა ქვეყნების პატრიარქებისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებში ასე ჩამოაყალიბა თავისი სამოქმედო პრინციპები: რამდენიმე ამონაწერი ჟურნალ „სვეტიცხოველიდან“...

... ოდეს ერთი ქართველთა გარემოცვა შურმან, მტრობამან და ურთიერთის გაუგებრობამან, ოდეს იგი და-

ადგა გზასა დანაწილებისა და დაწვლილებისა, შესუსტდა შემოქმედებითი ნიჭი მისი, შეირყა სიმხნე სულისა მისისა, დაკნინდა შინაგანი ცხოვრება მისი, დაეცა სახელმწიფოებრივი ძალა მისი და მან, ლაღმან და ქედმაღალმან, მუხლი მოიდრია წინაშე უცხოელისა, რომელმან თქმულებისაებრ წერილისა, „მენი თქვენნი წარიგვანა და ცხენთა ზედა აღასხნა, ასუღნი თქვენნი აღიხვნა და შხარულ ქმნა: აგარაკი თქვენნი და ვენახნი, ზეთისხილნი თქვენნი და კეთილნი მოგიდოთ; თესლნი თქვენნი და ღვინო განგიათუელნა და გყო თქვენ მისდა მონად“ (მეფ. 1, VIII, 11-17).

...ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველ ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას. ის იყო დროშა, რომლის ქვეშ დგოდა ნაპერწკალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნულ დროშის ქვეშ ქართველი უძლველ იყო. გასაჭირის დროს ქედზედ კაცი გამოდიოდა ოჯახიდან და საქართველო თავხარს სცემდა თავის მტრებს.

... თუ ასე იყო ძველად, დღესაც ვალდებულ ვართ ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და შედგრად გაასხენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა; მან უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოვოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი.

ჩვენ ვიცით, რომ ქართული სახარება, ისრაელთა თორა და მაჰმადიანთა ყურანი შვიდობიანად თავსდებოდნენ საქართველოში. ეკლესია იყო თავი მიზნის იმი-სა, რომ ვეღვა უცხო ტომი ჩვენში პოულობდა მორე საშობლოს და მისთვის სისხლსა ღვრიდა. ერთა შორის ძიურ ურთიერთობის განმტკიცება ახლა უნდა მორე საკითხად ჩაითვალოს. განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ ძიურ განწყობილებას ხელოვნურად არღვევდნენ ხშირად ძველი საეკლესიო წესწილების საშუალებით. განახლებული საქართველოს ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ წამოაყენოს ბევრისაგან დაფიქრებული თქმულება: „ერთ არს ღმერთი და მამაა ყოველთა თანა (ეფ. IV. 6) და ამ ნიადაგზედ ვეღვა მუხობელ ერებს ძიურ შემოქმედებით მუშაობისაკენ მოუწოდოს“.

საქართველოს ლიტერატურის მუხუმის ფონდში ინახება კირიონის ერთი სიტყვა, რომელიც მას თედო ყორღანის საფლავზე წარმოუთქვამს. 1917 წლის 21 ოქტომბერს. ამდღევებელია ეს სიტყვა:

ძმაო, ძვირფასო აშხანაგო და მეგობარო თედო!

ექვსი წელიწადი ვსწავლობდით სემინარიაში ერთად და შემდეგ აკადემიის გათავებისა სხვა და სხვა ასპარეზზედ მოგვიხდა სამსახური: შენ საყვარელ სამშობლოში, მე კი უცხოეთში. აქედან იწყობა ჩვენი მოღვაწეობა სამშობლო ეკლესიის აღსადგენად. ისეთი ძნელი დრო იყო მაშინ, რომ ავტოკეფალიაზე მხოლოდ ჩურჩულით შეგვეძლო ლაპარაკი. გამოგვიჩნდა რუსეთში ღვთისნიერი და პატიოსანი ადამიანი ნ.ნ. დურნოვო, რომელიც ქადაგებდა უშიშრად ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაზედ. ჩვენც ამოუდგეთ მას გვერდში და შეუდექით საქმეს. არავის არ ვგონა, რომ დურნოვო რუსი იყო. ფიქრობდნენ, რომ მე ჩემი გვარი (საძავალიშვილი) რუსულად ვადავსთარებდნე და მე მაწერდნენ ამის ცხელ-ცხელ სტატიებს. 32-33 წელიწადი ვიდგაწეთ ერთად და აი, ვედრისენით

იმას, რასაც მოუთმენლად მოელოდნენ ჩვენნი წინაპარნი. შენ, ერთგულო მამულიშვილო, ისე ჩახველ საფლავში, რომ ვერ გაიგონე თავისუფლების ზარი, მაგრამ გვწამს, რომ შენი სული ჩვენთან ერთად არის დღევანდელ დღეს: შენც გედო მცირე ღვაწლი ამ საქმეში. შენც შეგასვეს ფიალი სიმწარისა.

იყო ერთი მორწმუნე კაცი, რომელიც 70 წელიწადი მეტი იყო საჩივარში, რომ დაებრუნებინა თავისი სასაფლავოს საგარეულო ეკლესია. მოხუცდა და იგრძნო რა, რომ მის სიცოცხლეში საქმე ვერ გათავდებოდა, ანდერძად დააგდო, საფლავში ჩაეძახნათ მისთვის საქმის დაბოლოება. თხოვნა აუსრულეს. მეც ამ მორწმუნე მოხუცის ანდერძის მიბაძვით ჩამოგძახებ საფლავში: გიხაროდეს, ერთგულო მუშაკო.... ჩვენი დიდი ხნის ნატვრა ასრულდა. აღსდგა კვლავ საქართველო, აუწვე ჩვენს წინაპართ, რომ გსუნთქამთ თავისუფალ ეკლესიაში, მაგრამ კიდევ დიდ გაჭირვებას განვიცდით. დაგვეხმარონ თავისი ლო-

ცვითა და მეოხებითა. ჩვენც, ძმანო, მაგრად ვსდგეთ ჩვენს თავისუფალ ეკლესიაში და ვეცადოთ, ჩვენი სამშობლო ეკლესია კვლავ ისევ აყვავდეს, როგორც უწინ ბრწყინავდა ჩვენს წინაპართა დროს. ღმერთო შენო! ამინ. (11245—6 ეპისკოპოს კირიონის ფონდი).

„ცეცხლისა და წაშების აღში განწმიდა კირიონმა თავისი სული საქართველოსათვის ტანჯვით, და თუ ვინმეს ჰქონდა უფლება, ყველაზე ადრე იგი უნდა ზიარებოდა საქართველოს ბედნიერებას. — მარტყოფის საიდუმლო გამოუცნობელია! რა მოხდა წმიდა ანტონის მონასტერში, დანამდვილებით არავინ იცის... საუკუნეებში წარხდომილმა უნეტარესმა კათოლიკოსმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მისი, სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი კი პფარავს უღრმეს შწუხარებასთან ერთად, მივარდნილ მონასტრის საიდუმლოებასაც.“ — წერდა მისი სიკვდილის დღეებში გაზეთი „საქართველო“.


მინაწერი

სულიერად განმწმედი, აშმაღლებელი, სუფთა და მშვენიერია წუთები, როცა ადამიანს საშუალება ეძლევა თვალი შეავლოს, ჩაკვირვებით წაიკითხოს, შეიგრძნოს, შეიყვაროს ცხოვრება ასეთი დიდი პიროვნებისა, შემდეგ კი ყოველი გაუზიაროს სხვებს; ეს მცირე ნაწერი კი თვით მის ავტორშიც ტოვებს უდიდესი უმძარისობის გრძნობას. ბევრზე ბევრი უთქმელი დარჩა.

აღბათ, შორს აღარაა დრო, როცა ამ დიდ და ნათლითმოსილ ადამიანზე წიგნი კი არა, წიგნები დაიწერება.

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“

თ. ჯვარიძე



ქალაქებანი... სწავლანი...

მცირედი სწავლება აღსარების

შენახე



აღსარება განუყოფელია სინანულისაგან და იგი არის შვიდ სადმრთო საიდუმლოთაგანი. საიდუმლო იმიტომ ეწოდება, რომ წმიდა გულით მონანულ აღმსარებელზე იდუმლად გადმოდის ღვთიური მადლი და იგი იღებს შენდობას და განიწმიდება ცოდვებისაგან.

აღსარებას ამბობს, როგორც ყველა მორწმუნე ერის კაცი, ასევე თითოეული სასულიერო პირი. მათ უნდა ჰყავდეთ პირადი მოძღვარი მღვდელთაგან ან მღვდელმთავართაგან და მას უნდა განუღებდნენ გულის კარებს, სინანულითაც აუარებდნენ ცოდვებს და თავის ხორციელსა და სულიერ ცხოვრებას მოძღვრის სულიერ-მამობრივი ხელმძღვანელობით წარმართავდეს.

აღსარების თქმა აუცილებელია, რაც შეიძლება ხშირად: როდესაც რაიმე ცოდვა დაამძიმებს ერისკაცსა თუ სასულიერო პირს და ყოველი ზიარების წინაც, რათა მოძღვარმა უკეთესად წარმართოს მათი სულიერ-ხორციელი ცხოვრება.

აღმსარებელმა არა მარტო უნდა აღიაროს თავისი ცოდვები, არამედ უმაღლეს კიდევაც მოინანიოს ისინი. უკეთეს მხოლოდ აღიარებს იგი ცოდვებს, მაგრამ არ მოინანიებს, ასეთ შემთხვევაში აღმსარებელი ვერ მიიღებს ცოდვათაგან განხსნასა და მიტევებას.


აუცილებელია, რომ აღსარების წინ მოძღვარმა აღმსარებელთ ულოცოს „პარაკლისი ღვთის-მშობლისა აღსარებასა ზედა ცოდვილისასა“, რომელიც სწერია დიდ

ქართულ „კურთხევანში“. პარაკლისი გადაიხდება როგორც ერთი, ასევე მრავალი აღმსარებლისათვის, მაგრამ აღსარებას მოძღვარი უკვე ცალკე, თითოეულისაგან საიდუმლოდ მოისმენს, დამოძღვრავს და განაკანონებს. ამის შემდეგ დაწესებულ ლოცვებს ყველას ერთდროულად წაუკითხავს. უკეთეს მოძღვრის შენდობით აღმსარებელი ეზიარება, წირვის შემდეგ მას სხვა ზიარებულთან ერთად მოძღვარი წაუკითხავს ლოცვას „შემდგომად ზიარებისა“.

უკეთეს აღმსარებელს ზიარება სურს, უნდა დაესწროს პარაკლისის აღმსარებელსა ზედა, რომელიც ილოცება ჩვეულებრივად — წირვის წინა სადამოს, ლოცვის შემდეგ, ან უფრო ადრე; მაგრამ წირვის დღეს, ზიარებამდე აღსარების მოქმედება მაინც უნდა მიიღოს შენდობა მოძღვრისაგან, რადგანაც აღსარებიდან ზიარებამდე შეიძლება მან რაიმე ახალი ცოდვა ჰქმნას, ხოლო საჭიროა სიფრთხილით მიღება ზიარებისა.

უკეთეს რაიმე საპატიო მიზეზის გამო ვერ მოხერხდა ამ წესით აღსარების წინდაწინ თქმა (მაგ., თუ ტაძრიდან ძალიან შორს ცხოვრობს მორწმუნე და მხოლოდ წირვის წინ, ან „განიცადეთა“ გალობის ჟამს იღებს აღსარებას მორწმუნეთაგან) თითოეულს წაუკითხავს შენდობის მცირე ლოცვას; ამავე ლოცვას წაუკითხავს მოძღვარი მათაც, რომლებმაც წინდაწინ თქვეს აღსარება და წირვის დღეს შენდობის მისაღებად მივიდნენ მასთან.





დავითნის (ფსალმუნთა) ძალა და მისი კითხვის წესი

დავითნი, ანუ ფსალმუნთა კრებული, ბიბლიის ნაწილია. ეს წმიდა წიგნი ერთნაირი სიყვარულით იკითხება ყველა ერის და ასაკის ადამიანთა შორის. მასში მოცემულია ყოველივე წმიდა და ღამაზი, სიცოცხლის აზრის მომცემი განმაძლიერებელი ძალა და გარდასულ სულთა საღვინებელი მადლი: ესაა ციური, ღვთიური პოეზია, მარადიული, მშვენიერი, ამაღლებული, სულის განმასპეტაკებელი და აღმამსუბუქებელი. მასშია საშობის ყვავილთა ტკბილსურნელება, რწმენის ნათელი, სიცოცხლის სიხარული. იგი გვასწავლის უფლის დიდებას და მოყვასის სიყვარულს, სამშობლოსადმი თავდადებას და სიმატისადმი ერთგულებას. რამ გამოარჩია იგი უთვალავ წიგნთაგან, როგორც მშუქარი თვალმარგალიტი, ანდა ციური აღმასი, რომელიც ყოველმხრივ სიკეთეს ასხივებს? თვით უფლის შთაგონებით, სულიწმიდის მადლით აღვსილი წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი, შემოქმედი ამ ფსალმუნებისა, 151-ე რიგგარეშე ფსალმუნში ამბობს: „უმცირეს ვიყავ მე ძმათა შორის ჩემთა და უმრწამეს სახლსა მამისა ჩემისასა, და ვმწესიდი საცხოვართა მამისა ჩემისათა. ხელთა ჩემთა ქმნეს საგალობელი და თითთა ჩემთა განავეს საქებელი. და ვინმე მიუთხრას ესე უფალსა ჩემსა, თავადმან უფალმან, თავადმან შეისმინა და თავადმან გამოავლინა ანგელოზი მისი, და აღმიღო მე ცხოვართაგან მამისა ჩემისათა, და მცხო მე ზეთთა ცხებულებისა მისისათა. ძმანი ჩემნი იყვნეს კეთილ და დიდ, და არა სთნდეს იგინი უფალსა. განვედი მე შემთხვევად უცხო თესლისა მის, და მწყეველა მე კერპთა მიმართ თვისთა. ხოლო მე ვიხადე მახვილი მისი, და წარვეკეთე თავი მისი, და აღვბოცე ვვედრება ძეთაგან ისრაილისათა.“ იგივე დიდი ღვთისკაცი და მადლთა საიდუმლოთა მტკიცელი სხვა ადგილას წერს: „რომელმან დაბადა მხოლოდ გულნი მათნი“-ო. დავითი იყო ადამიანი, რომელმაც მთელი რწმენით გაულო გულის კარი ნათელს და ამ უწმიდეს საგანეში დაემკვიდრა თვით უფალი და ეს გული ათობს მთელ კაცობრიობას, „რამეთუ კაცი ხედავს პირსა კაცისასა, ხოლო ღმერთი გულსა“ და დაიკვიდრებს მას. ამ გულის მადლით, დავითის პირით თვით უფალმან, სულმან წმიდამან ბრძანა ციური საიდუმლონი. ამ სიტყვებით აღიდებენ ანგელოზნი სამყაროს შემოქმედს ცათა შინა, მისით მოეფინა მშვიდობის ნათელი ქვეყანას, იგი ნერგავს სიყვარულს და სათნობას ადამიანთა შორის. ამ წიგნში, როგორც ღვთიურ საუნჯეში დაუნჯებულია დიდი სიხარული, რომლის მსგავსსაც ვერავინ და

ვერაფერი ვერ მოგანიჭებს. იგი გვაფხიზლებს და გვასწავლის: მარადიულის სიყვარულს — „რა ძეს ჩემი ცათა შინა და შენგან რა ვინებე ქვეყანასა ზედა?“ წინასწარმეტყველი წუხს, რომ უაზრო წვრილმანით, უსარგებლო ფიქრით და ზრუნვით არის ადამიანი შემოფარგლული ამ ქვეყანაზე და არ ემზადება წარუგალი სიკეთისათვის. იგივეს გამოხატველია შეძგეი — „მოიძულენ შენ იგინი, რომელთა დაიცვან ამოებაჲ ცულად“. უფლის დიდების გარეშე, კეთილ საქმეთა გარეშე, იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მოზადების გარეშე ყოველივე ამაო და წარმავალია, ვითარცა გვიმოწმებს წიგნიცა იობისა: „შიშველი გამოველ დედის მუცლიდან და შიშველიცა წარვიდე. უფალმან მომცა და უფალმანვე მიმიღო. იყავს სახელი უფლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე“. რამეთუ სულია ადამიანში მთავარი და სულზე ზრუნვა. დანარჩენი მიწად მიქცევადია. ამიტომ ყველაფრით გვაბნელებს ბოროტი, რათა უაზროდ წარველოთ ეს ხანმოკლე წუთისოფელი, რომ შემდეგ შეგვასმინოს. უფალს კი მიუგავს ჩვენ გამოსაცდელად — „ტყავი ტყავისა წილ და ყოველი, რაოდენი აქვს კაცსა, მისცეს სულისათვის“.

დიდი გენიოსი ვაჟა-ფშაველა ამაზე ბრძანებს:

**მადლობელი ვარ დამადებულო,
რომ ჩემგან შექმენ ისეთი გუნდა,
როგორც რომ დღეს საჭირო არის,
სამშობლოს წელულებს როგორც უნდა,
კაცებსე ვწევარ, არაფერს ვიძინევ,
მაინც ღმერთს ვმადლობ, ეშმაკს შემურდა.**

უფალმან უწვის, თუ რამდენი ხილული და უხილავი ბნელი ძალა ებრძვის ადამიანს და ამიტომ ათქმევინა დავითს: „ნუ მისცემ მხეცთა სულსა, რომელმან ადგიაროს შენ, და სულსა გლახაკთა შენსასა, ნუ დაივიწყებ სრულიად“. ადამიანში მთავარია რწმენა, აღიარება და შემდეგ თვით უფალი შეაძლებინებს კეთილი საქმის კეთებას.

ფსალმუნნი არა მარტო პიროვნების, ერთეული ადამიანების გადამრჩენია, არამედ მთლიანად ერისა. „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოთს ერი თვისი მშვიდობით“. ან კიდევ:

„აცხოვნე ღმერთო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი და დამწყსენ და ადამადლენ იგინი უკუნისამდე“, — მთლიანად 84-ე ფსალმუნნი, და სხვა.

ფსალმუნნი იყო, არის და რჩება საყვარელ საკითხავ წიგნად ყოველი მორწმუნისათვის, დედა ღვთისას უყვარ-

და ფსალმუნნი. წმიდა მამები და წმიდა ღვთისმეტყველები და-
 ზეპირებით იწყებდნენ ღმრთივი მოღვაწეობას, (სვიმონ მესვე-
 ტე, საბა განწმენილი, ეფრემ ასური, მოწამე შუშანიკი,
 გიორგი მთაწმიდელი...) წმიდა მეფემ ვახტანგ გორგა-
 სალმა, რომლის ფარზეც ეწერა შემდეგი სიტყვები: „ეპიუ-
 ბდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა“,
 დავითის მსგავსად არა ერთ გოლიათს სძლია და მრავა-
 ლი განსაცდელიდან გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა. ამ ღმრთი-
 ვის მადლით დიდებული ქრისტეს მოსაუვი ბრძანებდა
 „მეფეთა და ერთა ზედა მოიწევის განსაცდელი, ოდეს მო-
 რწმუნეთა აკლონ ღვთისმსახურებაო“. „დავითნი“ ჩვენი
 ერის ყოველმხრივ აღმშენებლის და ამყვავებლის, მეფეთა
 მეფე დავითის უსაყვარლესი წიგნი იყო. ფსალმუნთა კით-
 ხვის და ღვთის ვედრების გარეშე არ დატოვებდა არცერთ
 დღეს და არც ერთ ღამეს საქართველოს წმიდა მეფე და
 დიდი ღვთისმეტყველი, მნათობი ჩვენი ისტორიისა. „დავით-
 ნი“ ამხნევებდა სხვა წმიდა წიგნებთან ერთად საქართვე-
 ლოს მნათობს, მრავალმოწამე დედოფალს კახეთისას —


— ქეთევანს უსაშინლესი ტანჯვის წინ. ამ სასიცოცხლო
 წიგნის ყველა სტრიქონი ზეპირად იცოდა მრავალმა
 მწყემსმა და გუთნისდემამ, ქალწულმა ქალმა თუ მრავალ-
 შვილიანმა დედამ. მათ იცოდნენ, რომ ეს წიგნი არის
 ზეცის კარის გამღები, ყველა სწულელების მკურნალი, ადა-
 მიანის ანგელოზად მქცეველი, მართალთა სულთა მზეზე
 უფრო მეტად განმანათლებელი, ნუგეშისმცემელი და
 მხიარულყოფელი უკანასკნელსა დღესა, რომელიც თან
 წაჰყვება ადამიანს სამარადისოდ სადიდებლად ყოვლად
 წმიდისა სამებისა — მამისა და ძისა და წმიდისა სულისა,
 რომელსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანის-
 ცემა აწ და სამარადისოდ და დაუსრულებელთა საუკუნე-
 თა ამინ.

დავითნის კითხვა უნდა ხდებოდეს ყველა ცოცხალ-
 თათვის, ყველა გაჭირებულთათვის და წარსულთა სულ-
 თა მოსახსენებლად.

ავარაკ-წალკელი მთავარეპისკოპოსი

თადეოზი





ნაშრომი განძალ ღაშთეგის

ღასასრულსა, გულისაგის—ყოფისათჳს,
ჰითა კორმისა

ფს ა ლ მ უ ნ ი 41

2. ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართა წყალთასა, ვგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!
3. სწუურის სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა: ოდეს-მე მივიღე, ვეჩუენო პირსა ღმრთისასა?
4. იქმნეს ცრემლნი ჩემნი პირად ჩემდა ღღელღამე, რამეთუ მეტყუედ მე მარადღე: სად არს ღმერთი იგი შენი?
5. ხოლო მე ესე მოვიგსენე და ნუგეშინის — ვსცი სულსა ჩემსა, რამეთუ განვლო მე ადგილსა საყოფელისა საკურველისასა ვიდრე სახლამდე ღმრთისა ჯმითა სიხარულისაათა და აღსარებისაათა, ჯმითა მეღღესასწაულეთაათა.
6. რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე? ესევედ ღმერთსა, რამეთუ მე აუარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა.
7. სული ჩემი შეძრწუნდა ჩემთან; ამისათჳს მოგიგსენო შენ ქუეყანით იორდანით და ერმონით, მთით შვირით.
8. უფსკრული უფსკრულსა ხადის ჯმითა ზე-გარდამოსაქანელთა შენთაათა: ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენნი მე ზედა-გარდამჯდეს.
9. ღღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამე გალობაჲ მისი; ჩემ მიერ ლოცვაჲ ღმრთისა მიმართ ცხოვრებისა ჩემისაჲ.
10. ვარქუ ღმერთსა: მწე ჩემდა ხარ, რად ღამივიწყე მე, ანუ რად მწუხარედ ვრონინებ მე ჭირითა მტერისაათა?
11. შემუსრვასა ძუალთა ჩემთასა მყუედრიდეს მე მტერნი ჩემნი, მეტყუედ რაჲ იგინი მარადღე: სადა არს ღმერთი იგი შენი?
12. რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე? ესევედ ღმერთსა, რამეთუ მე აუვარო მას, მცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა.

ოპიზარი გგოსანი (X საუკუნე)

გალღბანი სულისანი

გალღბად I

ცხორებაჲ ესე წარვალს და განიღვეის შეუნიერებაჲ და დიდებაჲ დაჭნების, ხოლო სიმდიდრე დაღბების და წარწყმდების.

რასა ცუდად ვმადლოით, ოდეს ყოველნი მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევაღნი!

გალღბად II

მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთსაფლავთა, სადა არს შური, საოცრებაჲ და ხდომად, სადა არს ძურის გსენებაჲ და ზუაობაჲ და გორცთა გულის-თქუმანი, აჰა ესერა მიწა, ნაცარ და თივა ქმნილ არს ყოველი.

ეპისკოპოსი გაბრიელი

პასუხი

გიორგი მუსრან-ბატონის

წერილზე*



ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქობე.

სენატორი და სახელმწიფო საბჭოს წევრი გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუსხრანელი (1820—1877) იყო მძა ივანე ბაგრატიონისა. მან 1872 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდა ბროშურა სათაურით: «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц», რომელშიც ამტკიცებდა მცირერიცხოვანი ხალხების დიდ ერებში გათქვევუს აუცილებლობას. ბროშურამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მაშინდელ პროგრესულ საზოგადოებაში. კერძოდ ილია ჭავჭავაძემ სასტიკად დაჰკმე ამ გადაგვარებული თვადის ლაპობა. მანვე ბროშურის ავტორზე დაწერა პამფლეტი, სათაურით: „რჩევა“ ეს ლექსი დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ (1872 წლის

სექტემბრის 8, №35). როცა ხსენებული ბროშურა ბაგრატიონმა, სხვათა შორის, დავით ერისთავსაც გაუგზავნა, „სამშობლოს“ ავტორმა, გიორგი ერისთავის ღირსეულმა შვილმა, წიგნი უკანვე დაუბრუნა მას შემდეგი რუსული წარწერით:

О существе ты написал,
Мой друг, более ста страниц,
Но этим только доказал
То, что мы знали без того:
Что ты совсем не существо,
А нуль меж крупных едениц.

მოწყალეო ბატონო,

კნიაზო გიორგი!

შენი წერილი კვ — ს ოქტომბრიდგან, მე გვიან მივიღე, რადგან შეცდომით აღრესი გურიის ეპისკოპოსთან დაგვეწერა, მაგრამ პირი მისი, კარგა ხანია წამიკითხა კვ. გრ. დადიანმა. ამ შენმა წერილმა კარგი ქართული ენით დაწერილმა, გაამტკუვნა ზოგიერთი შენი ბროშურის წამეითხველნი, რომელნიც ამბობდნენ: „უთუოდ, მან თვითონაც კარგად არ იცის ის უბედური ქართული ენა, რო-

მელსაც სხვათა შორის, უწინასწარმეტყველა მოსპობა და გაქარვება“. მე კი, აქვე ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ეს ჩემი პასუხი არ არის ისეთი კარგი ენით დაწერილი, როგორც შენი წერილი. ამასაც დაეუმატებ: პასუხის წერას შევეუდექი არა უსარგებლო ცილობისა და ამაო თავისმოყვარეობისა გამო, არამედ იმ განზრახვით, რომ იქნება ჭეშმარიტება აიხსნას უმჯობესად. მე მაქვს სახეში, ვის ვწერ ამ წერილს; ვიცი წინათვე, რომ ის, რომელსაც ამ წერილსა ვწერ, მაღლად განათლებული კაცი არის და სა-

*წიგნიდან — „ბურებთან“. ნიკო ბაგრატიონი, მოგონება. გამოც. — 1952 წ. გვ. 167

წყნად არ მიიღებს ჩემ წერილს, თუმცაღა იგი არ ეთანხმება მის აზრებს; მაღალსა და ვრცელს მნიშვნელობას აძლევ ენას, როდესაც იტყვი: „ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოთ ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის“. სხვა ვინმესთან, არა ისეთ განათლებულთან და ლოლიკის მცოდნესთან რომ მქონდეს ბაასი, აქ მე ამ სახით ვუპასუხებდი: — თუ ენას ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელი და შეუძლებელი არის ხალხისათვის მისი მოსპობა, მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხმა მისი შეკეთება, გაერცელება, გამდიდრება, დამარხვა და არა დაკარგვა. აქვე მოვიყვანდი საღმრთო წიგნიდან ამ სიტყვებს: „რა სარგებლობაა შეიძინოს კაცმა სოფელი ყოველი და სული მისი იზღვიოს; ანუ რა მისცეს კაცმა ნაცვლად სულისა მისისა“. მაგრამ ვიცი, რომ ამისთანა პასუხი მე შენთან არ გამოვა, შენ მაშინვე სიტყვას გამიწვევებ და მიპასუხებ: თუკი ბუნებითი წესი და კანონი არის, რომ მცირე ხალხის ენა მოისპოს, დიდი ხალხის გაერცელდეს, რაც გინდა ისურვოს, იზრუნოს პირველმა, ბუნება მის წესს ვერ გადავა. მართლა, თუ ის აზრი, რომელსაც შენ ამტკიცებ ბროშურაში — ბუნების კანონი არის, უსარგებლო იქნება ყოველი წინააღმდეგი ზრუნვა და ლაპარაკი; ბუნების წესი, ვით თვით დემეტრის წესი, სრულდება ჩვენ დაუკითხავად, მისთვის სულ ერთია მოგვწონს თუ არა მისი კანონი. მაგრამ რით ამტკიცებ შენ, რომ ის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნებითი წესი? ამას შენ ბროშურაში ამტკიცებ მარტო ლოლიკური თეორიით (теориею), მართლა, ღრმით მოსაზრებული და გონივრად გამოთქმული თეორიით, მაგრამ მინც თეორიით; იმ შენი თეორიის თავსაკიდური აზრის — ეს არის: „სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი (одно органическое целое) ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა ქონდეს, ენა სულია ორგანიზმისა. მაშასადამე, ერთი ენა უნდა იყოს სახელმწიფოში. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება მაგარი და მკვიდრი“.

ეს აზრი თეორიულია. შედარებით, ანუ დამსგავსებით შეიძლება სთქვას კაცმა: სახელმწიფო ორგანიზმი არის, მაგრამ ასო-ასოთ არ მიიღება ეს დამსგავსება. მართალია, სახელმწიფო არის შეერთება მრავალთა განყოფილთა ორგანიზმთა, ე. ი. ადამიანთა; რაც გინდა მჭიდროთ და მაგრათ იყოს იგინი შეერთებული ასო-ასოთ, ერთ ორგანიზმს ვერ შეადგენენ. პრაქტიკა, გამოცდილება ამტკიცებს თუ არა ამ შენს თეორიას? შენ ჩემზე უკეთ იცი, რომ თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებისაგან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ე. ი. ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება. მართალია, შენ წერილში კი მოიყვან რომელთაზე ფაქტებთა დასამტკიცებლად შენი თეორიისა (ამათ განვიხილავ ქვემოთ), მაგრამ ბროშურაში ფაქტები არ მოგვყავს; მხოლოდ ამბობ: „ისტორიული განხილვა მეორე ნაწილში იქნება“. თეორია, რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერაოდეს ვერ ახსნის მრავალფეროვანს, მრავალკერძოს, დაუცხრომელად მოძრავსა, მუდამ ცვალებადს კაცობრივსა ისტორიულსა ცხოვრებასა... ახლა გადავად იმ ფაქტების განხილვაზე, რომელთაც შენ მოიყვან წიგნში. მაგრამ წინაპირველად ჩემი მხრით მოვიყვან აქ

ერთსა შესანიშნავს საზოგადო ფაქტს: დედა-მიწის ზურგზე დასაბამიდან ვიდრე აქობამდე და ახლაც ჩვენს დროებაში, არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსა შინა ყოველი მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ ერთი ენით; ყოველ დიდ სახელმწიფოში ყოველთენ და ყოველგან, გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, ყოფილან სხვა წვრილწვრილი ენები, გარნა ეს გარემოება არაფერს არ უშლიდა და არც ახლა უშლის, ე. ი. მარტო ამ გარემოებას სახელმწიფო არ დაურღვევია, არც დაუსუსტებია. შენ წიგნში მოყვანილი ფაქტები, ჩემი შეხედვით, არ ამტკიცებენ შენი ბროშურის თეორიას, არამედ ამის წინააღმდეგს. შევიცარიას უჩვენებ და იტყვი, რომ აქ სამი ენა არისო და ამისათვის ერთი მკვიდრი სახელმწიფო არ არისო.

შევიცარია დიად მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის. ანუ ფედერაციის რესპუბლიკას შენ სახელმწიფოთ არ თვლი?! ნუთუ მარტო მონარხია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა კი არა? ჯონებ, შევიცარიისთანა განათლებული, მაგარი ერთობით, თანხმობით საესე სახელმწიფო არც კი არის მთელ ევროპაში. მართალია, ავსტრია, რომელსაც შენ მოიყვან შემდგომ შევიცარიისა მაგალითად, თითქმის შენ აზრს ამართლებს. ავსტრიაში სამი თესლია ანუ ენა: ნემეცური, მაღიარული, სლავიანური; ერთმანეთში უთანხმობით და სიძულვილით სცხოვრობენ, მაგრამ აქ ენების განსხვავება არაფერ შუაში არის, არამედ სხვანი ისტორიულნი მიზეზნი და გარემოებანი. ზემოხსენებული სამი თესლი მახლობელ დროებაში შეადგენდნენ სამათა მძლავრთა სახელმწიფოთა. მერმე ხელოვნებით და არა ბუნებითის წესით იქმნენ შეერთებული ერთ სახელმწიფოს ქვეშ. საუბედუროთ, მათ მმართველობა სწორის სამართლით (равноправно) არ ეყურობა ყველა თესლებს. ნემეცი და მაღიარები ავიწროებენ ჩეხებს და სხვა სლავიანებთ. ბოლოს ერთმანეთშიდაც აქვთ შური და სცდილობენ მოიპოვონ უპირატესობა (გეგემონია). ამ მიზეზით და არა ენის განსხვავებით არის ავსტრიაში არეულობა და შფოთი... ისტორია, მართალია, ახსენებს მრავალთა თესლთა და ენათა, რომელნიც თითქმის განქარდნენ ისტორიული ასპარეზიდან, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა, მტრისაგან შევიწროება, იძულება, ამოწვევა! თუ ამ სახით ენის მოსპობას უწოდებთ თქვენ ისტორიულ კანონად და წესად, მაშინ წინააღმდეგს ვერავინ დაგიმტკიცებს. ამ სახით მოისპო გალლიების თესლი და ენა, რომელთაც შენ ახსენებ წიგნში. გალლიები ნახევარი ამოწყვეტეს და ნახევარი ფრანგებმა გაიყვეს, მაგრამ ამბობენ, რომ ფრანციაში, ე. ი. ნორმანდიის პროვინციაში, ახლაც არიან დანაშთი მათის თესლისა, კელტები, რომელთაც შენახული აქვთ ძველი ენა. რადგან სიტყვა ფრანციას შეეხო, ამა ერთი შესანიშნავი ჩვენი საგნის ასახსნელად ფაქტი: სუყველანი ამბობენ, რომ ფრანციისთანა ერთგვაროვანი და ენოვანი სახელმწიფო არ არისო ევროპაში, მაგრამ იქაც, სამხრეთის მხრით, ისპანიის სამძღვრებთან, ახლაც სცხოვრობს ერთი ძველი იმ ერის დანარჩენი ხალხი, სახელად ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველ ენას ხმარობს. ასეთ რომა, მათ სასამართლოში ფრანგი მეტარგმნე უნდება. გაშინჯე რომა, ევროპის პირველმა ენამ

ვერ მოსპო „ბასკების“ „ველური“ ძველი ენა, რომელსაც ხმარობს ერთი მუჭა ხალხი ორი ათასი წლის განმავლობაში, რასაც შენ ამბობ მეორე ნაწილში შენი ბროშურისა, იმაზედ, რომ მცირე ხალხისათვის მიუცილებელი საჭიროება და სარგებლობა არისო შეერთება დიდ ხალხთან, მისი ენის სწავლა, მისი ენით მიღება განათლებისა, ეს ყოველივე დიად პატიოსანი და ჭეშმარიტია, თუ გინდა ბუნების წესი და კანონი არის: ბუნებაში ყოველივე ერთი სუსტი და მცირე, ეძიებს შეერთებას და გაძლიერებას უღონიერების და უძლიერების შემწეობითა.

სხვა საბუთი და დამტკიცება რომ არ იყოს ამ აზრისა, მარტო ჩვენ, ქართველთა მაგალითი და გარემოება ცხადად ყოფს ამას. ჩვენი ხალხი და ქვეყანა რომ არ შეერთებულიყო ძლიერის რუსეთის ხელმწიფის ხელში, ახლა ჩვენ შთანთქმული ვიქნებოდით მაჰმადიანთა სიბნელეში.

ამის წინააღმდეგ ვინ იტყვის, გარდა ჭკუით დაბნელებულთა? თუ მცირე ხალხის ენა და თესლი უთუოდ უნდა შთანთქმული იქნას დიდი ხალხისაგან, — კურთხეულ არს დიდი მოწყალე ღმერთი, რომელმა არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმად თათრებთ და ყიზილფაშებთა, წყევლთა და შეჩვენებულთა (იმათ ეგოდენი სტანჯეს, აწვალეს და გარყვნეს ჩვენი უბედური მამები, რომ შემენდობა მათი დაწვევლა). შეერთება (слияние) სხვა არის და შთანთქმა სხვა. ყოველივე ერთი შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან — სულით, გულით, აზრით, ინტერესებით; მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება და არც არაფერს დაუშვებს, ანუ დაუშლის ენა ამ ერთობას. შენ ამბობ, რომ მცირე ხალხი თავისი ღარიბი ენის საშუალებით ვერ მიიღებს ცივილიზაციასო: განა არ შეიძლება, რომ დიდი ხალხის ენით მიიღოს კაცმა სწავლა და განათლება და მისი ენაც არ დაივიწყოს? რა დაგიშალა შენ ქართული ენის ცოდნამ? დიდი განათლება მაინც მივიღია, რუსული, ფრანციული და სხვა ენათა საშუალებით შენი ენაც არ დაგიკარგავს. ამ სახით იქცევიან ყოველნი პირნი, დიდი განათლების მაძიებელნი. ხალხის ხალხთან ერთობა (слияние) მარტო ენით არ მოხდება და არც დაბრკოლდება; ამას გვიმტკიცებს ისტორია ცხადით. ენაზე უდიდესნი არიან სხვანი კავშირნი, რომელნიც შეაერთებენ უფრო მაგრამ ხალხთა და ტომთა: კაცისა შინაგანი გრძნობა, და ხალხის „აზრი“, ხასიათი, ენაზე უდიდესნი არიან. ენა არის მხოლოდ მათი გამოთქმული, გარეგანი სახე; თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებს კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქმს; და სუყველა ერთად ამათზე უდიდესნი, ბურჯი გაუწვევტელი კავშირისა ხალხთა შორის, ჩემის აზრით, არის სჯულის აღსარება. თუ ერთი სჯული და აღსარება აქვს ორ შეერთებულ ხალხს, ამაზე უმტკიცესი კავშირი სხვა აღარ იქნება მათ შორის. შენი ბროშურის აზრს, თუ უკაცრავათ არ ვიქნები ამის თქმით, ის ავნებს, რომ იგი არის გამოთქმული კატეგორიულად (категорически) ანუ აქსიომის მსგავსად (как аксиома). ე. ი. არ აქვს განსაზღვრება. აქსიომები მარტო მათემატიკაში არიან მისაღები. ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი. მართალია, პირველად მცირე ხალხები სხვადასხვანაირი არიან, მათშიდაც დიდი განსხვავება არის. ჩვენ, ქართველნი და სომეხნი მცირე

ხალხნი ვართ ერთი მხრით; მეორე მხრით, — აფხაზნი, ოსნი, ლეკნი ანუ ვსთქვათ რუსეთში — მორდვა, ჩერემისი და სხვანი მცირე ხალხნი არიან, მაგრამ ნუთუ ორივე ამ ღრუბლის — (группа) ხალხზე ერთი და იგივე იტქმის შესახებ მათი ენისა?!...

მეორე ღრუბლის ენები არიან უკიდურესად მართლა ღარიბნი. მათი ენით არა ერთი განყენებული (отвлеченное) აზრი არ გამოითქმის, ანბანი და მწიგნობრობა მათ არა აქვს, ლიტერატურა მით უმეტესად; ისტორიული თავის ცნობა (историческое самосознание) მათ არა აქვს. ერთი სიტყვით, არცა ერთი ელემენტი არა აქვს მათ ენას მყოფელობისა ანუ არსებობისა. ამისთანა ხალხებზე მარტო რომ გეტყვა ის აზრი შენი, მაშინ არ გაუძნელდებოდა კიდევ კაცის გონებას მიღება მისი. მაგრამ ქართულს, სომხურს და ამათ მსგავსთა ენაზედაც თუ გაავრცელე შენი აზრი, მაშინ არავინ არ შეიწყნარებს მას. ქართველის და სომეხების ენანი, თუმცა მცირე ხალხის ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი; იმ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, საღმრთო წერილი და მრავალნი წმიდა მამათა ნაწერები და ნათარგმნი. ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის, მათ აქვსთ ორი ათასი წლის მეტი ისტორია, ისინი იყვნენ ოდენმე თვით მდგომარენი სახელმწიფონი. ერთი სიტყვით, აქვსთ მათ ყოველნი ელემენტი არსებობისა და სიცოცხლისა. ამისათვის მათი განქარვება ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია და წარმოუდგენელია. მეორე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი აზრისათვის, რომ შესაძლებელია და მრავალგზით მომხდარა მცირე ხალხთა ენის შეერთება, ანუ უმჯობესად გადასვლა მის ერთ გვაროვანის, მაგრამ განსხვავებულის დიდი ხალხის ენასთან, მაგალითებრ: მოლოროსიულის ენის რუსულ ენასთან, ქართულთან და სხვა. მაგრამ ეს იქნება ენის გადაკეთება და არა განქარვება. თვით პოლშური, ბოლგარული, ჩეხური, გალლი და სხვანი სლავიანების ენები რომ გადაკეთდნენ რუსულ ენათ, ეს გასაკვირველი არ იქნება. მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, ამისთანა მოვლენაც ძვირათ მოხდება. უფრო შესაძლებელია, უფრო ხშირად ამის წინააღმდეგი მომხდარა, ე. ი. ერთი ძირი დედაენისა მრავალ შტოებათ განყოფილა, გარნა ორი სრულიად სხვადასხვა გვარის ენა შეერთდეს, თან მცირე ხალხის სრულიად სხვადასხვა გვარის ენა რომ თავისთავად, გარეშე ყოვლისა იძულებისა განქარდეს, და მის მაგიერად სრულიად სხვა გვარის ენა მიიღოს, რაც გინდა მცირე იყოს ხალხი, — ეს შეუძლებელია. მომეტებული დეცენტრალიზაციაც არ არის კარგი, მაგრამ ისევე ისა სჯობია პირველს, ე. ი. ცენტრალიზაციას. ამისათვის, მე მგონია, მავნებელი იქნება ისიც, რომ ენები მცირე ხალხებისა სულ განქარდეს და დიდი ხალხებისა დარჩეს. მესამე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი თხზულებისათვის, რომ მცირე ხალხში ყოველნი დაწინაურებულნი პირნი, თავდაზნაურნი, სამღვდელნი, ხშირად ივიწყებენ თავის ენას და დიდი ხალხის ენას მიიღებენ და არა მთელი ხალხის მასით (массою), ან რა სახით შეიძლება ეს? ავიღოთ ერთი სოფელი, მაგალითებრ დიდოში, ანუ კულაში იმერეთში: აქ გლეხი კაცი და ქალი დაიბადება, ატარებს სიცოცხლეს თავის ოჯახში თავის ენით, ასში ერთხელ

ვერ გაიგონებს სხვა ენას; რა სახით დაივიწყებს ის მის ენას? სკოლები მოაშლენებენ მას ენას? სკოლა სოფლისა ვერასოდეს ვერ იმოქმედებს ისე, რომ თავისი ენა დააღვიწყოს ადამიანს. სხვა არის, როდესაც დიშნაზიაში, აკადემიაში, უნივერსიტეტში ისწავლის კაცი, მაშინ ხშირად დაივიწყებს თავის ენას; მაგრამ ამისთანა სასწავლებელნი არაოდეს არ ყოფილან მთელი ხალხისათვის გახსნილნი, არამედ ათასში ერთისათვის. მე გგონია, რადგანაც შენ იურისტი ხარ და გონება ყოველთვის გართული გაქვს დიდ სამოქალაქო საქმეებში, ამისათვის ნამეტანი ფიცხელი იდეალი (идеаль) შეგიყენებია სახელმწიფოს მკვიდრობაზე და სიმბაგრეზე. ამ შემთხვევაში შენ შეედაც ითქმის ის ანდაზა, რომელსაც ამბობენ შენებარ ფიცხელ იურისტებზე: „pereat mundys fiat iustitica“ — ქვეყანა დაიქცეს, ოღონდ სამართალი კი შესრულდესო. ქვეყანა თუ დაიქცა, სამართალი ვიდასთვის იქნება საჭირო? შენც ერთი მხრით ასეთე ამბობ: სულ ყველა მცირე ხალხის ენები განქარდეს, მხოლოდ სახელმწიფო გამაგრდესო. მაგრამ საქმე ის არის, რომ სახელმწიფო ვერ გამაგრდება. თუ კიდევ უკაცრავად არ ვიქნები ამ კითხვაზე, წაგიკითხავს თუ არა უცხო ფილოსოფიის დჟონ სტიუარტ მილლის (Джон Стюарта Милля) თხზულება თავისუფლებაზე (о свободе), მესამე თავი, სადაც ის უცხოთ ამტიკიცებს, რომ ინდივიდუალობა (индивидуальность) ე. ი. ყოველი საკუთარი განმსახვავებელი თვისება, ხასიათი, საჭირონი არიან ყოველი კაცისა (მაშასადამე ხალხისათვისაც) კეთილმდგომარეობისათვის და ბედნიერებისათვის. ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა, მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისათ-

ვის, — რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს, — არის სასურველი. მცირე ხალხი რომ შეერთდება დიდ ხალხთან, რამე მცირე მანაც თავისი საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ ხალხს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზე; როგორც რომ კარგ მუშა მშრომელს ოჯახს ეშველოს უღონო ზარმაცი კაცი, არაფერს სარგებლობას არ მოუტანს, გარდა იმისა, რომ ოჯახის ნაოფლარ პურს შეჭამს. მცირე ხალხი მოკლებული თავის ენისა—იქნება მოკლებული ყოველი ინდივიდუალური ხასიათის თვისებათა და უსარგებლო იქნება თავისათვისაც და სხვისთვისაც, როგორც კერძო პირი, არა მქონი პირადი თვითმდგომარეობისა (личной самостоятельности) ვერაფერ კეთილ და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს.

ამ ჩვენ ურთიერთშორის მიწერ-მოწერას, ვგონებ, შენ არ აძლევ არავითარ პოლიტიკურ მნიშვნელობას, ვითარცა მეც არა ვხედავ მასშინა სხვა არაფერს, მხოლოდ ერთ სამცენიერო ისტორიულ საგანზე ბაასსა. ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, თვით უბრალო მეგობრულ ლაპარაკშიაც ეძიებენ ზოგიერთნი პირნი პოლიტიკურ განზრახვას; ამისათვის ჩავთვალე საჭიროდ ამისი თქმა. ბოლოს ერთ ბოლიშს კიდევ მოვიხდი: გრძელი წერილით თავი შეგაწყინე, მაგრამ ისეთ საგანზე ვლაპარაკობ, რომელიც შენ გიყვარს, რომელზე ბაასი არ მოგწყინდება. ამისათვის ვბედავ გრძელი წერილის მოწერას. უკაცრავად ვარ აგრეთვე, რომ ცუდი ხელით ნაწერი არის ეს ჩემი წერილი.

შენი ერთგული და სიმაღლის მსურველი **ბაბრიელ**,
 მანისკოვსკი იმპერატორისა.
 ქ. ქუთაისი, 21 ნოემბერი, 1872 წელსა.



ს ა ნ თ ი მ ლ ნ ი

დ ა შ უ შ რ ე ტ ი მ ლ ნ ი

ს ა მ ე ი ლ უ მ ე ნ ი ა ო ა ვ ს ო (შუშანია)

**ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და
შეიწყნარე, უფალო, სახსენებელი
მათი თესლითი თესლამდე.**



შესრულდა 20 წლისთავი, რაც ამიერ ქვეყნიდან ღვთივ აღესრულა თეკლათის ზედა მთავარანგელოზთა სავანის (იმავე — შუშანიას მონასტრის) წინამძღვარი, სქემილუმენია ფავსტო (შუშანია). ცნობილია, რომ ხსენება მართლისა ქებით აღესრულების... ეს სიტყვები გარდასულ დროთა მრავალ მოღვაწეთა შორის არანაკლებ ეხება სულგურთხეულ სქემილუმენია ფავსტოსაც, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ამქვეყნიური ცხოვრება კეთილი მოღვაწეობით განვლო და ნათელი კვალი და ნეტარი მოგონება დაგვიტოვა.

ფავსტო შუშანია დაიბადა 1884 წლის 3 აგვისტოს ახალი სენაკის მაზრის სოფელ კვაუთში. იგი იყო ასული ისლამ შუშანიასი და ანნა დგებუაძისა. მისი მშობლები თავად ღრმადმორწმუნენი და შვილების კეთილად აღზრდელნი იყვნენ. ისლამ შუშანია იყო ფრიად განსწავლული კაცი, გულმოწყალე, მართალი, გლახაკთა შემბრალეული და წყალობის მბოძებელი, მლოცველი და ღვთის მადიდებელი. ბოლოს იყო ფრიად შეძლებული, მაგრამ სიმდიდრისადმი არდამონებული და ქველმოქმედი. შვილების მცირედ წამოზრდის შემდეგ ისლამმა ბერობა მიიღო და იწოდა საბერო სახელი იოანე.

სქემილუმენია ფავსტოს დედა ანაც საოცრად შემბრალეული და მოწყალე ყოფილა. მის შესახებ გადმოსცემდნენ, ხშირად სახლი დაუცარიელებია და გაჭირვებულისათვის ურუქნიაო ფული და საოჯახო ქონება.

14 წლის ფავსტოს უნახავს სიზმრისეული ჩვენება, რომ უცნობ მონოზონ ქალს იგი თავისთან მიუხმია, დაუ-

ლოცია და კისერზე ფსკვნილი დაუკიდნია. მშობლებმა ეს სიზმარი ღვთიური ნების გამოვლინებად მიიღეს და გოგონა მაშინვე თეკლათის ზედა მთავარანგელოზთა სავანეში მოღვაწე ალექსი ბერთან (შუშანია) წაიყვანეს. ალექსი ბერი ამ დროს უკვე კარდახშულ, მკაცრ, დაყუდებულ მოღვაწეობას ეწეოდა თავის სენაკში.

შემდგომად მცირე დროის გასვლისა, ფავსტო თეკლათის დედათა მონასტერში არსებულ სამონასტრო სკოლაში შეუყვანიათ. საოცრად მცირე დროში შეისწავლა საეკლესიო ტიპიკონი, კითხვა-გალობა, ოქრომკვდით ქარგვა და სხვა; იგი გამოირჩეოდა სამაგალითო ყოფაცხვეითა და სილამაზით. სწავლის შემდგომ სასულიერო მოღვაწეებს შეურჩევით რამდენიმე კარგი ნაქარგი, ბოდბის წმიდა ნინოს მონასტერში წაუღიათ და მათი მოქარგველი ბავშვებიც წაუყვანიათ. იქ სხვა სასწავლებლებიდანაც ყოფილა წარდგენილი ხელით ქარგვის მრავალი ნიმუში, მაგრამ ყველაზე მეტად ფავსტოს ნამუშევარი მოსწონებიათ, და ამისათვის კიდევაც დაუჯილდოებიათ.

შემდგომად ორი წლისა, 16 წლის შესრულებისთანავე, ფავსტომ უკვე განცხადებულად გამოთქვა სურვილი მონასტრის კრებულში ჩარიცხვისა და მონოზონად კურთხევისა, რის შესახებაც წერილობით მოახსენა ალექსი ბერს და სთხოვა ლოცვა-კურთხევა. ნათელმხილველობის მადლით ღვთისაგან დაჯილდოებულმა ალექსი ბერმა მოუწონა განზრახვა ფავსტოს, ჯერ ლექსად შეუქო ღვთიური გადაწყვეტილების მიღება და ბოლოს კი თხორობითაც

მიუწერა დარიგება (1900 წ. 4 VIII-ს.), ხოლო ორიოდ დღის შემდგომ კი, 7 VIII-ს, 16 წლის ფავსტოს საკუთარი ხელით შექმნა სამორჩილო კაბა-ანაფორა. იმავე წელს ალექსი ბერმა აღკვეცა იგი სქემონოზნად (დიდ-სქემოსან მონოზნად). ალექსი ბერის მოძღვრობითა და მისი მუდმივი სულიერი ზედამხედველობით, ახალგაზრდული ძალითა და ღვთისადმი მოზღვავებული სიყვარულით ფავსტომ იმავე მონასტერში განაგრძო მოღვაწეობა. სქემონოზონი ფავსტო ღრმა რწმენისა და თავდაუზოგავი მოღვაწეობის გარდა სილამაზითაც გამოირჩეოდა.

შემდგომად ერთი წლისა, 1901 წელს ფავსტოს კეთილმაგალითის მიზნად მისმა ერთი წლით უფროსმა დამაკავშირებელმა, ისიც აღიკვეცა სქემონოზნად და თეკლათის დედათა მონასტრის კრებულში ჩაირიცხა.

სქემონოზონმა დებმა ფავსტომ და აკეფისმემ თეკლათის მონასტერში იმოდგაწეს 1918 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ისინი არ იშურებდნენ ძალღონეს, ფიზიკურად შრომობდნენ, ლოცულობდნენ, აღასრულებდნენ მონასტრის განაწესს და დღით-დღე წარმატებოდნენ სულიერ-ზნეობრივი სისრულით. ერთდროულად, მონასტრის წინამძღვრის ლოცვა-კურთხევით, სქემონოზონი დები დრო და დრო აკითხავდნენ ხოლმე მათ მოძღვარ ალექსი ბერს, აღსარებას აბარებდნენ და მისგან დარიგებებს იღებდნენ.

1918 წლიდან კი, როდესაც მათი მოძღვარი ფიზიკურად ძლიერ დაძაბუნდა, სქემონოზონი ფავსტო დითურთ სამოღვაწეოდ თეკლათის ზედა მთავარანგელოზთა სავანეში გადასახლდა. ალექსი ბერს მის გარდაცვალებამდე უვლიდნენ (1, 1923 წ.). შემდგომ ალექსი ბერის გარდაცვალებისა სქემონოზონი ფავსტო დითურთ მარტო დარჩა სავანეში.

1935 წლის სექტემბრის თვეში ეპისკოპოსმა ტარასიმ (კანდელაკი) იგი ილუმენიად აკურთხა. მიუხედავად სამონასტრო კრებულის სიმცირისა, რომელსაც შეადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ ორნი დანი. ისინი არ შეუშინდნენ საშრომ-სამოღვაწეს სიმრავლეს და ძალ-ღონისა და სულიერი ენერჯის უდიდესი დაძაბვით მონასტერს სანიმუშოდ უვლიდნენ, აღასრულებდნენ მონოზნურ კანონს, ლოცულობდნენ ტაძარსა და სენაკში, იღებდნენ მლოცველთ, მძოდვრიდნენ უბედურებაში ჩავარდნილთ, უვლიდნენ საქონელს, ამუშავებდნენ მონასტრის მიწას...

„თქვენ ხართ ნათელი სოფლისაჲ. ვერ კელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“ (მათე, 5, 14), ბრძანებს მაცხოვარი და ფავსტოც ჩანდა მთაზე დაშენებული ქალაქივით, სანთელად ჰნათობდა თავისი წმიდა, უმწიკვლო რწმენით, ცხოვრებით, ღვაწლით. იგი რაღაც გამოუთქმელ, დიდ სულიერ ძალას ფლობდა, მისი არალიტონი, გულიდან ამოსული სიტყვა ღრმა, საღი მსჯელობით მსმენელს სერიოზულად ჩააფიქრებდა, აღელვებულსა და აღშფოთებულს დააწყნარებდა, ამაო წუთისოფლისაგან განწირულთ განამხნევებდა. მონასტრიდან ქალაქში იშვიათად, მხოლოდ აუცილებელი საქმის გამო წავიღოდა და მაშინაც სრული სამონოზნო შესაბამის-

ლით მოსილი, წელში გამართული, დარბაისლურად მიაბიჯებდა, ღირსეულად ეჭირა თავი. ხალხი აღფრთოვანებული იყო მისი არაჩვეულებრივი სილამაზით, რომელიც სიკვდილამდე არ დაუკარგავს. უყვარდათ პატიოსნებისა და მტკიცე, შეურყეველი რწმენის გამო, მოწიწებით ესალმებოდნენ და გზას უთმობდნენ...

1965 წლის დეკემბრის თვეში აწ განსვენებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ (სიდამონიძე) სქემილუმენი ფავსტო გამწვენიებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

ასე პატიოსანი შრომითა და მოღვაწეობით განვლო ფავსტომ მრავალი წელი თავის სავანეში. დრომ და ასაკმა თავისი ჰქმნეს, ბოლოს ისიც გატყდა ფიზიკურად და 1967 წლის 4 სექტემბერს (ახ. სტ.) აღესრულა ამიერ ქვეყნიდან; განწმედილი სულით წარემართა უფალთან.

დიდი იყო მორწმუნეთა და სულიერ შვილთათვის მისი გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი. წინასწარმეტყველი ბრძანებს: „...დღენი წელიწადთა ჩვენთანი მათთანა სამეოცდაათ წელს, ხოლო უკეთუ ძლიერებასა შინა ოთხმეოც წელს და უმრავლესი მათი შრომა და საღმობა...“ (89 ფს. 9-10). ფავსტომ ოთხმეოც მეტი წელი იცოცხლა და თითქმის ყველა მისი დღე იყო სავსე შრომითა და განსაცდელით, ყოველივე დათმინა არა ქრისტესგან სასყიდლის მიღების იმედით, არამედ ჯვარცმული იესოს სიყვარულით. მას არ შეეძლო არ ყოფილიყო კეთილი. მისი სიკეთე მისივე გულიდან და გონებიდან გამოდინარეობდა.

მონოზონს არ დასტირიან გარდაცვალებისას, რადგან იგი უკვე მკვდარი იყო სოფლიურ, ამქვეყნიურ შეება-სიხარულთათვის. იგი სულიერად იშვებდა და იხარებდა ქრისტეს სიყვარულით, ქრისტეს სახელით მოყვასთათვის ლოცვითა და შრომით გაწეული სიკეთითა და ცოდვაზე დღითიდღე გამარჯვებებით.

და მაინც, ძნელი იყო მორწმუნეთათვის მისი გარდაცვალება. განსვენებულს შეუსრულეს „წესი მონოზონსა ზედა შესვენებულსა და მიაბარეს მისგან დიდად ნაამაგევი სავანის მიწას მთავარანგელოზთა ტაძრის აღმოსავლეთით.

შრომა კეთილი მოიმუშავა სულკურთხეულმა და დაგვიტოვა სახსენებლად და სამაგალითოდ კვალი კეთილი. სახსენებლად საუკუნოდ იყოს მართალი, ამინ!

ვბეჭდავთ შუმანიას სავანეში შემორჩენილ რამდენიმე წერილს, რომელთაგან ერთი ეკუთვნის ალექსი ბერს, ორი კი სქემილუმენია ფავსტოს.

ღამომწერა ანაფორის კუროსხვის დროს

(თხრობითი ნაწილი)

...აწ, ჩემო სულიერო შვილო ფავსტო! შენ იცი თუ ვითარ დაიცავ შენს უმანკოებას და სულით და ხორცილთ პატიოსნებას. შენი წარმატება და სულიერად აღშენება შესდგება სიმდაბლითა და სიმშვიდით და იესოს ლოცვით. თუ ამ გზით მარადის მიმართავ მაღლის ხედვას, მაშინ აღშენდება შენს შინაგან გულში უმაღლესი ძალა, რომელსაც ვერ სძლევს ვერაფერი საქვეწმქო საცდურება და ესე არს სიყვარული ქრისტესი. ვევედრები ჩემს გან-

მაძლიერებელს და ჩემი ოჯახის მაკურთხეველ იესოს, რომ სიყვარული მისი ძლიერად აღშენდეს და დაიუნგროს მტკიცედ შენს სულსა და გულში. ამინ.

შენი სულიერი მამა ალექსი, 1900 წ. 7 აგვ.

სიტყვა, თქვენი სპირიტუალური მამის მიერ სპირიტუალურად აღმზარებულ (დაბნობილ) დაბრუნებულ მამა ალექსის დედას მიმართ.

მაძლიერებელი სქემონოზონი დედაო ელენორა, ნეტარ არს გზა ეგე შენი, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს!

თუმცა, ვიდრე სოფლის გამოთხოვებამდე აქაც გიწოდებდნენ ნეტარად და დედოფლად და ყველანი თქვენს გარშემო მყოფობას და დაახლოვებას ნატრობდნენ. რადგან ეს თვალთმაქცი ცხოვრება საცოდავად აღამიანს ბტუებს და ხიბლავს, რასაკვირველია, ამისთვის ყველანი შეგნატრობდნენ და გვერობდნენ მისთვის, რომ დიდებული სასახლე ლიტონ ცხოვრებას წარმოადგენდა და დიდად უკანასკნელამდე ყველას ამხანაგად უზღებოდი, ყველას გაჭირვებასა და მწუხარებას თანაუზიარებოდი და თქვენს თავს არ იმაღლებოდი. შემოსენებული დედოფლობა შენს ღრმა სარწმუნოებას ვერ აღემატება და მაღალმა სარწმუნოებამ ამ ქვეყნის დედოფლობა გაგაცნო, რომ წარმატება და წარუვალი დედოფლობისკენ მიგიბრუნებდა, რომელმან უარყოველად და მიუღწეველად დედოფლობისა. მაგრამ აქაც არჩეულ იქმენ სისხლის ოფლით აღშენებულ-თავგანწირვით მცხოვრები სახარებელი დედათა მონასტრის დედეებისა და დებისაგან წინამძღვრად, სადაც აქ მეტი სიმდაბლე გამოიჩინე, არამც თუ უფროსი, არამც იქცეული ყველაზე უკანასკნელად და უფრო და იყავი ყველასი არა თანასწორი ამხანაგი, არამედ უმრწემესი. მაგრამ იმ დედა-ღვთისამ რომლის გულში განვლო მსხვილმან, ის მსხვილი შენთვისაც წილხვდომილყო და მოგტაცა შენი სინორჩის სიხარული პირში შეილი კოკი. ესეც არ გაკარეს და უკვდავი ქვეყნის დიდებისათვის დაგაჯილდოეს ჯახუ, მისი და ქუქურუას განშორებით, რამაც დაბზარა გული შენი; მძიმე შემთხვევებმა შენც გამოგასალმა წუთიერ ცხოვრებას და გადაგიყვანა იმ დაუსრულებელ და უკვდავ ქვეყანაში, რომელსა შინა მყოფნი შენი ძვირფასი შეილნი დღეს გარშემო გეხვევიან და აქ მწარედ დასჯილ დედას, იქ სიყვარულით დაგატბობენ. აქ კი ხორციელად შენი ძვირფასნი შეილნი, რძლები, შეილისშვილები, თქვენი ოჯახის თავმჯდომარე ალზრდილნი და ტომნი და ნათესავნი, აგრეთვე თქვენი სულიერი შვილები — აქ მყოფნი მონოზენები შენს ცხედარს გარშემო ეხვევიან. მაგრამ ერთი ყველაზე უმეტესი თქვენი ოჯახის მტკიცე მოსიყვარულე სულიერი მოძღვარი, მამა ალექსი მოგვეგებება მის საყვარელ შეილს და ქრისტეს შეგავდრებს და მაშინ კი მოგვიგონეთ მრავლად-დასჯილი და დაობლებული შეილები. თქვენი მგზავრობა წარმართებულ ბეოს მაცხოვარმან, ანგელოზნი გიძილოდეს და დედა-ღვთისა შეგიტბობდეს. ამინ.


(წერილი დაუთარილებელია და „შავადა ნაწერი“)


დაწერილი

ძნელია აილოს კაცმა კალამი და თქვენს ტანჯვას ენაწილოს. ახლა ძველი წმიდანების წამება მოიგონე და ამით შენი თავი ანუგეშე საუკუნო დიდებისათვის. წმიდა დედები წინეთ თავის შეილებს წარუდგენდნენ საწამებლად მტარვალ მუფეს და ღმერთს მადლობას სწირავდნენ. სიკვდილი დაკანონებულია; ვიცით, ყველა მოკვდება. ღმერთს თავისი ვალი მოიხადა, ჩვენ კი რომელ წუთს მოგვადგება, გაგვიყვანს, არ ვიცით. ამისთვის უნდა დავითმინოთ ყოველივე ტანჯვა, რადგან „ათასი წელი ვითარცა გუშინდელი დღე“. ჩვენც მალე მასთან ვიქნებით. ჩვენო დაო, თქვენი ღმერთსა ბედნიერია, რადგან განუშორა ჯოჯოხეთურ ცხოვრებას და დაიპყვირა ნეტარულ წმიდა დედებთან ადგილი. ამქვეყნად შენს ღმერთს იშვილად ხედავდი, შორს რჩებოდა შენგან და ახლა კი სულით მარად შენთან მხედველია. ახლა მას ძულს ეს ცხოვრება, ხორცი, ნათელღვინი სულით ხარობს ნეტარებაში. აი, ხომ ხედავ, რა არის ადამიანი, ცოცხალი ვარ და შენთან ვერ მოვდივარ. სატანჯველია ეს ქვეყანა. „რომელი უფარს უფალსა, სწავლის და სტანჯვის“. რისთვის გეტანჯავს ღმერთი? მისთვის, რომ დაუსრულებლად ვიხაროთ, ამწუთიერად ვიტანჯოთ და არავისგან წაურთმეველი დიდება მივიღოთ. წმიდანების ცხოვრებას რატომ ივიწყებ — „განიტვინეს, განიხერხნეს, განიცადნეს და ვერ პოვენ გამოხსნა ამ ქვეყნად“. მიხედვით დანარჩენ შეილებს, განსაკუთრებით უორას, გააშხვე, ანუგეშე და ღმერთს მიხედვე ყოველივე.


ჩვენო კარგო ღმერთსა, თქვენ იყავით თავმდაბალი, უმაცო და მარტივი, ამისთვის განგაშორა ამ დაუნდობელ ცხოვრებას, რათა მიიღოთ საუკუნო დიდება. დავილოცოს ქრისტემ მგზავრობა, გიძილოდეს მცველი ანგელოზი, გფარვიდეს დედა ღვთისა და მოგცეს ნება, რათა ევლინებოდე თქვენს მძიმედ დაწმუნებულ ოჯახს, ამინ.

ეს წერილი დაუთარილებელია, „შავი“ ნაწერია. ხსენებულმა მატრონამ დიდხანს იცოცხლა, სქემონოზონობა მიიღო და შემდგომად სიკვდილისა დაკრძალულ იქნა შუშანიას მონასტერში. იგი კეთილი სიტყვებით ხშირად იხსენებდა ხოლმე სქემილუმენია ფავსტოს და იტყოდა, მან გაღამარჩინა თვითმკვლელობას და მწუხარება შეუწელო ჩვენს ოჯახს.





ბათუმი. წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია, აგებული ზუბალაშვილების მიერ.



ხ ს ო ვ ნ ა გ უ ლ ი ს ა

რამეთუ კეთილი ქმნა ჩემდა მომართ
მ. 26. 10

ვინც ოდესმე ბათუმში ყოფილა, სამუდამოდ და-
ამახსოვრდებოდა რკინიგზის სადგურთან აღმართული
გოთური სტილის ტაძარი. ცად აფრენილ ორ შპილს ქვე-
მოთ, ნიშებში გამოსახულია საქართველოს განმანათლე-
ბლების, წმიდა მოციქულ ანდრეასა და მოციქულთა —
სწორ წმიდა ნინოს ბრინჯაოს ქანდაკებები. საკურთხევე-
ლის უკან მარმარილოს დაფაზე შემდეგი წარწერაა ამო-
კვეთილი:

**„ტაძარი ესე ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობელი მა-
რიამისათვის ზღუდი-თურთ, აღვაგე მე სტეფანე კონ-
სტანტინეს ძე ზუბალაშვილმა საცხოვნებლად სულისა
ჩემისა“.**

წყევ — ჩშ

ტაძრის მშენებლობა 1898 წლის 12 აპრილს დაწყებულა და დაუმთავრებიათ 1902 წლის 21 ივნისს. რა არ შეუძლია ღვთისა და ერის სიყვარულით სავსე გულებს, გამორჩეული კი ამ გულთაგან სტეფანე ზუბალაშვილის გულია, „წარანებული მამულის-შვილი, მოყვარე თავის ქვეყნისა და ერისა...“ (ზ. ჭიჭინაძე).

ზუბალაშვილების გვარი მე-17 საუკუნიდან დაწინაურდა და მათი მოღვაწეობა მთელს ქართლში ჩანს. მათგან განსაკუთრებული მოხსენიების ღირსია მეფე ვახტანგ VI-ის კარის მღვდელი გიორგი, სარწმუნოებით მართლმადიდებელი. იგი პირველი ქართული სტამბის გახსნის ერთ-ერთი მონაწილე და საღმრთო სჯულის წიგნების გამოცემელ-რედაქტორია. გიორგი რუსეთს გადახვეწილ მეფეს თან გაჰყვა. მისი ბედი შემდგომ უცნობია.

მეორე ღირსეული წარმომადგენელი ამ გვარისა იყო რომანოზი. ფიქრობენ, რომ იგი გიორგის შვილი იყო. დი-
ღია მისი ღვაწლი ერეკლესთან, თბილისში, განახლებულ-
ი სტამბის მუშაობაში. მან დაბეჭდა წიგნები: ზატიკი, ლოცვანი, ჟამნი, სამოციქულო, სახარება, კონდაკი, მარ-
ხვანი და სხვა მრავალი. მეფე ერეკლეს ამ ღვაწლისთვის მისთვის აზნაურის წოდება უბოძებია. მანვე გამართა 1796 წელს გაიოზ რექტორის ინიციატივით დაარსებული სტამბა, ქალაქ მოზლოკში. აქ დაბეჭდა ქართული ანბანი (ასომთავრული, ხუცური და მხედრული) რომელსაც თან ახლდა „ლოცვანი“ და „მოკლე საქრისტიანო სწავლება“. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ იმერეთს გადა-

ვიდა, იქაც განაგრძო წიგნების ბეჭდვა (1811-მდე). რომანოზის შვილები, დავითი და გიორგი აგრძელებენ მამის ღვთივეურთხულ საქმეს, ქუთაისში ბეჭდავენ წიგნებს — კურთხევანი, სახარება ვნების კვირიაკე, დავით-
ნი, ლოცვანი... მათვე დაბეჭდეს საღვთო წიგნები სოფელ წესში (რაჭა) და საჩხერეში.

წიგნების ბეჭდვის საქმეს ზუბალაშვილები საზღვარ-
გარეთაც ეწევიან, მაგრამ ეს უკვე კათოლიკე ზუბალაშვი-
ლები არიან. სტეფანეს ბებია ანა ვენეციაში ქართულ წიგნებს აბეჭდვინებს, მაგალითად, 1858—60 წლებში დაუბეჭდავს „მოთხრობა საღმრთო წერილისა ძველისა და ახალის აღთქმისა“, „წმიდანთა ცხოვრება“ და სხვა.

ზუბალაშვილების გაკათოლიკებაზე სხვადასხვა გა-
დმოცემა არსებობს. ერთი მათგანი მოგვითხრობს, რომ მე-17 საუკუნეში, რომელიღაც ბრძოლის დროს ქართველები ტყვედ ჩაუვარდნენ ოსმალებს. მათ ისინი ახალციხეში გადაიყვანეს. ტყვეთა შორის ზუბალაშვილებიც იყვნენ. ტყვეები კათოლიკე პატრებმა გამოისყიდეს. ამ დროისათვის მესხეთში მართლმადიდებლური ეკლესიები სრულიად შემუსვრილი იყო, ხოლო ახალციხის დედატაძარი ოსმალებმა ჯამედ გადააკეთეს. მართლმადიდებელ-
მა ტყვედყოფილებმა კათოლიკურ ეკლესიაში იწყეს სიარული, აღსარებას პატრებს აბარებდნენ და ნელ-ნელა კათოლიკობაზეც გადავიდნენ. შემდეგ კათოლიკე ზუბალაშვილები გორში გადმოსახლდნენ და ალექსანდრე-
დაიწყეს. მე-19 საუკუნიდან საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობანი ვითარდება. ზუბალაშვილები კიდევ უფრო დაწინაურდნენ სავაჭრო საქმეში. ისინი უკვე ვაჭრობას ეწევიან როგორც საკუთრივ საქართველოში, ასევე ჩრდ. კავკასიაში, თურქეთსა და სპარსეთში. სტეფანეს წინაპარი და სეხნია ინდოეთშიც კი ჩავიდა და იქ 1808—15 წლებში სხვა ქართველებთან ერთად ვაჭრობდა კალკუტასა და მადრასში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სტეფანეს პაპამ იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილმა (1792—1864). მას არყის სახდელები ჰქონდა ქუთაისში, ხოლო 1837 წელს აარსებს პირველ სავაჭრო ამხანაგობას საქართველოში, ერთი წლის შემდეგ, — პირველ შაქრის ქარხანას ამიერკავკასიაში. ნაწილი ამ გვარისა მიემზავრება რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში, სადაც ისინი ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიას (ექიმობა, იურისტო-

ბაც), რომელსაც შეეძლო სარგებლობა მოეტანა ქართველი ერისათვის. მათგან გამოირჩევა ზაქარია მიხეილის ძე ზუბალაშვილი (1810—1877). მან დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. უშუალო მონაწილეობა მიიღო საქართველოში ქოლერის (1838, 1842, 1854) და შავი ჭირის (1865) ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელია.

სტეფანეს მამა კონსტანტინე თბილისში დაიბადა 1828 წელს. ბავშვობიდანვე შეისწავლა ქართული მწიგნობრობა და ისტორია. კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა სამხედრო სამსახურში, მონაწილეობა მიიღო 1844—56 წლებში დაღესტანში ემართულ თითქმის ყველა ბრძოლაში. მეგობრობდა ქართველ მოწინავე ინტელიგენციასთან, სიხარულით შეხვდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გახსნას. დასამახსოვრებელია მისი სიტყვები: „...მადლობა დემეტოს, რაკი ქართველობამ განვლო საშუალო საუკუნეები და ის შავი და ბნელი დღეები; რაკი ეს ერი და ქვეყანა მაშინ არ მოისპო და არ გაქრა, დღესი შემდეგ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში წინ წადგავს ფეხს, ყველა საქმეთა ასპარეზზე შნოსა და ენერჯიას გამოიჩინეს. ერთ სამშობლოში მჭიდროდ დასახლებულ ერს, ერთი ენით მოლაპარაკეს არა უშავსრა, კათოლიკენი მალე იქნებიან ქართველად ცნობილნი“. კ. ზუბალაშვილმა 1860 წელს (სტეფანეს დაბადების წელს) შეიძინა სანავთე ადგილები ბაქოში, სადაც მისმა შვილებმა ამ „საქმეთა ასპარეზზე“ შნო და ენერჯია გამოიჩინეს და დიდი ქონების პატრონიც შეიქნენ. სტეფანე და მისი სამი ძმა ლევანი, პეტრე და იაკობი მანამდე გაუგონარ ქველმოქმედებას იჩენენ და მრავალ სასარგებლო საქმესაც აკეთებენ.

სტეფანემ დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია, შეისწავლა უცხო ენები, რაც შემდგომ გამოადგა ნავთობსარეწაო საქმის წაყვანაში. მას ხომ საქმე მსოფლიოში განთქმულ „როტშილდის“, „ნობელის“ და „მანუილის“ ფირმებთან ჰქონდა. ძველ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ სტეფანეს გული ფულმა ვერ გაუშქისა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მის დედას, ქუთაისელი თავადის, მიხეილ თუმანიშვილის ქალს — ელისაბედს. „ელისაბედ მიხეილის ასული დიდის კრძალვით ყოფილა ადვსილი. წარჩინებულის ზნისა და ხასიათის ქალი, თავის დროის მადალი სათნოების გავლენის ქვეშ აღზრდილა; მისი შშობლებიც ცნობილნი არიან, ვითარცა ნამდვილ ჭეშმარიტ ქართველთა მეოჯახენი, ქრისტიანობის და ადამიანობის, კაცთმოყვარეობის სხივებით დაჯილდოებულნი“. (ხ. ჭიჭინაძე).

კაცთმოყვარეობისა და სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის მაგალითია მისი აღზრდილი სტეფანე ზუბალაშვილიც. აი ამის დამადასტურებელი საქმენი: მარტო 1902—3 წლებში გამოსცა მან ოცზე მეტი საერთო მნიშვნელობის წიგნი თუ ბროშურა. ზუბალაშვილების სტეპენდით საზრდობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სწავლა-განათლების მისაღებად წასული ქართველი სტუდენტები, სრული კურსის დამთავრებამდე მან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გა-

დაურიცხა ათი ათასი მანეთი დაარსების ოცდამეხუთე წლისთავზე, დიდი მონაწილეობა მიიღო სათავადაზნაურო სკოლის შენობის აგებაში (დღევანდელი უნივერსიტეტი). ააშენა სახალხო სახლი, რომელიც საჩუქრად გადაეცა მისი გარდაცვალების შემდეგ ქალაქის გამგეობას (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი), ხოლო სახლში, სადაც იგი ცხოვრობდა, დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმი გახსნილი. მისი უშუალო დახმარებით შესძლო მიხეილ თამარაშვილმა მუშაობა რომის არქივებში და გამოსცა წიგნი: „კათოლიკობა საქართველოში“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის. ხშირად ეხმარებოდა ფინანსურად „ივერიას“, „ჯეჯჯილს“ და სხვა უურნალ-გაზეთებს. გახსნა ქართული სკოლის კათოლიკურ ეკლესიებთან თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში, სოფელ ხიზაბაურაში. მისი გარდაცვალების შემდეგ ძმები განაგრძობდნენ მოღვაწეობას. მათ ათი ათასი მანეთი შეიტანეს თბილისის მუსიკალური სკოლის ასაშენებლად, მონაწილეობას ღებულობდნენ ისტორიული ძეგლების დაცვაში, ააშენეს ეკლესია კუთაისში. ძმებმა სტეფანეს მოსაგონებლად ქალაქის მმართველობას მისცეს თანხა ღარიბ-ღატაკთა მოწყალეობის სახლისა და მისივე სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს ასაშენებლად. კიდევ მრავალი რამ გაუკეთებიათ ძმებს ზუბალაშვილებს, მაგრამ სტეფანეს სიტყვებით რომ ვთქვათ: „მოკვლი კაცი მოვალეა თავის ძმად, მეგობარად და გაჭირვებულ დახმაროს... სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, კაცმა კაცს სიკეთე იმიტომ კი არ უნდა უყოს, რომ მერე საქონ და აღიღონ. ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ, ვუშველოთ“.

მაგრამ მის საქმეთაგან გამორჩეული მაინც ბათუმის კათოლიკური ტაძრის აშენებაა. ამ ტაძრის აშენების იდეა სტეფანეს დედას ელისაბედს ეკუთვნის. ელისაბედმა იცოდა ცნობები, — წერს ზ. ჭიჭინაძე — ქართველთა მაჰმადიანთა შესახებ და დასავლეთ საქართველოში მყოფ გამაჰმადიანებულ ქართველთა. ეს მანდილოსანი ამ ხსენებულ კუთხეში მცხოვრებ კათოლიკებს დიდ ყურადღებას აქცევდა და ამას გარდა, დიდად ენატრებოდა ქართველ მაჰმადიანებში კვლავ ქრისტიანობის მოფენა და ქართველების პატივისცემის გადღესასწაულება. სულით და გულით იყო ადვსილი ასეთის მიდრეკილებით. მთელს ძალას შეაღებდა მას, ოღონდ მოსწრებოდა ქართველთა მაჰმადიანებში ქრისტიანობის გავრცელებას“. მართლაც, მისი გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ ზუბალაშვილების ოჯახი შეუდგა ტაძრის მშენებლობას. მშენებლობის დროს, 1901 წელს მიიცვალა კონსტანტინეს მუუღლე ჩვენ მოვიყვანთ ამის ირგვლივ ივერიაში დაბეჭდილი წერილის ვრცელ ნაწევებს, რათა გავეცნოთ ზოგიერთ მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც შუქს მოჰფენს იმ სულითაგვრებებს, რომლის ძალითაც შენდებოდა ხსენებული ეკლესია. 1901 წლის 16 აპრილს ბათუმში რომის კათოლიკე ერთა კონსულების თანდასწრებით მოძღვარმა ანსელმო მღებრიშვილმა პანაშვიდი გადაუხადა გარდაცვლილს. უკრავდა ორღანი, გალობდა დედათა გუნდი, ძვირფასი ცოცხალი ყვავილებით მორთული იყო კუბო. გაზეთი სვამს კითხვას, თუ რით დაიმსახურა კ. ზუბალაშვილმა

ასეთი პატივისცემა, როცა მას ბათუმში პირადად არაწინ იცნობდა?

„რამდენიმე წლის წინათ გარდაცვალებულის კონსტანტინე ზუბალაშვილის მეუღლეს, ასულს იმერეთში განთქმულ თავადის, მიხეილ თუმანიშვილისას, რომლის ღვთისწიერება და ჭეშმარიტი ქრისტიანული გულუხეობაც, არა თავის გამოსაჩენად, არამედ ფარულად მოწყალების გაცემა დღესაც საარაკოდაა გადაქცეული. მის ერთმორწმუნე კათოლიკეთა შორის, წმინდათა სწამებია, რომ „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს“. ამ კეთილს ქრისტიანეს გარდაცვალების ხანს სიტყვიერად დაუფალებია თავისი თანამოაზრე ვაჟიშვილისათვის, რომ ამან უკანასკნელ ომის¹ დროს შემოერთებულ გაბაჰ-მადიანებულს საქართველოში მისი სულის მოსახსენებლად „წმინდა ტაძარი“ ააგოს ერთმორწმუნე ქრისტიანთა სულიერ და გონებრივ საზრდოს მისაწოდებლად. ამ დიდის შეწირულობისა და სურვილის განსახორციელებლად განსვენებულის ოჯახობას უსარგებლნია იმითი, რომ ბათუმში მრავლდებოდნენ კათოლიკენი და რადგანაც ვეროპელ კათოლიკეთ, სომეხ კათოლიკეთა წეს-რიგი და მათთვის გაუგებარი სომხური ენა და ამ ენაზედ წირვალოცვის აღსრულება არ აკმაყოფილებდათ, თავიანთის კონსულების შუამდგომლობით მთავრობისაგან ნებართვა გამოუთხოვიათ, რომ ახალი რომის კათოლიკეთა ეკლესია აეგოთ და უნდა დაწყებულ-დამთავრებულიყო კერძო შეწირულობით. ჯერ ორი წელიწადი არ არის, რაც ხსენებულის ტაძრის აგებას შეუდგნენ, მაგრამ განსვენებულის ზუბალაშვილის ოჯახის წევრთა უხვი შეწირულების წყალობით (დღემდე თავიანთ წილად ასიათას მანეთამდე ჰქონიათ დახარჯული), აგრეთვე, განკარგულების მიმცემთა სასახელოდ, შენობა წლეულს დამთავრდება, რომელიც ბათუმის ერთ საუკეთესო მორთულობას შეადგენს“.

¹. იგულისხმება რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომი, რომლის შედეგად კვლავ დაუბრუნდა აჭარა დედა საქართველოს.

მართალია, ტაძარი მხოლოდ მეორე წელს დამთავრდა და სტეფანემაც მისი ოჯახის წილად სამოცი ათასი დაუმატა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მშენებლობისათვის კათოლიკე ქართველთა გარდა თანხები მართლმადიდებლებმაც გაიღეს, რითაც თავიანთი ეროვნული პოზიცია გამოხატეს.

ტაძრის კურთხევის შემდეგ სტეფანე ზუბალაშვილს დიდხანს არ უცოცხლია, იგი უცოლშვილოდ გადაეგო 45 წლის ასაკში, პარიზში, 1904 წელს, საიდანაც გამოსვენეს და დაკრძალეს თბილისში, სოლოლაკის საგვარეულო სამარხში, კათოლიკეთა ეკლესიაში. მთელს საქართველოს დასწვებია გული მისმა გარდაცვალებამ. უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა სამძიმარზე მისული ხალხი, მათ შორის აკაკი წერეთელიც გახლდათ. ზ. ჭიჭინაძის არ იყოს, რომელმაც რამდენიმე წიგნი მიუძღვნა სტეფანეს და ზუბალაშვილების საგვარეულოს, „დრო და მისი მიმდინარეობა ბევრ შეძლებულ კაცის სახელს და შეძლებას შესჭამს, ბევრს შემდეგ გმობის დადიც დაესენება და მიეძღვნის, მაგრამ სტეფანესა და მისი ძმების ხსენება საყოველთაოდ უკვდავად დაშთება, მათ ყოველთვის მედიდურობით მოიხსენიებს ქართველი ერი — საქართველო“.

ეს ტაძარი დღესაც ბათუმის მშენებება, იგი აღაფრთოვანებს მნახველებს და შთააგონებს პოეტებსა და მხატვრებს; თუმცა, მან ძნელი დროება გამოიარა უპატრონობისა და მოუვლულობის გამო. დღეს უკვე მისი რესტავრაცია საბოლოოდ გადაწყდა და მალე იგი აღრინდელი სახით გადმოხედავს ქალაქს.

ღვთის შეწევნით, მალე იგი ამოქმედდება და იქცევა სალოცავ კერად, როგორც კათოლიკეთათვის, ისე მართლმადიდებელთათვის.


ბოლშოვი ტოტონავა.



საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანი



ბათუმი. წყალკურთხევის დღესასწაული.



ბათუმი. დიდი აიაზმა.



წირვა დიდუბის ტაძარში.




მცხეთა. ზედაზნის მონასტრის ეზოში.



ალექსანდრე ნეველის ტაძარი. ცისკრის ლოცვა.

სეკულარიზმულ საზოგადოებაში*



გასული წლის 15-დან 20 ნოემბრამდე შვეიცარიაში, ქ. ნოშატელის მახლობლად მდებარე პატარა დასახლება ლე-ჟენეუიე სუკოფრანში ჩატარდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის საღვთისმეტყველო კონსულტაცია თემაზე: „მისია და სეკულარიზაცია“. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან კონსულტაციაში მონაწილეობა მიიღო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორმა, წილენელ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ.

თანამედროვე მსოფლიოში სეკულარიზაციის პრობლემა მეტად აქტუალურია. სეკულარიზაციის პროცესი ადამიანთა ცხოვრების მეტად ფართო არეს მოიცავს.

რელიგიურ სფეროში ეს პროცესი მორწმუნეთა და ურწმუნოთა რაოდენობის უბრალო მათემატიკური შეპირისპირებით კი არ ხასიათდება, არამედ უფრო ღრმა ფაქტორით: ადამიანის ცხოვრებაში რელიგიის ადგილითა და მნიშვნელობით. ეკლესიაში მრავალი ახალგაზრდა დაღის, მორწმუნეთა ინტელექტუალური დონე საკმაოდ მაღალია. ზოგიერთი მკვლევარი ამაში რელიგიური რენესანსის დასაწყისსაც ხედავს. მაგრამ გახდა კია ადამიანთა საზოგადოება თავის გლობალურ მასშტაბებში უფრო მეტად სულიერი და ზნეობრივი?

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ფანტასტიკურ სიმაღლეებს მიაღწია, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადამიანის შინაგან სამყაროზე — მისი ფსიქოლოგიური სტატუსი ძირფესვიანად შეიცვალა.

ეყრდნობა რა საკუთარი გონების ძლიერებასა და ტექნიკის ძალას, თანამედროვე ადამიანი შეეჩვია სამყაროში ცვლილებების შეტანას, ვითარცა გამარჯვებული დამარცხებულს, კარნახობს მას თავის პირობებს და არ იცვლება თავად, რათა იყოს ამ სამყაროსთან პარმონიული.

რელიგიაში ეს განწყობილება გამოიხატება მოდერნიზმის, რეფორმატორობისა და ექსპერიმენტატორობისადმი გამუდმებულ სწრაფვაში

ქვეითდება გრძნობა მონანიებისა (სინანულისა), რაც საფუძველია სულიერი გარდაქმნისა. ხოლო გრძნობა სინანულისა თავიდათავია საკუთარი სულიერი გარდაქმნისა).

სუსტდება მორჩილება და საკუთარი გადაწყვეტილებებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. საკუთარი ინტელექტის უსაზღვრო შესაძლებლობათა და რაციონა-

ლისტური ანალიზის შეუძცდარობის რწმენა გარდაიქმნება ღვთისგანგებულებად, ანუ საკუთარ რელიგიურ სისტემად და შეხედულებად დახვეწილ აბსტრაქტულ ინტელექტუალიზმი, გონების მეოხებით რელიგიურ საიდუმლოებათა ამოხსნისადმი მისწრაფებად, სკეპტიციზმად, რომელიც უარყოფს ყოველივეს, რაც კი სცილდება სამყაროს შესახებ არსებულ ტექნიკურ შეხედულებათა ფარგლებს.

ღმერთთან ცოცხალი სულიერი კავშირის გამოცდილება იცვლება ვერბალური აბსტრაქციებით.

მეცნიერებისა და ტექნიკის სიძლიერეზე ორიენტაცია ადამიანს განაწყობს იმისადმი, რომ გარესამყარო და აღმათაბები მიიჩნიოს საკუთარი გეგმების, სურვილებისა და ფანტაზიების განხორციელებისათვის საჭირო ინსტრუმენტებად. აქედან გამომდინარეობს ემპათიის დაქვეითება, ოჯახსა და საზოგადოებაში მბრძანებლობისაკენ სწრაფვა, შეურიგებლობა სხვათა ჯრებისა და შეხედულებებისადმი, ნიველირება და გაუფასურება პიროვნებისა, ადამიანთა გაუცხოება.

ამგვარ ვითარებაში მისტიკური გრძნობა ვლინდება არა ეგოიზმისა და ეგოცენტრიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ გარეგან ძალთა და ფორმათა მეოხებით სულიერ სამყაროზე ბრძანებლობისადმი სწრაფვაში, რასაც ოკულიციზმსა და მაგიაზე მივყვართ.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევა ხდება ერთერთი მიზეზთაგანი თავმოწონებისა, გონებისა და გულის ქედმაღლობისა. გონების ქედმაღლობას არ ძალუძს და არც სურს დაემორჩილოს უმაღლეს ძალას, დაექვემდებაროს რომელსავე ავტორიტეტს. საბოლოოდ ადამიანი თავის წმიდა ინდივიდუალურ წარმოდგენებში, დაკარგული ჭეშმარიტების აჩრდილებსა და მოჩვენებებში აღმოჩნდება ჩაკეტილი. ამპარტავნება გულისა ანვითარებს ოც-

სეკულარიზაცია — საერო მეცნიერების, კულტურისა და ინდივიდუალური შეგნების გამოთავისუფლება ეკლესიის გავლენისაგან.

ნებისა და წარმოსახვის ძალას — სტიქიას, მეტად პლასტიკურსა და მორჩილს ვნებებისადმი.

გონებისა და გულის ქედმაღლობის შერწყმა კი ქმნის სულიერ განცდათა და ექსტაზთა სუროგატს. გონების ქედმაღლობა ადამიანს განაწყოებს პანთეიზმისადმი, გულის ამპარტავნება — დემონიზმისადმი, რომელიც სხვადასხვაგვარად ვლინდება. თანამედროვე ტექნიციზმი შობს უტილიტარიზმს, რაც რელიგიის სფეროში ზეპალათა მიებაში, ადამიანებსა და ბუნებაზე ოკულტურ მბრძანებლობაში, პარაფსიქოლოგიურ ფენომენებისადმი ინტერესში ვლინდება.

თანამედროვე აზროვნების სეკულარიზაციაზე გავლენა იქონია ფილოსოფიამ. თუმცა ფილოსოფიის პრობლემატიკა ხშირად ემთხვევა რელიგიისას, ფილოსოფიის ხერხი და მეთოდი — ფორმალური ლოგიკა — მიწიერი უფის პრაქტიკისა და ინდივიდის მატერიალურ გარემოსთან ურთიერთობის ნაყოფია. ამიტომ ფილოსოფია ცდილობს რა განსაზღვროს და სისტემაში მოიყვანოს სულიერი მოვლენები, ზელოგიკურ რაობებს უდგება მათთვის უჩვეულო ლოგიკური ანალიზის საზომით.

სეკულარიზაცია თანამედროვე ხელოვნების გზითაც ვრცელდება. ეს გამოიხატება არა მხოლოდ რელიგიური თემების მიჩქვალვასა და მათზე ტაბუს დადებით, არამედ უფრო მეტად იმგვარი სახიფათო მოვლენებით, როგორცაა: საერო ხელოვნების ვნებიან სახეთა, ხერხთა და მეთოდთა შეტანა კელესიურ ცხოვრებაში, სადაც მეტყველებს არა სული, არამედ სისხლი და ხორცი, სადაც ზეციური იცვლება მიწიერით, სულიერი — სამშვიველით, მარადიული — დროებითით; სადაც დახვეწილად ხდება ქრისტიანულ საბურველსა და ტერმინოლოგიას ამოფარებული დეკრიტიანიზაცია.

საერო ხელოვნების ქმნილებანი მორწმუნეთა სულში ვნებათა დღევისა და აგზნებული ნერვოზულობის სახით პოულთბენ გამომახილს.

კელესიის მიერ მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით გამოშუშავებულ ხერხების, მეთოდებისა და სტილის იგნორირება ნიშნავს ერთი ენის ნიშანთა სისტემის მორე — კელესიისათვის უცხო-ენით შეცვლას, რომელიც მიწიერ სუბსტანციათა და სულიერ განცდათა გამოსახატავადაა გამოსადეგი. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ნატურალიზმს, რომელიც ამიწიერებს, ანივთებს ადამიანს, და აგრეთვე აბსტრაქციონიზმს — ქაოსისა და წყვდიადის პოეზიას, ესე იგი ანტილოგოსისას.

არაეკლესიური ენით დაწერილი თხზულებანი, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყვნენ ესთეტიკურად, მორწმუნეთა მიერ აღიქმებიან გულით, როგორც დისპარმონია ტაძრულ სოფიურობაში. ეს თანაბრად ეხება საეკლესიო გალობას, არქიტექტურასა და ტაძრის მორთულობას.

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თანამედროვე საზოგადოების სეკულარიზაციაში მხატვრულ ლიტერატურას. აუცილებელი არაა ყურადღების გამახვილება ტენდენციურ ნაწარმოებებზე, სადაც რელიგია მასხრადაა აგლებული. გაგებულ უნდა იქნეს საერო ლიტერატურის ზოგადი პრინციპები, მეთოდები და შესაძლებლობანი საერთოდ. მწერლის ტალანტი — ეს არის უნარი, რომელიც უნდა გაჯახირდეს, ხორცა შეისხას თავისსავე გმი-

რებში, მოუხმოს მათ ყოფიერებისაკენ, შექმნას ისინი თავისი ხატოვანი და ემოციური წარმოსახვის ძალით, იცხოვროს მათში, მათი გრძობით, ვნებებით, იდეალებითა და მანკიერებებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით, ამაღაც, მწერალი მსგავსი უნდა იყოს თავისი გმირებისა. ვნებიან სულს კი მხოლოდ მისთვის ჩვეულ ვნებათა და ყოფათა აღწერა ძალუძს. მწერალი სულის ამ ბორკვით უნდა განიმსჯელოს და შემდგომ დაუძებნოს მათ ზედმიწევნით ადეკვატური სიტყვიერი გამოხატვა. სულიერი განცდები ვნებათაგან განწმედელ სულში აღმოცენდებიან. ისინი ნატიფი და ძნელად შესამჩნევნი, თითქოსდა გამჭვირვალენი არიანო, ფანტაზია — სტიქიაა მწერლისა, ვნებანი — მისი პალიტრა. მწერალი სულიერ განცდებს წარმოადგენს, ფანტაზიორებს და ამიტომაც, როგორც წესი, წარმოსახავს და აღწერს მათ.

მხატვრულ ლიტერატურას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ მოუცია ჭეშმარიტი, ცხოველმყოფელი სახე წმიდანისა. ფსიქოლოგია, შინაგანი სამყარო ასკეტიკისა და წმიდანისა დახშული, მიუღწეველი სამყაროა მშვივ-იერი დადამიანისათვის. წმიდანის შესახებ წერა მხოლოდ წმიდანს ძალუძს „მშვივნიველი ვერ განსჯის სულიერს“ — ჰაველე მოციქული.

რელიგიური პერსონაჟები საერო ლიტერატურაში ან მასხრად არიან აგდებულნი, ან მინიჭებული აქვთ სავსებით მიწიერი სათნობანი, რომელნიც არარელიგიურ ადამიანსაც შეიძლება გააჩნდეს.

მნიშვნელოვანია თეატრის წვლილიც საზოგადოების სეკულარიზაციაში. მსახიობისათვის მეტად დიდი პლასტიკურობა და უნარია საჭირო, რათა სრულიად თავდავიწყებამდე გარდაისახოს თავისსავე გმირში. მაგრამ ჭეშმარიტების თამაში შეუძლებელია. არ შეიძლება შინაგანად და გარეგნულად წმიდანს მიემსგავსო, მისი ხატება სახედ და ნიღბად გაიხადო, რომელსაც აიფარებ და მოიხსნი.

თანამედროვე ფილმებში მსახიობი თამაშობს ქრისტეს — ძეს ღვთისას, სამყაროს მხსნელს. მორწმუნე ამაში სიყალბესა და მისთვის ყველაზე ძვირფასის პროფანაციას ხედავს. რადაც უფრო უარესს, ვიდრე ანტირელიგიურ კარიკატურას. ამგვარ ფილმებს ათასობით ადამიანი უყურებს და ქრისტეს ხატება მათთვის შერყვნილი და დეფორმირებული რჩება.

მათ ქვეცნობიერებასა და მეხსიერებაში სახარების სეულ ქრისტეს — ქრისტეს მოთამაშე მსახიობის სახე ეფინება.

წმიდათწმიდა — გამოტანილი თეატრის ფიცარნაგზე — კიდევ ერთი გამარჯვებაა სეკულარიზაციისა ჩვენს საუკუნეში.

კელესიის წინაშე დგას ალტერნატივა — გაჰყვას და დაემსგავსოს ცხოვრებას ამა სოფლისას, ან დადგეს მასზედ მძლავრ და აამაღლოს იგიც. თუკი კელესია ეცდება მრევლის შენარჩუნებას მიმსგავსების ხარჯზე, მაშინ რაღაა მისი მისია; იგი უბრალო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებად გადაიქცევა. კელესია საკუთარი თავის ერთგული უნდა დარჩეს, დაიცვას და მომავალ თაობებს გადასცეს უძველესი სულიერი საგანძური.

წილენელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შირვილი)



დიდება ღმერთს ყველაშრის გამო

წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრება

**„ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმათლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“
(მათე 5, 10)**

დასაუკლეთ საქართველოს, ლაზეთის მადლმოსილ მიწაზე — ბიჭვინთისაკენ მიმავალ გზაზე — გამოეთხოვა წუთისოფელს მსოფლიოს დიდი მნათობი და მასწავლებელი წმიდა იოანე ოქროპირი და კათოლიკე — სამოციქულო ეკლესიას ამრიგად უსახსოვრა ღვთისმოსაობის შეუღარებელი მგალობით: მას შემდეგ, რაც ყოველგვარი უხედურება გადაიტანა, — სნეულებანი, მწუხარება, დევნა, მარტოობა, სიძულვილი, მეგობართა სულმოკლეობა და დალბატი, საყვარელი საქმის ნგრევა, წმიდა ადგილის წაბილწვა და იავარყოფა, წმიდა იოანე ოქროპირმა წარმოთქვა: „დიდება ღმერთს ყველაფრის გამო“, ანდა, როგორც ჩვენს წინაპრებს უთარგმნიათ, — დიდება შენდა, უფალო, ყოველთა ზედა ყოვლისათვის“.

ჭეშმარიტად: ეს სიტყვები ქრისტიანული ცხოვრების პიზნი, სადიდებელი და ხოტბაა, რადგან ამ პიზნს, სადიდებელსა და ხოტბას წინაუძღვის წმიდა იოანე ოქროპირის ცხოვრება და დეწლი, რომელიც თავადაა პირთუენელი ხატი ქრისტიანული მოქალაქეობის, სწორუპოვარი პიზნი და ჭეშმარიტი ღვთის დიდება.

ამიტომაც ღაღადებს მსოფლიო ეკლესია: „ოქროვანსა ორდანოსა და სულიერსა ებანსა, უფსკრულსა მას მოძღვრებისასა მიუწვთომელსა, ეკლესიასა სიმტკიცესა, ცნობასა ზეცისასა, სიღრმესა სიბრძნისასა და ტაკუკსა ოქროსასა, მდინარესა მას მოძღვრებათასა ტბილსა და მომწვეველსა ყოვლისა ქვეყნისასა, გალობით ვადიდებდეთ, ერნო!“

ვარსკვლავსა მას დაუვალსა, ნათლითა მოძღვრებითა განმანათლებელსა ყოვლისა ქვეყნისასა და სინანულისა ქადაგსა, სულთა წმიდამყოფელსა, რომელი განგვაშორებს სასოწარკვეთილებასა, არამედ განაგრძობს გონებათა შემწვართა ცოდვათაგან, იოანეს პატივს ეცემდეთ, ოქროპირსა, ოქროსა ნესტვსა.

ქვეყნისა ანგელოსსა და კაცსა ზეცისასა, ღირსსა მერცხალსა მას კეთილად მეტყველსა, მრავალხმოვანსა, სათნოებათა საუნჯესა, კლდესა განუკვეთელსა, მორწმუნეთა კანონსა, მოწამეთა თანა მსრბოლსა და ანგელოსთა წმიდათა თანა სწორსა, მოციქულთა მობაძავსა და ზიარსა.

ოქროპირსა შევასხამთ ჩვენ!“
(აკეხა იანვარსა 27: აღმოყვანება ნაწილთა წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, დასდებელი უფალო ღაღადყავსა ზედა, მხნეონი. იხ. საღვთსაწაწალო, 1865, გვ. ყ. 800).

ამ სანატრელი მამისა და ღირსი მოწამის ქრისტეს-

მიერი ცხოვრება — მოქალაქეობა, სათნოება და ქველმოქმედება, ღარიბთა და საპყართა საღვთისმეტყველო-ლიტერატურული შემკვიდრება მადლმოსილმა ადამიანებმა იმთავითვე ჯეროვანი ყურადღებითა და პატივისცემით აღწუნეს. მათი წყალობით, IV-VII საუკუნეების სხვადასხვა ლიტერატურულ-არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, მარტვილ-წმიდანთა და ეკლესიის მამათადმი მსასობლებს დღესდღეობით ძალგვიძს, შევისწავლოთ, განვიცადოთ და ჩვენს ამქვეყნიურ შრომა-რუდუნებას წავუძღვაროთ მოძღვრებანი და შეგონებანი დიდი და ყოველდღეული იოანე ოქროპირისა.

როგორც ვარაუდობენ თანამედროვე პატროლოგები, ხსენებული სანატრელი მამა დაიბადა ანტიოქიაში 344 (თუ 345) წელს, წარმართთა შორის წარჩინებულ ოჯახში. მისი ერთ-ერთი ავიოგრაფის თქმით, „...იყო იოვანე სიყრმიტანვე სახითა მყუდრო და გონიერ, და ყოვლადვე განშორებულ იყო ჩვეულებისაგან ყრმათა სიმღერისა. და განიპოხა მშობელთაგან ნუკვეითა და ფუფუნებითა დიდითა“, თუმცა ღვთის მიერ „სინჩითაგან“ შერაცხილს სიამეფი ამა სოფლისა როდი ხიბლავდა...“

იგი გონებრივი და ზნეობრივი ღირსებებით შემკული დედის წყალობით იმდროისათვის საუცხოო მეცნიერულ განათლებას ეზიარა ცნობილი რიტორისა და ფილოსოფოსის — ლიბანიოსის, სახელგანთქმულ სკოლაში. წარმართი მოძღვარი დიდ იმედებს ამყარებდა თურმე ღირსეულ შეგირდზე, მაგრამ ქრისტეს ნათელმა განანათლა ჭაბუკის უმანკო გული და ისიც მთელი არსებით დაეწავა საღვთო წერილს, ბიბლიას.

წმ. იოანე შეუდგა ქრისტიანული ღვთისმეტყველების შესწავლას ანტიოქიის ეპისკოპოსის — წმ. მელეტის ხელმძღვანელობით, რომელმაც იგი მონათლა, შემდეგ კი ბერად აღკვეცა და მედავითნედ განაწესა; 381-ს დიაკვნად აკურთხეს, დაახლოებით 386 წელს — მღვდლად.

ასე დაიწყო წმ. იოანეს ღირსმისაბაძი მოქალაქეობა, მისი სამოძღვრო ღვთისმეტყველება, ქადაგება ღვთის სიტყვის ადამიანთა გულებში დაგანების მიზნით. იგი თითქმის ყოველდღე გამოდიოდა ქადაგებებით და მსმენელებს, მისი მხილებითა და შეგონებებით გულშეძრულს, არაერთხელ დასდენიანთ თვალთაგან ცრემლი სინანულისა. ოქროპირის ქადაგებებს, იმდროინდელი ჩვეულებისამებრ, ტაშისცემით ხვდებოდნენ, მოქალაქე კი ადფროვანებას შორს იჭერდა და მრევლს მიმართავდა თხოვნით, შეესრულებინათ მისი დარბიგებანი. ეს მიაჩნდა წმიდანს ყველაზე დიდ ჯილდოდ. წერაში ხელგაწაფულნი

მოდერის ვეგლა საუბარს იწერდნენ. ასე შეიქმნა წმ. იოანე ოქროპირის პოპილტეტიკური შემკვიდრება, — დაუვსებელი საუნჯე მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებისა...

397 წლის 27 სექტემბერს, პატრიარქ ნექტარიუსის გარდაცვალების შემდეგ, წმიდა ოქროპირს კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსად და პატრიარქად მოუწოდეს. მანაც თავს იღო მამამთავრის სანატრელი, მაგრამ მძიმე უღელი და წმ. სახარების მცნებათა კვალდაკვალ შეუდგა მოციქულებრივ გზას, მართლმადიდებლურ და მოყვასისადმი თავდადებას რომ გვავალებს მარად და ყველგან.

როგორც წყაროები გვარწმუნებენ, ახლადდადგინებულია მწვემსმთავარმა არა მბაძა თავის წინამორბედებს: არ ისურვა წვეულების გამართვა აღსაყდრების დღეს, არც დიდებულთა სერობებს გაეკარა. იმ თანხის უმეტეს ნაწილს, რაც მისი სახლელისა და მსახურებისათვის იყო გამოყოფილი, იგი ღარიბებს ახმარდა. მანვე ქალაქში რამდენიმე საავადმყოფო და საქველმოქმედო დაწესებულება დააარსა, რამაც ამპარტავანთა გულისწყრომა გამოიწვია. მის წინააღმდეგ ამხედრდნენ მდიდრები. კონსტანტინოპოლელ მანდილოსანთა ფუფუნებისა და ფუქსავატობის მხილება დედოფალმა ვეროქსიამ პირად შეურაცხყოფად მიიღო და მთავარეპისკოპოსის წინააღმდეგ განაწყო უნებისყოფო მეფე არკადი, ძალაუფლების მოყვარული ალექსანდრიის პატრიარქი თეოფილე, სევერიანე გაბალონელი, აკაკი ბევროელი, ანტიოქ პტილომელი და სხვანი. მათ მიერ 403 წელს მოწვეულ იქნა კრება, რომელმაც გაასამართლა და ქალაქიდან გააძევა ოქროპირი ყოვლად წვრილმანი და ცრუ ბრალდებების გამოყენებით, სხვათა შორის, — „არასტუმართმოყვარებისთვისაც“. ძლივს მოასწრო უსამართლოდ განპატიუბულმა მღვდელმთავარმა კონსტანტინოპოლიდან წასვლა, რომ დედაქალაქში მოხდა საშინელი მიწისძვრა. ევდოქსიამ ამაში ღვთის რისხვის გამოვლენა დაინახა და სასწრაფოდ დააბრუნა მსჯავრდადებული. წმ. იოანეს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია ხელისუფალთა მანიერების მხილება, რის გამოც იგი მეორედ და უკვე სამუდამოდ მთავრის მთავარეპისკოპოსის კათედრას: 404 წელს გადაასახლეს სომხეთში, კუკუსოში, საითკენაც იწყო სვლა თავყანისმცემელთა უწყვეტმა ნაკადმა. ამიტომაც, ძლიერთა ამა ქვეყნისათა უფრო მკაცრ ზომებს მიმართეს: შეუბრალებელი ზედამხედველების თანხლებით ოქროპირი ბიჭვინთისაკენ გაგზავნეს. მცხუნვარე მზის ქვეშ უგზობაში სვლა ვეღარ აიტანა დაუძლურებულმა მოხუცმა და დანიშნულ ადგილამდე ვერც მიაღწია — იგი კომანაში აღესრულა 407 წლის 14 იანვარს.

ასე შეიძინა მოწამებრივი გვირგვინი ჩვენი ქვეყნის კურთხეულ მიწაზე მსოფლიოს დიდმა მნათობმა.

ჭეშმარიტად ჯეროვანი პატივი მიაგო წმიდა იოანეს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიამ: მისი პატიოსანი გვაში დიდებით გადასვენეს კომანიდან კონსტანტინოპოლში და დააწესეს შესაბამისი ხსენების დღეები: 14 სექტემბერი — გარდაცვალების დღე; 13 ნოემბერი — წმიდანად შერაცხვის დღე; 27 იანვარი — ნეშტის გადმოსვენების დღე; 30 იანვარი — სამი დიდი იერარქის: ბასილი კესარიელის, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზუ-

ლის) და იოანე ოქროპირის ხსენების დღე.

წმ. იოანეს მოწაფე და თანამოსაგრე პროკლე გვიამბობს, რომ მას არაერთხელ უხილავს საკვირველება: ღამობით თავად პავლე მოციქული ეცხადებოდა სანატრელ მღვდელმთავარს და ჩასწორებულბდა ... ასე წარმოშვა ოქროპირის ცადახიდულმა გონებამ უმდიდრესი საღვთისმეტყველო ლიტერატურა დოგმატიკის, ეგზეგეტიკის, ასკეტიკის და, რაც მთავარია, ლიტურგიკის დარგში, — „იოანე ოქროპირის წირვა“ მართლმადიდებლური მღვდელმსახურების ჭეშმარიტი გვირგვინი და აღვესებელი საწყაულია.


ისტორიულ ღვთისმეტყველებაში აღიარებულია, რომ იოანე ოქროპირის მთავარი დამსახურება, როგორც მოქალაქისა, გამოვლინდა პრაქტიკული მორალის სფეროში და ქრისტიანული სოციოლოგიის პრინციპების გარკვევაში. თეოლოგიური ლიტერატურის კლასიკურ ფურცლებს განეკუთვნება მისი განსჯანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქრისტიანულ საფუძველზე გარდაქმნის, მონობის მოსპობის, სისხლიანი საცირეო სანახაობების გაუქმებისა თუ სილატაკის აღმოფხვრის შესახებ. წმიდა იოანეს შეგონების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს აზრი ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე: მდიდრებს უფლება აქვთ ფლობდნენ უმდიდრესს, მაგრამ საქველმოქმედო საქმეს უნდა მოახმარონ იგი. მისი აზრით, არა მარტო ის არის მმარცველი, ვინც სხვის ქონებას ითვისებს, არამედ ისიც, ვინც გლახაკთა და უპოვართ არ უწყალობებს რასმე...

ქართველმა მორწმუნე ერმა ძველთაგანვე დირსმისაბაძი პატივი მიაგო ხსენებულ საღვთისმეტყველო შემკვიდრებას. ჩვენმა წინაპრებმა თარგმნეს და შეიმუშვეს იოანე ოქროპირის თითქმის ყველა თვალსაჩინო თხზულება. „კონსტანტი კახის მარტვილობა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და პოპილტეტიკურ-ლიტურგიკული კრებულები გვარწმუნებენ, რომ ქართველთა შორის X ს-მდე ყოფილა ცნობილი იოანე ოქროპირის ცხოვრება-სავალბლები, აგრეთვე — მისი ლიტურგიკული და თეოლოგიური თხზულებანი, ქალაგებანი და სწავლანი.

მართლაც: ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება იოანე ოქროპირის ცხოვრება-სავალბობელთა მდიდარი ციკლი, კერძოდ — ამ წმიდანის „ცხოვრების“ სამივე ძირითადი რედაქცია: კიმენური, მეტაფრასული (ორი თარგმანი) და სვინაქსარული. ამათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ჩვენს წინაპართა მიერ ძველთაგანვე პატივდებული ე. წ. კიმენური ვერსია გიორგი ალექსანდრიელისა, — „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა და მოძღვრისა ყოვლისა სოფლისა და ვარსკვლავისა მის განთიადისა, მამისა ჩვენისა, იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელ მამამთავრისა“.

გიორგი ალექსანდრიელი მკვლევართა მიერ გაიგივებულია პატრიარქ გიორგი II-სთან და მისი მამათმავრობის წლებად მიჩნეულია 621—631. როგორც თავად გვამცნობს ავტორი, ხსენებული თხზულება კომპილაციური ხასიათისაა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ეკლესიის, ერის ცხოვრებაში სასიხარულო ფაქტი მოხდა:



მიხაკო წერეთელი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა რუსუდან გვარამიაშვიტმა გამოაქვეყნა წმიდა იოანე ოქროპირის „ცხოვრების“ კომენტარი ვერსიის: „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით“ (თბ., „მეცნიერება“, 1986), რომელსაც სათანადო გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო.

ველა ჰუმანიტარი ქრისტიანისათვის დიდად მნიშვნელოვანია ნეტარი მამის იოანეს სახელთან და საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი. მისი „ცხოვრების“ თარგმანი ისევეა ფასეული ქართული ეკლესიისათვის, როგორც ორიგინალი-ბიზანტიურისათვის. ქართული ტექსტის მეცნიერული კვლევა მრავალ პრობლემას აღძრავს, რომელთა სიღრმისეული წვდომა კიდევ უფრო გვაახლოებს წმიდა იოანეს ნათლითმოსილ პიროვნებასთან, აგრეთვე, თვალწინ გვიცოცხლებს უცნობ ქართველ მთარგმნელს, რომელმაც, „მადლითა სულისა წმიდისაჲთა“ და თვით წმიდა იოანე ოქროპირის სულიერი თანადგომით, ქართულად გადმოიღო VII ს-ის ცნობილი ბიზანტიელი მწერლის გიორგი ალექსანდრიელის ვრცელი შრომა.

მიხაკო (მიხაკო) წერეთელი — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, — თბილისის, ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს, გარდაიცვალა მიუნხენში, 1965 წლის 2 მარტს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მას ვიქტორ ნოზაძისათვის გამოშვებულობისას უთქვამს: „მოვხუცი და მივდივარ, მაგრამ ამ ცხოვრებაში ჩვენ არ ვყოფილვართ მცონარე, უქნარი; რაღაც მაინც გავაკეთეთ, რაღაც მაინც გავაკეთეთ... შვილობით.“ ამ მოკრძალებულ სიტყვებს მიღმა კი დგას ადამიანი — XIX ს-ს ქართული მეცნიერების ერთერთი უთვისაღსაზიაროესი წარმომადგენელი, რომლის სახელს და დედას ნაკლებად იცნობს ჩვენი ერი. იგი იყო დიდი მეცნიერი, მწერალი, მოღვაწე, საქართველოს ეროვნული იდეებისათვის მოუქანცავი მებრძოლი, პირველი ქართველი ასირიოლოგი, ვის შრომებსაც ეყრდნობოდნენ (და ცხადია დღესაც ასეა) და ანგარიშს უწევდნენ ევროპისა და ამერიკის ცნობილი მეცნიერები... უკვე 1920 წელს იგი ივანე ჯავახიშვილის მოწვევით თბილისის უნივერსიტეტში განაგებდა ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრას... მომდევნო წლებში კი ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრას ჯერ ბრიუსელში, შემდეგ კი ბერლინის უნივერსიტეტში. თავის დაბადების 70 წლისთავზე დაწერილ ბარათში 1949 წელს მიხაკო წერეთელი საკვეყნოდ აცხადებდა:

„გარეშე ერისა არ არის არც ისტორია, არც კულტურა, არც შექმნა ნამდვილი პიროვნებისა; ამიტომ ერის წინაშე სამსახური თავისი თავის წინაშე სამსახურია და ამასთანავე, შემოქმედება, შექმნა მომავლისა. თვით ერია საზოგადოებრივი პიროვნება, უფლების მქონე სიცოცხლისა, განვითარებისა, თავისუფლებისა... ჩვენი მამანი და წინაპრანი რომ არაფერნი ყოფილიყვნენ, ჩვენც არარანი ვიქნებოდით. უწარსულო ერი, უისტორიოა, — იგი საუკუნეთა განმავლობაში არაფრის შექმნელი არ ყოფილა და არც მომავალი აქვს! რაც ქართველ ერს წარსულში შეუქმნია, დღესაც მით გვიდგას კულტურული ადამიანის სული და ჩვენი მოქმედებაც წინაპართ შექმნილის საფუძველზე სწარმოებს“.

სამართლიანად წერს გ. შარაძე, რომ მიხაკო წერეთლის მრავალმხრივი, უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობის სათანადოდ შესწავლა, დაფასება და გამოცემა ჩვენი მამულიშვილური ვალია.

რაც შეეხება მის სიტყვას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო... ამ საპროგრამო სიტყვამ გრიგოლ რობაქიძის თქმით, შინაგანად შეარხის მთელი საქართველო, გრიგოლ რობაქიძისა, რომელმაც სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს, თავად ტანჯულმა, ტანჯული და წამებული უწოდა მას. როგორც გ. შარაძე ვარაუდობს, მიხაკო წერეთელსვე უნდა ეუთვნოდეს ცალკე ფურცლებად დაბეჭდილი „მოწოდების“ ტექსტიც, რომელიც ილია მკვლელობის დღეებში გავრცელდა მთელ საქართველოში და რომლის საფუძველზეც მოეწყო მისი გრანდიოზული დასაფლავება. (იხ. ლიტ. საქართველო. 25 სექტემბერი. 1987 წ. გ. შარაძის წერილი „მიხაკო წერეთელი“).

წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის

თბილისში ჩამოსვენების დროს,

7 სექტემბერს, 1907 წელს



მამულიშვილნო!

„ვინა სთქვა საქართველოზედ — რა დიდი ლომი კვდებაო!“ — ბევრმა რამ და ბევრმა ვინმემ! — ყოფილან ჩვენ ისტორიაში შაენი დრონი, როდესაც თავზარდამცემნი სიტყვანი — საქართველოს დიდი ლომი კვდება, — სიმართლედ მოგჩვენებია, ეჭვს შეუპყრია მთელი საქართველოს გონება, მართლა ხომ არ წახდა საქართველო საუკუნოდ! იყო ერთი, უკანასკნელი შავი დრო, ოდეს საქართველოს ლომი პოლიტიკურად მოკვდა, დამარხა რა თვისივე ხელით თავისი საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, და შემდეგ, მთელი ასი წლის განმავლობაში, მთელი მისი არსება, მომაკვდავი, სულსა დაფაგდა — მაგრამ ამ შავ დროებაზედ უფრო მჭევრმეტყველად, უფრო მედგრად და უფრო კადნიერად ილია ჭავჭავაძის მკვლელებმა ჩამოგვძახეს ყურში მთელ საქართველოს — საქართველო, ეს დიდი ლომი მართლაც მოკვდა, — მოკვდა ზნეობრივად, და ეს სიკვდილი მისი საუკეთესო მის, მისი დიდების ვერავლად მოკვლაში გამოიხატა!

ერთ დროს ჩვენც ვიყავით ერი, ჩვენც შევადგენდით კაცობრიობის ნაწილს, ჩვენც გვექონდა ფასი და ხალხს გვეძახებოდნენ. ჩვენი კულტურა — ჩვენი მწერლობა და მწიგნობრობა, მეცნიერება, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა და სხვა, ჩვენი საზოგადოებრივი სიძლიერე — განთქმული იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ კავკასიის გარეშეც. ჩვენი გურჯისტანის სიძლიერე თავზარსა სცემდა ირგვლივ — ჩამდგარ მრავალ მტერსა და ჩვენც ვიცავდით ჩვენს თავისუფლებასა, მიწა-წყალსა და კულტურას.

მე-XI-XII საუკუნეებში საქართველო სიძლიერით, სულითა და გონებით გაბრწყინებული იყო, საქართველოს მდიდარმა კულტურამ, ქართულმა ძლიერმა ენამ წარმოშვა ჩანგი რუსთაველისა და, სიცოცხლით საგსენი, ჩვენცა ვცდილობდით საშვილიშვილოთ განგვემტკიცებინა ეს ჩვენი სულიერი და ნივთიერი სიძლიერე.

მაგრამ ვედარ გაუმელთ მრავალ — რიცხოვან მტერსა, რომელიც ყოველის მხრით გარს გვესია, ვიბრძოლეთ საუკუნეთ — განმავლობაში ბრძოლის ველზედ, მთელი აზიის ურდოებს გაკაჟებული საქართველოც ვერ გაუძლებდა, და ჩვენც ვიწყეთ ნელ-ნელა დაკარგვა იმ დიადი საუნჯისა, რომელიც მთელმა ერმა შეჰკრიბა თავისი შემოქმედებით ჟამთა ვითარებაში.

აღმოსავლეთით, დასავლეთით და განსაკუთრებით სამხრეთით მოგადგა აუარებელი მტერი, მოგვწყვიტა საუკეთესო, თუ განათლებულს ქვეყნებს, შთანთქა ყოველი თავის ველურობის და განადგურების ზღვაში და შეამოკლა, შეასუსტა საქართველოს სიცოცხლე.

მაგრამ მაინც ვიბრძოდით და რაღაც იმედით აღსავე-ნი დანარჩენ ჩვენ დიდებასა, მიწაწყალსა და კულტურას მაინც ვირჩენდით. ასე მომდინარეობდა ჩვენი ისტორია XVIII საუკუნის დამლევამდე, და ეს ისტორია ერთი ხანგრძლივი საუკუნოებითი წამება იყო ქართველი ერისა, ჩვენი მუდმივი ეჭვი იყო, — საქართველოს დიდმა ლომმა მტრის შიშის ხარის დამცემი დრიალი შესწყვიტა.

დასუსტებულმა, დამცირებულმა და შინაურ უთანხმოებითა და მტრობით დაღლილებმა მოვალწიეთ მე-XIX საუკუნის კარამდე. იმდენი სულიერი ძალაც აღარ შეგვწევდა, რომ სურვილი, ძველებური ვაკაცური ფოლადის სურვილი მაინც შეგვჩვენოდა ბრძოლის განგრძობისა.

თუმცა კი მთელი საქართველო შეიძრა, ოდეს სცნა სურვილი ერეკლე მეფისა საქართველო რუსეთისათვის გადაეცა, თუმცა საქართველოშიდაც გამოჩნდნენ დემოსტენები, რომელთაც სურდათ გაეხორციელებინათ დიდი ხანის იდეალი საქართველოს კვლავ შეერთებისა, მაგრამ „ირაკლის დიდი ხანია გარდაუწყვიტა ბედი ქართლისა“, და არა მარტო ირაკლის...

...ჩქარი ნაბიჯებით მთელი საქართველო გაბრწყინებულ კულტურიდან გაველურებადის, სრულ დეკადანსამდის ჩამოვდით მე-XIX საუკუნეში, მაშინ, როდესაც სხვა დამოუკიდებელი ერები, ან ის ერები, რომელთაც მოასწრეს მტრის კლანჭებიდან თავის დაღწევა, წინ მიდიოდნენ და მე-XIX საუკუნის ბრწყინვალე შემოქმედებაში მონაწილეობას იღებდნენ.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში აჯანყებებმა უნაყოფოდ ჩაიარეს და საქართველოს უფრო მეტი განადგურებით გათავადნენ, ჩვენი დალაჩრება უმწვერვალესი ხარისხის იყო. თავადაზნაურობა მტრის ლაქიად გახდა, მოღალატეებად, საქართველოს მტრად. ჩინ-მენდლებით შეიმოსა მთელი ბრწყინვალე წოდება, ინტელიგენცია თითქმის სულ არ იყო, და ჩვენი მწერლობა ოდნავდა ბუტბავდა, ისევ იმ ჩინოსანთა კალმის ქვეშ. თუმცა გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სხვებმა, დიადი, გენიოსური შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინეს, ენის სიძლიერე, ჩვენი ენის საუნჯე თვალწინ გარდავიშალეს, მაგრამ მაინც მათ შექმნეს ეპოქა ჩვენს ლიტერატურაში, შემოქმედება მათი სიდიდით ვერ იყო ძლიერი, ამას ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრებაც ვერ უწყობდა ხელს, — და ამიტომაც ისინი ჩვენი ახალი მწერლობის წინამორბედებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ, და არა შემქმნელებად.

მაგრამ დადგა მე-60 წლები; ის ხანა, როდესაც ბარბაროსულმა რუსეთმა გაიღვიძა, რადგან მთელმა კაცობრიობამ ამირანისეული სიძლიერით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, და ჩვენს ქვეყანასაც მოხვდა ამ საყოველთაო აღმავლებული ზღვის ტალღები. ჩვენი ცხოვრებაც შეინძრა, შეტოვდა, და ამ ახალ მოძრაობას თავის გამოშატვებში უნდა გაჩენილიყო. გაუზნდნენ კიდევ, ჩვენშიაც დაიბადნენ — აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და სხვანი, და ამათ იკისრეს ხელმძღვანელობა ჩვენი ცხოვრებისა. აღორძინდა ჩვენი ლიტერატურა, აყვავდა პოეზია, გაჩნდა პუბლიცისტიკა, გაჩნდა ახალი წესები ლიტერატურულ შემოქმედებისა, და ჩვენც ცოტათი გავერით კაცობრიობაში ამ მწერალთა და მოღვაწეთა წყალობით. და სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო პირველი იმათ შორის, — ჩვენი საუკეთესო პოეტი, რომანისტი, პუბლიცისტი, კონომისტი, ასე გასიხვეუტ, სოციოლოგიც.

ენა მკვდარი და მხოლოდ რამოდენიმე „წინამორბედთა“ პირში მეტყველი, ენა მდიდარი, მაშინ დაკარგული ჩვენი ერის „განათლებულთა“ მიერ ისე ლაჩრულად, რომ ლაპარაკსაც აღარ კადრულობდნენ ქართულად, ენა, რომელიც ათასის წლობით შეინახეთ და შავთა დროთა გადაგვიწყვეს, აღადგინეს ზემოხსენებულმა საქართველოს შვილებმა, და ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, — ხალხის პირისაგან მოგვესმა მძლავრ ქართულად ნათქვამნი სამაგალითო, უმშვენიერესნი ქუხილებანი მისნი.

ჩვენ ქვეყანას ათასი გასაჭირი ადგა, კაცი არავინ იყო ხმის ამომღები, და ილია პირველი იყო, რომ მეცნიერების იარაღით წვეტდა რთულს მოვლენებს ჩვენის ცხოვრებისა, თავისებური სიღრმითა, იმავე მშვენიერი ენით, რომელიც მან გაგვაგონა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში; ილია იყო შეუდარებელი პუბლიცისტი, გლეხთა მუდმივი მეგობარი. იგი ამ მეგობრობას ხატავდა, როგორც „გლახის ნაამბობში“, ოთარაანთ ქვირთვში“, ისე ბატონ-ყმობის, მონობის წვევლა-კრულვაში და გმობაში, — როგორც საჯარო კრებებზე, ისე თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. იგი მუდმივი დამცველი იყო შრომის ინტერესებისა, და მაშინ, როდესაც საუკეთესო დემოკრატებიც კი მთელი ევროპისა პარიზის კომუნას უშვერად, ურცხვად და ცინიკურად იხსენიებდნენ, — ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართულ ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში... თვით სოციალიზმის პრინციპებიც კი არის გატარებული მის მრავალ თხზულებებში. „შრომის ახსნა“, — აი, რა იყო ილიას იდეალი!

საქართველოს დაბეჩავებულ საზოგადოებას ორგანონი ეჭირებოდნენ. ილია ჭავჭავაძე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უდიდესი დეაწლი მიუძღვის მათ შექმნაში და მათში მუშაობაში. მარტო ბანკში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში რამდენი ენერგია ჩაჰკლა ილია ჭავჭავაძემ ქართველი საზოგადოების ასაღორძინებლად, სამაგალითოდ. განსაცვიფრებელია თუ დაუკვირდება ადამიანი, და ღირსეულად დააფასებს ილიას შრომასა და დეაწლს.

დიახ, ილია ყოველმხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყოველ თავის თანამედროვეებზე და თანა-

მოღვაწეებზე, — თავისი მრავალფეროვანი ნიჭითა და ყოველმხრივი შემოქმედებით.

მაგრამ მე ილიას, უწინარეს ყოვლისა, ვაფასებ, როგორც მამულიშვილსა. ის იყო მართლაც საქართველოს გუშაგი, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ერთგული. ორბელიანი ამბობდა ძველ ქართველ ვაჟაგებზე — „ვაი მას მტერსა, ვის ანუ კლდინი, ანუ ტყვით სიღრმე არ დაჰფარვიდნენ, ვითა შურდულეებ ტრეკით შავარდენნი მიესოდნენ და შემუსვრიდნენ“ — ო. ილია სწორედ ასეთი მამულიშვილი იყო ჩვენ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში. ვაი მას მტერსა, ვის ანუ ბოდიში, ანუ იეზუიტობა არ დაჰფარვიდა, — ვით ვეფხვი, ილია მივარდებოდა მას და შემუსვრიდა თავისი ცოდნით, ლოდიკითა, და — რაც უფრო ძლიერია, — სიმართლთა, რადგანაც ილიას არა ჰქონდა ჩვეულებად მტერს გამოჰკამათებოდა, როს მის სიტყვებში სიმართლესა ჰხედავდა. „და შემუსვრიდნენ“ — ო. ილია მოველინებოდა ხოლმე შინაურს მტერს, რომელიც ცხვრის ტყავში გამოხვეული შინ იეზუიტობა და თავს იკატუნებდა, გარეთ კი ლომობდა და საქართველოს გაბიზრუებისათვის არაფერს არ ზოგავდა... ვინ გაუძლებდა მის დიდიქტიკას, მის შეუდარებელ, მწარე დაცინვასა და შიშიმე მსჯელობას, რომელიც ეულკანის ჩაქუჩითა სცემდა თავში მტერს და მტერად აქცევდა მის სუსტსა და იეზუიტურ არგუმენტებს, მასთანაც შეუდარებელი ორატორი, იგი იყო ჩვენი პირველი მამულიშვილი, მოქალაქეობრივი ვაჟაგებობითა და სიბრძნით ჩვენი ციციერონი, „მამა ჩვენი სამშობლოსა“, — და აკი მისი გული ზედა წილად! ჰოი ისტორიავ, საკვირველ არიან საქმენი შენნი!...

და ეს ილია ჭავჭავაძე, რომელიც შეუდარებელი პოეტი იყო, შეუდარებელი პუბლიცისტი და ჩვენი პირველი კონომისტი და სოციოლოგი, პირველი საზოგადო მოღვაწე, პირველი მამულიშვილი, რომელსაც ერთად ერთსა ჰქონდა სული თავისუფალი ადამიანისა იმდონ ლაჩართა და მონური სულის პატრონთა შორის, — ეს ილია ჭავჭავაძე დღეს კუბოში სდევს მთელი საქართველოს წინაშე, ქართველის ხელით განგმირული, ჩვენდა სასიცხოვრ, სატირლად და სავალალოდ!

თურმე სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი იმედი, რომ ცოტათი მაინც წინ წავედით მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ ისეთი კაცების წყალობით, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე; სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესისი, თურმე კიდევ უფრო დავცემულვართ!

კაცი, რომლისათვისაც ხანგრძლივი სამსახურისათვის იუბილეი უნდა გადაგვეხადა, დაფნის გვირგვინით უნდა შეგვემკო მისი შუბლი, ტრიუმფით უნდა შემოგვევანა მამურალი მცოვანი ჩვენს სატახტო ქალაქში, ტყვიით გავემირეთ, კელის გვირგვინი დავადგიოთ და მისი კუბო შემოვიტანეთ დღეს აქ, ჩვენდა საუკუნო შესარცხვენად. ვაგლახ, ბედშაჸო საქართველო! ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს ჩვენს ასეთ საქციელს, ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს, ვინ მოკვალით, ვინ დავმარბეთ ჩვენივე ხელით, ტყვიით განგმირული! — საქართველოს ერი, ლაჩარი, უგრძნობელი, რომელმაც მთლად დაჰკარგა კაცთა სახე, — აი, ამ ერმა თვით მოჰკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი დაიტოვა

თავის ცხოვრების წინამძღოლებადო, — აი, რას იტყვიან, — და მართლაც, რას უნდა გამოელოდეს ადამიანი იმ ერისაგან, რომელსაც მონური სილაჩრე შეჰპარვია, რომელიც ეს სამი წელიწადია გაჰყვირის ძლიერად, გაჰყვირის შავი ზღვის ნაპირებიდან დაღესტნის საზღვრებამდე — ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებათ!... მართლაცდა — „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი ძაბუნი, ლაჩარი, მორჩილი თავის ბედისა; შავთა დროთ სრულად შეჰცვალეს მის გული ანდამატისა, აღარც მხნე, აღარც მღერალი, მოძულე თავის მიწისა“. და თავისა წარსულისა, თავის კულტურისა, თავის საკუთარ შვილთა, რომელთაც შუბლში ტყვიით უმასპინძლებდა!

ახლა რაღა ვქნათ? — უპირველეს ყოვლისა, მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს, — ილიას ხსოვნას „შურისძიება“ არ ეკადრება! კი — ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ შურის ძიებით გავაქარწყლებთ. შურის ძიება მთელი ერისა იმ უმსგავსოთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაბით შემოსეს და მთელ ქვეყანაში გააბიაბრებს, ერთად ერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე. ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე, ჩვენი ჰუმანური თვისებისა და დიდ-სულლოვნების დამამტკიცებელი კი არ იქნება, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისა!

მაგრამ ასეთი შურის ძიება ვერ დააკმაყოფილებს ჩვენ შეურაცხყოფილ თავმოყვარობას. ჩვენ უნდა ყველამ ჩავინერგოთ გულში ის მცნებანი, რომელნიც ილიამ თავის თხზულებებში გაატარა და გვიანდერმა, — სიყვარული საქართველოსი, იმ განსვენებულ „საქართველოსი“, რომელიც აგრეთვე მისი თანამოდგაწის, აკაკის გულსაც მუდამ ატოკებდა; სიყვარული ჩვენი მიწა-წყლისა და მისი შენახვა, რაიც, ილიას აზრით, უმთავრესი საშუალება იყო ჩვენი ენის სიცოცხლისა, სიყვარული ქართველი ხალხისა, რომლის გუშაგად მუდამ უნდა იდ-

გეს ყოველი ჩვენგანი, რომლის უფლებაც არავის უნდა შევალახვით, ისე, როგორც ილია არავის აძლევდა ამის ნებას — აი, რა არის ილიას ნაანდერძევი. შევქმნათ ჩვენც ისეთი ქართული საზოგადოებრივი წრე, — სალი და ზნეობით აღმადლებული, რომელშიაც შესაძლებელი აღარ იქმნება ასეთი დანაშაული, როგორსაც ახლა ვხედავთ, — მხოლოდ ეს დაგვაკმაყოფილებს, ეს მოგვბანს მოცხებულ ჩირქს, ამით უკვდავყოფთ ილიას ხსოვნას.

მაგრამ ამ დიდ საქმეს, ვინ იცის, ადვანსრულებთ თუ არა, — ჯერ-ჯერობით კი ჩვენი დაცემა ილიას მოკვლაში გამოიხატა, ამ უსაშინლეს დანაშაულში, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არა უნახავს-რა. ვინ იცის, როგორი იქნება ჩვენი მომავალი, აწმყოში კარგი რაც იყო — აი, ამ კუბოში ასვენია, ჩვენ ხელთაგანვე დათრგუნვილი და შევიწებული! დავგრჩა მხოლოდ სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი ჩვენი მომავლისა!..

შენ კი დიდებულ ადამიანო, ივერიის ტანჯულო ძვე, გვაპატიე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ ამ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულამოსკენილი სტიროდი „ბედსა ქართლისა“, გვაპატიე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების ფირგვისის მაგივრად, გვაპატიე, რომ ჩვენ სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესია გაგიმართეთ! გვაპატიე, — ეს შეეფერება შენ დიდსულლოვანობას. იქ, ზევით, პოეტთა მიერ შემეულ მთაწმინდაზედ განგასვენებთ, ჩვენ მცოვან, ტანჯულსა, ისტორიულ დედა-ქალაქ თბილისს რომ ბატონობს იდუმალად! მაგრამ ვავლახ ჩვენ, რომ იქიდან „ველარ გადმოხედავ შენსა საშობლო მხარეს და ტუბილის ჭიკჭიკითა ველარ დაატკობ მის არემარეს“, ველარ იხილავ მომავალში შენსა ივერსა, „ფენიქსებრ განახლებულსა“, თუ მომავალმა ეს ბედი კიდევ გვარგუნა, მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქნები, რადგან ველარ იხილავ აგრეთვე იმ სიწითლეს, სირცხვილს, რომელიც აწ დაცემულმა ივერმა სჭამა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს.


მისილ (მისაკო) შარათილი



წარსულიდან

საქართველო მუდამ ჩემს

გულთანაა



გასულ ზაფხულს, იტალიაში სამეცნიერო მივლინების დროს, რომში პირადად შევხვდი ანდრეა დელა ვალეს ბაზილიკის მთავარ არქივარიუსს, ჟურნალ „Regnum Dei“ („სასუფეველი ღვთისა“. მათე. VI, 33) რედაქტორს, თეათინელ ბერს, მის უსამღვდელოესობას პადრე ფრანჩესკო ანდრეუს, რომელსაც მანამ მხოლოდ მიმოწერით ვიცნობდი. ამ ჟურნალში, რომელიც 1945 წლიდან გამოდის, ძირითადად ქვეყნდება მასალები თეათინელებზე, მათ შორის საქართველოში მცხოვრებ მისიონერებზე.

პადრე ფრანჩესკო ანდრეუ წარმოშობით ესპანელია, თუმცა არგენტინაში დაბადებულია 1908 წ.; გრეგორიანულ უნივერსიტეტში ფილოსოფიასა და თეოლოგიაში განსწავლულობის შემდეგ — 1933 წლიდან რომში მოღვაწეობს. იგი მრავალი მეცნიერული შრომისა და გამოკვლევის ავტორია. დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობს. სწორედ მისი წყალობით მივიღე საშვივაციანის არქივში, სადაც ვიმუშავე პიეტრო ვალეს დღიურზე.

გამოთხოვებისას ფრანჩესკო ანდრეუმ გადმომცა ჩვენი ისტორიისათვის ფრიალ მნიშვნელოვანი რამდენიმე რელაციის ქსეროასლი; ჩემი მხრივ, იტალიელ მეცნიერს გადავეცი ჩემს მიერ რომის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიკვლეული, მისთვისაც მეტად საინტერესო, პიეტრო დელა ვალეს მიერ თავის მეუღლე თინათინისადმი მიძღვნილი ჩვენთვის დღემდე უცნობი, სამ ნაწილიანი მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოების ქსეროასლი, რომლის ტექსტი თან ჩამოვიტანე; მისი ნოტები აღმოჩნდა მოდენაში. ნახვა ჯერჯერობით ვერ მოვახერხე. რომში, კამპილოლიოზე, ეკლესია წმ. მარია დ'არაკოელში მოვიწახუე დელა ვალეების საძვალე, სადაც წმ. პავლეს კაპელაში განისვენებს თინათინი.

ამჯერად მინდა მკითხველს შეეთავაზო ერთი წერილის თარგმანი¹ ფრანჩესკო ანდრეუს მიერ ჟურნალ „Regnum Dei“-ში გამოქვეყნებული „პიეტრო დელა ვალეს მიმოწერიდან პიეტრო ავიტაბილესთან — ქართული მისიონის პრეფექტთან“², სათანადო კომენტარითურთ. („Regnum Dei“, A, VIII 1951 წ. იანვარი — მარტი,

№ 25 გვ. 20—27) წერილში წარმოჩენილია პიეტრო დელა ვალეს მონაწილეობა პირველ ქართულ-იტალიური ლექსიკონის დაბეჭდვის საქმეში. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის პიეტრო დელა ვალეს უსაზღვრო სიყვარულს ჩვენი ქვეყნისა და ხალხისადმი, რაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ განელებია და რაც თავისი საქმიანობითაც არაერთხელ დაამტკიცა.

რომი, 18 მაისი, 1930

უწმიდესო მამაო,

„დიდი ხანია, არ მომიწერია თქვენი მაღალყოვლად-უსამღვდელოესობისათვის, მაგრამ არა იმიტომ რომ არ მინდოდა, არამედ იმიტომ, რომ ზუსტი მისამართი არ ვიცოდი. ახლა, რაკი ჩვენამდე მოაღწია თქვენი მეუფების საქართველოში მშვიდობით ჩასვლის ამბავმა მეც არ ვაყოვნებ და გწერთ პასუხს. მანამდე რამდენიმე წერილი მივიღე გზიდან: მესინიდან, სირაკუზიდან, ალეპოდან. წერილები ჩამომიტანა სომეხმა ავეუსტინელ-დომენიკანელმა მისიონერმა ალინჯამაც, რომელიც ეპისკოპოსად აურჩევია თავის ხალხს და ახლა რომში იმყოფება. რამდენიმე წერილი თეათინელი მისიონერებისაგანაც მივიღე. ყოველივე ამან დიდი სიამოვნება მომგვარა. წერილებიდან შევიტყვე, რამდენი ხიფათი და გაჭირვება გადაიტანა ით გზაში. ეს ისპაჰანიდანაც გვაცნობებს ფეხშიშველა კარმელიტანებმა. დაწვრილებით ავეწერეს რაც ერევანში შეგემთხვათ. იგივე მიამბო პადრე ჯოვანი თადეო დი სანტ'ელისეომ — ფეხშიშველა კარმელიტანმა, რომელსაც სპარსეთიდან ვიცნობდი და, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ რომშია, მაგრამ მალე აპირებს უკან გაბრუნებას. ყველაზე მეტად გამახარა ჩვენი თეათინელი ბერების ბოლო წერილებმა, რომლებიც სინიორ ფრანჩესკო ინგოლიმ გადმომცა. უნდა გითხრათ, რომ თუმცა, სინიორ ინგოლი და კარდინალები დიდ ანგარიშს მიწვევენ და ყოველთვის რჩევას მკითხებიან საქართველოს შესახებ, მაგრამ მაინც, ჩემი სურვილი იქნება, ამიერიდან წერილები პირდაპირ ჩემს სახელზე გამოგზავნოთ, რადგან როგორც იცით, მამ საკითხებში უკეთ ვარ ინფორმირებული. ამათ რომ მოსწერეთ, ორიოდ სიტყვა მეც მომწერეთ და საქმის კურსში მამყოფეთ. მე ყველაფერი დაწვრილებით მაინც-

¹ იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

² ამ წერილიდან ცალკეული ნაწილები გამოქვეყნებული აქვს თ. ნატროშვილს, იხ „ლიტ. საქართველო“, 1987 წ. 1/V.

რესებს, ხომ იცით ჩემი დამოკიდებულება და განსაკუთრებული სიყვარული მეგობრებისადმი. სანამ სინორ ინგოლი და კარდინალები განიხილავენ და მე გადმომცემენ აქ მოსულ წერილებს, დრო იკარგება; მე კი შემიძლია ამ დროის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გავაკეთო, ან სასარგებლო რჩევა მაინც მივცე ქართულ მისიონს. თქვენი გამოგზავნილი წერილებიდან შევიტყვე, რომ კარგად და ალერსით მიგიღოთ მეფემ, რაც, რასაკვირველია, ძალზე მახარებს. განსაკუთრებით სინორ ინგოლის სახელზე გამოგზავნილ ბოლო წერილში რომ იწერებოდა, მეფემ თან იახლა პატივით დასჯა და სტეფანო, მაგრამ არ ვიცოც კი საღ... მაგრამ მთავარი ჩვენთვის ისაა, რომ მეფემ ასეთი სიყვარული გამოამჟღავნა ჯაკომო დი სტეფანოსადმი, რაც იმის საწინდარია, რომ ჩვენი საქმეები კარგად წავა, ისე, როგორც ეს მის უწმიდესობა პაპს სურს. რაც შეეხება ბერძენისაგან წინააღმდეგობას, მე ასეც ვიცოდი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ხელს შეგიშლიდნენ, მაგრამ გთხოვ, ჩემი რჩევა გადასცე მთელ მისიონს, რომ აღიჭურვონ სათანადო მოთმინებით და სათნოებით. მხოლოდ ამით შეგიძლიათ მოიპოვოთ ხალხის სიყვარული. ახლა გამართებთ გამოიჩინოთ დიდი სიფრთხილე და სიფრთხილე, რათა არ გადაიხიანოთ მოსახლეობა და არ დათესოთ მათ შორის განხეთქილების თესლი. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის, მაგრამ არც შეუძლებელია. ძალიან გამახარა, აგრეთვე, ნიჩეფორო ირბახის* მშვიდობით ჩასვლამ საქართველოში. ეს ის ელჩია, იბერიის მეფის ელჩი, ესპანეთში რომ მიდიოდა, თქვენ რომ შეგხვდათ მესინაში. ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ კი, ესპანეთის ელჩთან ერთად ჩამოვიდა რომში, მის უწმიდესობა პაპთან. მაგრამ უნდა ითქვას, ისეთი შეხვედრა ვერ მოუწევს, როგორც მის პიროვნებას ეკადრებოდა. ეს ყოველივე კი იმის ბრალი იყო, რომ ძალიან ცუდ დროს მოუხდა ჩამოსვლა; ესპანეთის ელჩი, ვიკონტი ოგნატე, არ ვიცოც რა პირადი მიზეზებით, მაგრამ არ გაჰყვა აუღიანებლად და თავისი აგენტი გააყოლა. ამიტომაც, მიღება საკმაოდ ცივი და ოფიციალური იყო. მისმა უწმიდესობა პაპმა იგი ისე გულთბილად და ისეთი პატივით არ მიიღო. რა თქმა უნდა, სულ სხვა იქნებოდა, ესპანეთის ელჩი რომ ხლებოდა. შევიტყვე თუ არა ეს ამბავი, არ დავაყოვნე და მაშინვე პაპის სასახლეს მივაშურე. მყის საჭირო ინფორმაცია მივაწოდე მის შესახებ, ვიზრუნე დაბინავებაზეც, რის შემდეგ იგი ხელმეორედ მიიღო პაპმა. შეხვედრა არც ამჯერად იყო ისეთი, როგორც მე მინდოდა, მაგრამ სინორ ნიჩეფორო მეტად კმაყოფილი დარჩა. ყოველდღიურად ვზრუნავდი მის კვებასა და მოსვენებაზე. ამ მეორე მიღებაზე სრულიად მარტო იყო, არავინ არ ახლდა და მგონი, ინკვირატორად იყო წამოსული პაპთან. სინორ ნიჩეფოროს თავი ძალზედ კარგად, ღირსეულად ეჭირა, რითაც დიდი სიამოვნება მოჰგვარა როგორც მის უწმიდესობა პაპს, ასევე კარდინალებს. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, მაღალი აზრი შეექმნათ მის პიროვნებაზე. და არა მარტო მათ, არამედ ყველას, ვინც კი მას ესაუბრა. უნდა მოვხსენო, თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, რომ აღმოსავლეთის ქვეყნიდან პირველად ვხვდავ პიროვნე-

ბას, რომელმაც ასე უცებ, ასე მოკლე დროში გადაიღო ჩვენი ჩვეულებრივობა უცხოეთისა და ქვეყნისა ჯველაფერი შეუთავსა თავისი ქვეყნის ჩვეულებებს და ბრწყინვალედ აღასრულა ელჩის მოვალეობა. აქედან რომ მოდიოდა, წერილი გამოგატანე მეფესთან, სინორა მარიამ კი — დედოფალთან. იმ წერილების ასლებს თან ვურთავ და გიგზავნი, რადგან ვშიშობ, იმ ფათერაკების შემდეგ, რაც მანდ კონსტანტინოპოლში ბერძენებისაგან გადაიტანა, ალბათ ყველაფერი წაართვეს, რაც თან ჰქონდა; მათ შორის იყო ჩემი ნაჩუქარი, აბრეშუქზე ოქრომკვდით ნაქარგი ღვთისმშობლის გამოსახულება, ასევე, კარდინალ ბარბერინის ნაჩუქარი ძვირფასი ნივთი. წარმოდგენილი მაქვს, რა ადვილად შეიძლება დაკარგოდა წერილები. მათ შორის იყო თქვენთან გამოტანებული წერილიც. მაგრამ მაგას არაუშავს, მეფისა და დედოფლისადმი მოწერილი წერილები კი მეტად მნიშვნელოვანი იყო. მათში მე და მარია (იგივე თინათინი) ვწერდით ჩვენს მომავალ ერთგულ სამსახურზე ვუცხადებდით სიყვარულს, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ჩვენს მომავალ მეგობრობას, ამიტომ გიგზავნი იმ წერილების ასლებს. თუ ვინც ცობაა, სინორ ნიჩეფორომ ისინი დაკარგა და მეფე-დედოფალად ვერ მიადწია, მაშინ ესენი გადაეცე და სიტყვარადაც უთხარი, რომ მზადა ვართ მათ სამსახურად, თუ კი რაიმე შეგვიძლია, თავს არ დავზოგავთ. სანამ დაწყებული საუბარს გავაგრძელებდი, მინდა გაცნობო ერთი ახალი ამბავი, რაც მჯერა შენთვის გასახარელი იქნება. სინორა მარია ავერ უკვე ერთი წელია, რაც ჩემი მეუღლეა. გასული წლის დასაწყისში ვიქორწინეთ. ეს გადაწყვეტილება ორი მოსაზრებით მივიღე: ჯერ ერთი, ეს გამოწყვეული იყო აუცილებლობით, ჩემს ოჯახში ჩემს მეუღლეს მე მემკვიდრე არავინ დარჩა და მეორე, სახელდობრ ის, რომ მე ის დიდი ხანია მიყვარს. ჩემმა პირველმა ცოლმა მიანდერძა მისადმი სიყვარული. ოღონდ მაშინ ეს სიყვარული მამობრივი იყო. ის ხომ ბავშვობიდან ჩემს ხელში გაიზარდა. რაც შეეხება თვითონ სინორა მარიას, ჩემი სახლიდან რომ არ წასულიყო, სხვებს ისევე ჩემი თავი ამჯობინა, დარჩა აქ, სადაც გაიზარდა. იცით საკმაოდ ხანდაზმულიცა ვარ. ყოველივე იმ უამრავი ნაკლის მიუხედავად, რომელიც მაქვს, სხვებში მაინც მე გამომარჩია. ამ ქორწინებიდან უკვე შეგვეძინა გოგონა, და იმედო მაქვს, მას სხვებიც მოჰყვებიან. თქვენ სხვებზე უკეთესად მოგეხსენებათ, რა გრძობაც მქონდა და მაქვს თქვენი მისიონისადმი დაარსების დღიდანვე. საქართველო მუდამ ჩემს გულშია. ახლა კიდევ უფრო გაიზარდა ჩემი სიყვარული და თავს მოვალედ ვთვლი ქართველი ხალხის წინაშე. ყოველივე ამის აღსანიშნავად, ეს სიყვარული რომ რაიმე სახით გამოხატულიყო ჩემს სახლში, ჩემს გოგონას რომიბერა დავარქვი, რადგან იგი ორივეს — რომაულის და იბერიული სისხლის მატარებელია.

ახლა, რაც შეეხება მისიონერების მეორე ექსპედიციის გამოგზავნას, თუ ღმერთმა ინება და მშვიდობით განხორციელდა ჩვენი ჩანაფიქრი, იმათაც გამოვატან წერილს მეფესა და დედოფალთან და შევატყობინებ ჩვენი ქორწინების ამბავს. გადაეცე სიტყვიერადაც, რომ აქ,

*ნიკიფორე-ირუბაქიძე ჩოლოყაშვილი

რომში, ჩვენი სახით მათ ჰყავთ ერთგული და უმდაბლესი მსახურები. ჩვენი სურვილია, ყოველივე ეს აცნობოთ მეფე-დედოფალს და მათ მემკვიდრეებს. იგივე გადაეცით სინიორ ნიჩეფოროს, რომელიც კარგად გვიცნობს. აქ ყოფნისას ის არაერთხელ იყო ჩვენს ოჯახში, ჩვენც, სინიორა მარიამ და მე, ჩემს ნათესაებთან ერთად რამდენჯერმე ვინახულეთ სან სილვესტროში. სასურველია, მან თავისი სახელითაც მოახსენოს ყოველივე ეს მეფესა და დედოფალს. რაც შეეხება იმ ხიფათებს, რაც სინიორ ნიჩეფორომ გადაიტანა კონსტანტინეპოლელი ბერძნებისაგან, მართლაც დვითის წყალობა იყო, რომ თავი დააღწია განსაცდელს. რაც შეეხება, ქვეყნის დანგრევა-აოხრებას გარეშე თუ შინა მტრებისაგან, ეს ჩემთვის ახალი არ არის. სინიორა მარიას, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ პატარა იყო, კარგად ახსოვს ის საშინელებანი, რაც შაჰ-აბასმა მის ქვეყანას მიჰყენა. კონგრეგაციის სხდომა, რომელზეც უნდა განეხილათ იბერიის მეფისა და პატრიარქის წერილი, ჯერ არ შედგარა. ის სპარსულად იყო დაწერილი და თარგმნა ფრა ჯოვანი ტადეო დი სანტ კლისემო — ფეხშიშველა კარმელიტმა, რომელსაც მეფე კარგად იცნობს და ერთხელ სპარსეთში ელჩადაც ჰყავდა გაგზავნილი. მეფეს და პატრიარქს შეგიძლიათ გადასაცემთ, რომ ამის შემდეგ წერილები პირდაპირ ქართულად მოიწერონ. ეს იმათთვისაც ადვილი იქნება, მშობლიურ ენაზე ალბათ, ზუსტად გადმოსცემენ სათქმელს, აქაც არ გაგვიჭირდება ქართულის გაგება. მთარგმნელის ძეგნაზე კი დრო იკარგება. რაც შეეხება მკურნალის გამოგზავნას მეფისათვის, ცოტა ძნელი საქმეა, რადგან თქვენმა მამულყოფილად უსამდველოებსა კარგად იცის რა სიძნელეებთან არის ეს დაკავშირებული, როგორ გვიჭირს მასეთი პირობებით მათი შორს ქვეყანაში გამოგზავნა. თუმცა, მე ჩემს მცდელობას არ დავაკლებ და რაიმეს ვიდრე ვეკლავურს გავაკეთებ, რაც ჩემი შესაძლებლობის ფარგლებშია. ჩემი აზრით, ყველაზე შესაფერი კანდიდატურა სინიორ ლუიჯი რამირაა, რომელიც ახლა ალექსანდრია და რამდენადაც ვიცი, არ უნდა იქ დარჩენა. თანაც, აზრის ქვეყნებში ცხოვრებას უკვე შეჩვეულია, ახლოცაა ტერიტორიულად. მე გზონი კარგი იქნება სცადოს ბედი და წამოვიდეს საქართველოში. ერთი სიტყვით, ეს ყველაზე უფრო რეალურად და შესაფერისად, შედარებით ადვილად განსახორციელებლად მეჩვენება. მე დღესვე მივწერ ვრცელ წერილს, თქვენც მანდედან მისწერეთ. კონგრეგაციიდან, რაც საჭირო იქნება, მე გავაკეთებ; რაც შეეხება თქვენი მისიონის საჭიროებისათვის შავი ქსოვილის გამოგზავნას, ახლა წამომსვლელ პადრებს გამოვატანთ, ვიცით, იგი არც ალექსანდრიაში იშოვება. მღვდლებისათვის საჭიროა თავსაბურავიც. ჩემის მხრივ, მეფეს, დედოფალს და პატრიარქს საჩუქრად გამოვუგზავნით სამოსელს. თანაც მინდა ერთხელ და სამუდამოდ დავაზუსტოთ მეფის ტიტული. აქ ყველას ხანს ეძახიან. ვფიქრობ ძალზე ფაშილარულია. ასე მეფის ნაცვლებს მიმართავენ სპარსეთში. არა გზონია, ქრისტობან მეფეს მოეწონოს ეს. ჩემი აზრით, უნდა ვიხმაროთ, მისი უგანათლებლესობა იბერიის მეფე, როგორც ეს ეწერა იმ წერილში, რომელიც ნიჩეფორომ ჩამოიტანა. ასევე იხსენიებდა მას ესპანეთის მეფეც, მე გზონია ესაა სწორი. ჩემს წერილშიც, ნიჩეფოროს რომ

გამოვატანე, დავწერე — მისი უგანათლებლესობა იბერიის მეფე. ახლა მრჩება გთხოვოთ კიდევ ორი რამ, რის შესრულებისათვის წინასწარ დიდი ძალღობა მინდა მოგახსენო. ნიჩეფორომ აქ ყოფნისას მიაბნო წმიდა სინიორ გთხოვთ ნელ-ნელა შემიგროვოთ და გამოგზავნოთ მაც წმიდანზე მასალები, სადაც დაწვრილებით იქნება მოთხრობილი მის მიერ მოხდენილ სასწაულებსა და მოწამებრივ ცხოვრებაზე. ასევე გთხოვთ შემიგროვოთ ყველა ის გადმოცემები, რაც მასზე არსებობს, კარგად ჩამოყალიბებული სახით. ვფიქრობ, თქვენ ეს არ გაგიჭირდებათ. კინაღამ დამავიწყდა, როცა სინიორ ნიჩეფორო აქ იყო, მისი უშუალო მონაწილეობით და დახმარებით ჩამოგასხმევინეთ ქართული შრიფტი, რათა საშუალება მოგვეცემოდა ამ ენაზე დაგვებეჭდა წიგნები. ჩემი აზრით, შრიფტი ძალიან კარგი გამოვიდა. შევადგინეთ, აგრეთვე, პატარა სიტყვანი ლექსიკონისათვის, ქართული ანბანითურთ; ასევე, სხვა ქრისტიანულ დოქტრინასთან დაკავშირებული ტექსტები: როგორებიცაა მთავარი ლოცვები, წმიდა წერილი, ფსალმუნი და სხვა ამგვარი. ყველა ესენი დაიბეჭდა ქართულ ენაზე და როცა აქედან წამოვლენ მისიონერები, აუცილებლად თან გამოვატანთ. ლექსიკონი, უნდა ათქვას, მოცულობით ძალზე პატარაა და არა გზონია დაზღვეული იყოს შეცდომებისაგან, მაგრამ ეს პირველი ცდაა, რაც ამ ენაზე დაგებულა. ყოველივე კი იმის ბრალია, რომ ენის უცოდინარობის გამო მისი შექმნის მონაწილეები: სინიორ ნიჩეფორო, მბეჭდავი პაოლინი და ბერძენი თარჯიმანი ერთმანეთს კარგად ვერ უგებდნენ. ამჯერად იყოს ასე: გამოვავაზნოთ, მანდ გადახედეთ, კარგად შეისწავლეთ, ადგილზე გამოსცადეთ, ჩაასწორეთ, განაგრძეთ, რათა შემდგომში უფრო სრულყოფილად გამოიცეს. ვფიქრობ, ამ ერთ წელიწადში, რომელიც თქვენ მანდ დაჰყავით, უკვე საკმაო პრაქტიკა გექნებათ ამ ენაში მიღებული. დიდი გულისყურით და მონდობებით უნდა შეისწავლოთ ქართული ენა. ეს აუცილებელია. როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, მე და ჩემი მეუღლე მარია, ჩემი გოგონა რომიბერა, მთელი ჩემი ოჯახის სახით ვართ და მომავალშიც ვიქნებით უგულითადესი და უერთგულესი მსახურნი თქვენი მისიონისა. გვიბრძანეთ და ჩვენ მზად ვართ შევასრულოთ ყველა თქვენი თხოვნა, თქვენი მხრივ კი ყოველთვის მოგიხსენიებდეთ თქვენს წმინდა ლოცვებში.

ვისურვებდი, რომ სინიორ დონ ნიჩეფოროს მშვიდობით მოველოს იერუსალიმი და კვლავ ჩამოსულიყოს ჩვენთან, რომში, ელჩად. ის სხვაზე უკეთესად შეასრულებს ამ მისიას.

პიეტრო დელა ვალე, თქვენი უმორჩილესი მსახური, პილიგრიმი.

საქართველოში. გორში. დონ-პიეტრო ავიტაბილეს.

ამ წერილიდან ნათლად ჩანს ის დიპლომატიური ნიჭი, რისთვისაც პიეტრო დელა ვალეს თვით შაჰ-აბასიც პატივს სცემდა. ჩვენთვის საინტერესოა დელა ვალეს მონაწილეობა პირველი ქართულ-იტალიური ლექსიკონის დაბეჭდვის საქმეში. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ლექსიკონის ბეჭდვის მეოთხე მონაწილე — ბერძენი, რომელიც თარჯიმნად ახლდა ნიჩეფოროს.

საქართველოში იტალიელი მისიონერების ჩამო-

სვლამდე ბერძნებს საკმაოდ ჰქონდათ აქ ფეხი მოდგმული. ყველაზე განათლებულ პირებად ბერძნები ითვლებოდნენ. უბრალო მოსახლეობა მოწიწებით იხდიდა ქულს ბერძენი სასულიერო პირის დანახვაზე.

როცა სარწმუნოების გამავრცელებელ კონგრეგაციაში დაღვა საკითხი საქართველოში მისიონერების გამოგზავნის შესახებ, რა თქმა უნდა, სათანადო ინსტრუქციებში არ დავიწყებიათ ეს მნიშვნელოვანი არგუმენტი: „სასწრაფოდ გვაცნობონ კარგად ესმით თუ არა იმ სამეფოში ბერძნული ენა, მდაბიური თუ ლიტერატურული, რათა შევძლოთ აქედან რაიმეს გაგზავნა ხსენებულ სულთა გადარჩენისათვის.“ ნიჩიფორო ირბახისათვის გადასაცემ საბუთში კონგრეგაციაზე ერთხმად იქნა დადგენილი: შესაძლოა საჭირო გახდეს ელჩს გადაეცეს „სარწმუნოების ქადაგების რამდენიმე ეგზეგეტიკალი, ბერძნულ ენაზე ხელმოწერილი გრიგოლ XIII ის მიერ. ასევე, კარგი იქნება მიეცეს ელჩს ეთიოპელებისაგან შედგენილი „აღსარება“, როგორც ყველაზე უფრო დეტალური, მსოფლიო კრებების განმარტებების შემცველი. შესაძლოა მიეცეს მას, აგრეთვე, ხალხის გათვითცნობიერებისათვის კარდინალ ბელარმინოს „დიდი და პატარა ლოქტრინა“, დაბეჭდილი მდაბიურ ბერძნულ ენაზე. (იქვე ბარათზე მინაწერია — ელჩის თარჯიმანი ბერძენი კარიოფილოსი.)

როგორც ამ წერილიდანაც ჩანს, ბერძნებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მისიონერებს. ცდილობდნენ ყველანაირად ხელი შეეშალათ მათთვის. როცა პირველად საკითხი დაისვა, რა ენაზე ეპასუხათ პაპის წერილზე თეიმურაზ მეფესა და კათოლიკოს ზაქარაიას, თავდაპირველად გადაწყდა წერილი დაეწერათ ბერძნულად.

ავიტაბილე წერს „გაიგეს რა მეფისა და პატრიარქის გადაწყვეტილება მისწერონ რომში საპასუხო წერილი, იქ მყოფმა ბერძენმა ბერებმა საშინელი ხმაური ატეხეს და შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მეფისა და პატრიარქისათვის. ხოლო, როცა მეფემ დაჟინებით მოითხოვა თავისი გადაწყვეტილების ასრულება, ბერძნები შეეცადნენ შეეცვალათ წერილის ტექსტი და ჩაეწერათ მათ მიერ შერჩეული, შეფერვბელი სიტყვები. მაშინ მეფემ მისიონერებს უთხრა: „მათ ძალიან არ ვუყვარვართ. მე არ მინდა რომელიმე მათგანმა დაწეროს ჩემი წერილი. მე არ ვენდობი მათ. ამიტომ გადაწყდა წერილი დაეწერათ სპარსულად“ (ი. ტაბაღა იხ. „კომუნისტი, 1985 წ. 2 ივლისი).

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-იტალიურ ლექსიკონში ბერძნული სიტყვების სიჭარბის თაობაზე დღემდე არსებობდა ეჭვი, მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები არ გაგვჩნდა. ასე მაგალითად: დ. კარიჭაშვილი წერდა: „ქართულ სიტყვათა ნაცვლად ლექსიკონში არაერთგან ბერძნული ზის: „მამაკაცის“ („Homo“) ნაცვლად „ანირი“, „მეფეს“ Re-ს ნაცვლად „ეპსილია“, „ცხენის“ („Cavallo“) ნაცვლად ზის „იპო“, „ჯარისკაცის“ — „solodato“ ნაცვლად — „სტრატეგიატი“, ზეთის — „Oglio“) ნაცვლად „ელეო“. უთარგმნელად დარჩენილია მთელი ბერძნული ფრაზები — „ეპიტროპუსტუ ქრისტუ“ „პაპა“ — „Vicario di Cristo e di Papa“ — შეტანილია ლექსიკონში ქართული ფრაზის „ქრისტეს ნაცვლი არის პაპი“ — მაგვირად (ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, გვ. 27).


ასევე ეჭვს გამოთქვამდა მარი ბროსე: „პატარა სიტყვარი შედგენილი იტალიელის მიერ, ქართული ენის გამოთქმაში გზამკვლევის როლს უფრო ასრულებდა, ვიდრე ფაქტების სინამდვილის ცოდნას ამჟღავნებდა ორთოგრაფიის დადგენის დროს. იგი არ იძლევა ღრმა ცოდნის მარჯვენებელ ნიშნებს ქართველი ბერისას, რომელიც ამ შრომაში მას ეხმარებოდა“... სხვა ადგილას, იგივე მ. ბროსე წერს: „მამა ირბახი მიჩნეული იყო საქებარ წმიდანად და განათლებულ ადამიანად, თუ ეს ასეა, მაშინ პაოლინიმ... ძალიან ცუდად გადმოგვცა ქართული გამოთქმა, რამდენადაც ამ ლექსიკონში სიტყვები გაუგებარია... ამით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

აკადემიკოსი არნოლ ჩიქობავა წერდა: „როგორ შეიძლება ნიკიფორე ირბახს არ სცოდნოდა ისეთი სიტყვა, როგორცაა „მეფე“, „ცხენი“, „მამაკაცი“...“

...საეჭვოა რომ რომში ჩასულ ნიკიფორეს 3084 სიტყვიანი სიტყვარი შეედგინა, თუნდაც ის ქართულის კარგი მცოდნე ყოფილიყო...“ უფრო საფიქრებელია, სიტყვანი შედგა რაღაც ლექსიკონის (ვთქვათ ბერძნული ლექსიკონის) სიტყვებიდან გამოკრებილი მასალის ქართულად თარგმანით და თარგმანის დროს ზოგი სიტყვა დარჩა უცვლელად...“

ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ ნიკიფორე ირბახს ძალზე გაუჭირდა რომის პაპთან აუდენციაზე მოხვედრა, სანამ ესპანეთის მეფის სარკოლმენდაციო წერილით არ დაბრუნდა რომში. იგი ძალზე ბევრი საქმით იყო დაკავებული და, ბუნებრივია, ლექსიკონისათვის ისე რომ მისი თითოეული სიტყვა წაკითხა, ვერ მოცილიდა. იღუპა კი, უდავოდ მისი იქნებოდა. პრაქტიკულად, როგორც პიეტრო დელა ვალეს წერილიდან ჩანს, ლექსიკონის შედგენა-დაბეჭდვაში მონაწილეობდა მისი თარჯიმანი, საქართველოდან წაყვანილი ბერძენი, რომელმაც ქართულიც იცოდა. ასეთი წიგნის შედგენისათვის საჭირო იქნებოდა გარკვეული სიტყვარი, როგორც ამაზე სამართლიანად მიანიშნებს აკად. არნოლდ ჩიქობავა, რადგან მანამ ყოველგვარი ლიტერატურა საქართველოში იგზავნებოდა და ვრცელდებოდა მდაბიურ თუ ლიტერატურულ ბერძნულ ენაზე. არ შეიძლება არ ყოფილიყო ბერძნულ-ქართული ლექსიკონი ან სიტყვარი, რასაც საფუძვლად გამოიყენებდნენ. შესაძლოა, ამით აიხსნება ბერძნული სიტყვების ის სიუხვე, რაც ამ ლექსიკონს გააჩნია. საგულისხმოა, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ლექსიკონში უთარგმნელად დატოვებული მთელი რიგი ბერძნული გამოთქმებისა — რელიგიური ხასიათისაა. პაოლინიმ ქართული არ იცოდა, ნიკიფორე ირბახს ამისთვის არ ეცალა. ჩვენი დაკვირვებით უფრო მეტი ტვირთი საქართველოდან ჩასულ ბერძენ თარჯიმანს უნდა დაეკისრებოდა. როგორც ერთი საარქივო პარათიდან ირკვევა, ნიკიფორე ირბახის ბერძენი თარჯიმანი იყო — იოანე მათე კარიოფილოსი... ასეთივე ვარაუდს გამოთქვამს მკვლევარი ჯ. ვათეოშვილიც. ვფიქრობთ, ეს ვარაუდი სწორი უნდა იყოს, რასაც კიდევ უფრო ამაყრებს ზემოთ მოტანილი წერილიც.

ზაირა სტურუპა



უმნს მიწას მიმბარეო

დაბრუნება

კვლავ გახსნა გული დიდუბის მიწამ... სამოცი წლის განშორების შემდეგ განისვენა აქ კალისტრატე სალიას მართალმა გულმა...

მისივე სურვილის თანახმად, მისი ნეშტი სამშობლოში გადმოსვენეს. პროფესორმა ზურაბ გელეკვამ ადასრულა ეს წმიდა ვალი. ასეთი ყოფილა ქალბატონ ნინოს სურვილიც, ნატვრაც... თავისი მეუღლის ანდერძის აღსრულებისა. თითონ კი, ღრმად მოხუცებულს, 96 წლის ასაკში აღარ შეეძლო მისთვის ამ უპვირფასეს წუთებში საქართველოს მიწაზე რომ დაედგა ფეხი.

27 თებერვალს მზიანი დღე იდგა... სამარხს მშობელი ქვეყნის მინდვრებში დაკრეფილი იები ამკობდნენ... ხოლო, მათ გულში, ვინც იმ დღეს ამ მშვენიერი და ამაღლებული წუთების შემსწრენი იყვნენ, სულის განმწმედ და სიცოცხლის დამამკვიდრებელ ხმად რეკდა დიდი აკაკის სტრიქონები:

დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
უმნს მიწას მიმბარეო,
ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო...

... ამ ქვეყნად კაცის მოსვლა იმთავითაა თუნდაც გამართლებული, რომ აკაკის „განთიადი“ წაიკითხოს, მართლ ამ ლექსითაც შეიცნობა ერის სული. უცხოობაში განსაკუთრებით მძაფრად გრძნობ ამას“ო, უთქვამს ბატონ კალისტრატეს.

დიდად ღვაწლმოსილმა მეცნიერმა კალისტრატე სალიამ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოეთში გაატარა. დიდი ღვაწლი გასწია მან საზღვარგარეთ ქართული კულტურის — მწერლობის, მეცნიერების, ხელოვნების გატანისა და გაცნობის საქმეში. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საზღვარგარეთის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი... დიდად განათლებული, თავისი ქვეყნის მწერლობასა და ისტორიაზე დიდად, თავდავიწყებით მზრუნველი, მოამაგე. მთელი თავისი ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა კალისტრატე სალიამ მიუძღვნა მშობელი ქვეყანას. ბევრს იღვწოდა იგი, რათა საზღვარგარეთელი

მკითხველი გასცნობოდა ქართველი ერის ისტორიასა და მწერლობას. თავის მეუღლესთან, ნინო სალიასთან ერთად პარიზში ბეჭდავდა ქართველოლოგიურ ჟურნალს „რევიუ დე კარტელოლოჟი (ბედი ქართლისა), რომელშიაც ქვეყნდებოდა სტატიები და გამოკვლევანი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესახებ. სალიებმა ამ გამოცემის ირგვლივ თავი მოუყარეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ ქართველოლოგებსა და ორიენტალისტებს, რომელთა პუბლიკაციები ჟურნალს დიდ მეცნიერულ დონეს ანიჭებდა. ძალზე დიდი ღვაწლი დასდო კალისტრატე სალიამ ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრების საქმეს. საგულისხმოა, რომ მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა მიხეილ წერეთლის, მიხეილ თარხნიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის გამოუქვეყნებელი შრომები, ასევე სავსებით უნიკალური ბიბლიოთეკა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სალიების სახელობის სამეცნიერო წიგნების ფონდი... ყოველივე ეს ფასდაუდებელ დახმარებას უწევს სწავლულებს. იგი ძვირფასია ქართული ეკლესიისათვისაც... ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, რომელთა შესახებ გამოკვლევებსა და შრომებს, როგორც მისი რედაქტორობით, ასევე ავტორობით, ჟურნალი „ბედი ქართლისა“ აქვეყნებდა, ქართული ეკლესიის წიაღშია შექმნილი, საეკლესიო წიგნებია. კალისტრატე სალიამ ბევრი უცხოელი დააინტერესა ქართული მწერლობით, ისტორიით, ხელოვნებით... მან მრავალი მეგობარი მოუპოვა საქართველოს და უშუალოდ ქართულ საქმესთან დააკავშირა, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე დარაჯად ედგა ქართულ საქმეს უცხოეთში... როგორც აკადემიკოსი ელენე მეტრეველი წერს, იგი ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებთან დაკავშირებულ ყოველგვარ მცდარ და არა მეცნიერულ კვალიფიკაციებს ევროპის პრესაში არავის აპატიებდა. უმაღლეს „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე აქვეყნებდა თავის, ან რომელიმე კომპეტენტური მეცნიერის პასუხს. სწორედ ასეთი ფაქტების სიმრავლემ გადააწყვეტინა ბატონ

კალისტრატეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და-
ეწერა დიდტანიანი ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“,
სადაც შეეცადა თავი მოეყარა ქართული ისტორიოგრა-
ფიის უკანასკნელი მიღწევებისათვის და ამით საქართვე-
ლოს შესახებ კვალიფიციური ცნობები მიეწოდებინა
ევროპელი მეცნიერებისათვის. ამ წიგნმა ევროპის მეცნი-
ერულ წრეებში დიდი მოწონება დაიმსახურა, — საფრან-
გეთის აკადემიისაგან კი მაღალი ჯილდო მიიღო.

ჩვენ ზემოთ სალიების მიერ შექმნილი სამეცნიერო
წიგნების ფონდი ვახსენეთ. ეს ფონდი ამჟამად ქართულ
ხელნაწერთა ინსტიტუტის საკუთრებაა. დიდი ამაგი გას-
წიეს მათ ამ ფონდის შექმნაში. უკვე ხანში შესულებს
ძალა შეჰმატა ამ რთული საქმის განხორციელების სურ-
ვილმა; უფრო ახლოს დაუკავშირდნენ ქართულ სამეცნი-
ერო საზოგადოებას. და დღეს, როგორც ხელნაწერთა
ინსტიტუტის დირექტორი ქალბატონი ე. მეტრეველი
წერს, ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია მასშტაბი იმ სა-
ქმიანობისა, რომელიც 75 წელს გადაცილებულმა კალე
სალიამ გაშალა საქართველოსათვის სამეცნიერო წიგნ-
ების ფონდის შესაქმნელად. სიარული ბუკინისტებთან და
ანტიკვარებთან ძველი და იშვიათი გამოცემების მოსა-
პოვებლად; მიმოწერა მსოფლიოს უდიდეს გამოცემლო-
ბებთან მრავალწლიანი სერიული გამოცემების შესაძე-
ნად; კატალოგებზე დამქანცველი მუშაობა საჭირო წი-
გნების შერჩევისა და გამოწერისათვის და სხვა. ყველა-
ფერ ამას ბატონი კალე აკეთებდა დიდი ცოდნით, დიდი
ენტუზიაზმით და თავდადებათ. სამაგიეროდ არაფერს
თხოულობდა... მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი სიკეთე
შეეძლო მოეტანა ქართული მეცნიერების განვითარები-
სათვის ამ წამოწყებას, ამიტომ სალიები ჩქარობდნენ,
უნდოდათ რაც შეიძლება მეტი წიგნი გადაეცათ საქარ-
თველოსათვის, სანამ ცოცხლები იყვნენ.

...ამ საქმის წარმატებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ
წლების მანძილზე კალე სალია სამეცნიერო პრესის სა-
ერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად ითვლე-
ბოდა, რაც მას გამოცემლობებთან ურთიერთობის დამ-
ყარებას, უმოვნელის შოვნას უადვილებდა. მაგრამ წარ-
მატების მთავარი მიზეზი, ალბათ, კალე სალიას უთუოდ

გამორჩეულ ორგანიზატორულ ტალანტში, მის შეუდრე-
კელ ნებასა და საქართველოსადმი დიდ სიყვარულში უნ-
და ვეძებოთ. დღეს ჩვენ ვიმკით ამ დიდი შრომის კეთილ
ნაყოფს.


თოთხმეტი წლის წინ განუზრახავთ ნინო და კა-
ლისტრატე სალიებს საქართველოს მონახულება... მა-
გრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა. მიზეზი ქალბატონ ნინოს
ავადმყოფობა და, ყველაზე მეტად, იმაზე ფიქრი ყოფილა,
რომ მათი „დაღლილი გულები“ ასეთ სიხარულს ვერ
გაუძლებდა. სამშობლო მიწაზე ფეხის დადგმის სურვილი
აუხდენელი ოცნება იყო... და მაინც, ისინი მხოლოდ და
მხოლოდ სამშობლოთი და სამშობლოსათვის ცხოვრობ-
დნენ. დღეს კი, როცა აღამიანური ცხოვრების გზა უკვე
გავლილია, როცა უკვე კარგად ჩანს, სამკალიც და მო-
მკილიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე იმას,
რაც კალე სალიამ გააკეთა, შეიძლება გმირობა ეწოდოს.
ესაა კაცთა შესაძლებლობაზე აღმატებული დეაწლი, მის
თვალეში კი, რომელიც სურათიდან შემოგვეყურებს, მა-
ინც ჩანს სამშობლოს ფესვებს მოწყვეტილი ადამიანის
სულში ტკივილად ჩაკირული სევდა, რომელსაც ყველა
მის გარშემო მყოფი ხედავდა და გრძნობდა. ამოუწურავი
ყოფილა მისი გვეგები... ოცნებად ჰქონია ქართული
ფრესკული მხატვრობის დიდი ალბომის გამოცემა, ახალ-
გაზრდა უცხოელი ქართველოლოგებისათვის სასტიპენ-
დიო ფონდის შექმნა და სხვა მრავალი... მთავარი ოცნება
კი, ერთხელ მაინც ენახა თავისი „ცა-ფირუხ-ხმელთ-
ზურმუხტო“ სამშობლო და ზიარებოდა მშობელი მიწის
მადლს, გარდაცვალებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ
აუხდა... იგი ფერფლად დაბრუნდა საქართველოში, მის
მიწაში სამუდამო განსასვენებლად.

ერთხელ, ერთი ქართველი მწერლისთვის უთქვამს:
„ერთადერთი, რასაც არაფერი ეშველება, სიკვდილიაო“.
მაგრამ სიკვდილსაც არ ძალუძს დააცილოს იგი მშობელ
ქვეყანას, მის ბედს.

მსუბუქი იქნება მისთვის საქართველოს მრავალტან-
ჯული მიწა, მისი დიდი და უპირველესი სალოცავი. გა-
ნისკვნის მან „ადგილსა მწვანეილოვანსა, ადგილსა ნათ-
ლისასა“...



კ. სალიას ნეშტის დაკრძალვა დიდუბის პანთეონში



ნ ა შ რ ო მ ო

ბ ა ნ ძ ა დ


დ ა შ ო მ ბ ო ს

გორისჯვრის საკურთხევის წინ აღსამართავი ჯვარი

გორის სამხრეთ—დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, გორაზე დგას გორიჯვრის ეკლესია, სადაც ინახებოდა საკურთხევის წინ დასადგმელი ჯვარი, რომელიც გორელ მემამულეს გიორგი ამილახვარს ეკლესიიდან სახლში გადაუსვენებია. 1920 წელს ეს ჯვარი შეუქმნია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს. ამჟამად იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციის საკუთრებაა.

ჯვარი მოჭედლია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც რელიეფური ჭედვით გამოსახულია წმიდა გიორგის ცხოვრებისა და ვნების 15 სიუჟეტი. ჯვარს აქვს ორი წარწერა, პირველი, რომელიც გვამცნობს, რომ ჯვარი წმიდა გიორგის ეკლესიისათვის შეუწირავს მეფე ალექსანდრეს, რომელიც, როგორც ცნობილია, მძიმედ ყოფილა დაავადებული. იგი მართლაც განკურნებულა. ჯვარი მეთხუთმეტე საუკუნისაა.

მეორე წარწერა გვაუწყებს, რომ იგი 1707 წელს შეუჭედია თავად გიორგი ამილახვარს. ჯვარს აქვს კონუსური მოყვანილობის ვერცხლით შეჭედლილი ქუდი, რომელიც XIII საუკუნეშია შესრულებული. როგორც ცნობილია, XV საუკუნიდან ქართული ჭედური ხელოვნება ერთგვარად დაქვეითების გზაზე იყო, მაგრამ გორიჯვრის ჯვარი ბრწყინვალე შემოქმედების ნიმუშია. შესანიშნავია ვერცხლის ფირფიტებზე გამოსახული კომპოზიციები, ფორმათა პლასტიკა, მხატვრული გამომსახველობა.



დეტალი



დეტალი

ს ა ე კ ლ მ ს ი ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა



XXX

მისი უწმიდესობა და უნეტარესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მოსკოვში შეხვდა მის უწმიდესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ პიმენსა და რუსეთის ეკლესიის მმართველ მღვდელმთავრებს. საუბარი შეეხო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, ავტონომიისა და ღიბტიხის საკითხებს, რომელნიც განხილული იქნება მომავალი წმიდა და ღიბი კრების მოსამზადებელ თათბირზე. შეხვედრაში რუსეთის ეკლესიიდან მონაწილეობდნენ უკრაინის ეგზარქოსი, საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტი ფილარეტი, ეპისკოპოსი თეოფანე და პროფესორი ა. ს. ბუვესკი. საქართველოს ეკლესიიდან საუბარს ესწრებოდნენ წილენელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე და დეკანოზი ელგუჯა ლოსაბერიძე.

შეხვედრამ ცხადყო ორი მეზობელი ეკლესიის ერთიანი პოზიცია, მომავალი კრების მოსამზადებელ თათბირზე განსახილველ საკითხებზე.

XXX

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის ლოცვა კურთხევით 11-12 იანვარს მცხეთის სასულიერო სემინარიაში სასულიერო პირთათვის ჩატარდა ორდღიანი საღვთისმეტყველო სემინარი თემაზე: „წმიდა ნათლობა და კატეხიზაცია“. მოხსენებებით გამოვიდნენ მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, წილენელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე და სემინარიის ინსპექტორი, არქიმანდრიტი რაფაელი. მოხსენებებათა გამო გაიმართა კამათი. შემაჯამებელი სხდომა შედგა საქართველოს საპატრიარქოში. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა რელიგიის

საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ-ში ბატონი ა. ნ. წიკლაური.

საღვთისმეტყველო სემინარზე მიიღეს რეკომენდაციები სასულიერო პირთათვის, რომელთაც ვაქვეყნებთ ქვემოთ:

—წმიდა საიდუმლო ნათლობის შესრულების წინ მოძღვარს დაუვალოს მცირე ქადაგება ნათლობასა და ეკლესიაზე;

—წმიდა საიდუმლო ნათლობა ჩატარდეს უფრო საზეიმო ვითარებაში. სასურველია დაეასწროთ მკითხველი, მგალობელი და პრევიის წარმომადგენელი;

—მცირე ემბაზების გარდა ტაძრებში მონაწილეთა მოსანათლად უკეთესია მოეწიოს ღიბი სანათლავები;

—სასულიერო პირნი უზრუნველყოთ კურთხევანებითა და სხვა აუცილებელი საღვთისმსახურო წიგნებით;

—ტაძარში დაწესდეს სასულიერო პირთა მორიგება ღვთის სიტყვის ქადაგებისათვის და, უკეთუ შესაძლებელია, ამ მიზნით გამოიყოს კუთხე ეკლესიაში. ღვთის სიტყვის სწავლება უმეტესად დაუვალოთ იმ მოძღვართ, რომელთაც ექნებათ სათანადო მოზადება ღვთისმეტყველებაში.





აცხოვნე უფალო ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯუარითა
ღვთივ დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და ერი შენი საფარველსა ქუეშე შენსა
დაიცევ.



მცხეთა. სემინარია.
ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა.



გ ა ლ ო ბ ი თ მ გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი

„პრისტეჟან კეთილად იზრუნოს მხევლისა“

თვისისათვის“


XXX

1982 წლის 24 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დამსახურებული მედავითნის წოდება მიუბოძა ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მსახურს – ნათელა მურუსიძეს. ეს იყო იშვიათი შემთხვევა ქართული ეკლესიის ისტორიაში. საეკლესიო მოღვაწეობის 30 წელი მიითვალა მაშინ მხევალმა ღვთისამ, ხოლო: „საქმე მაღალ ზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მიიტანოს წუთისოფლის სუფრაზედ, რაცა აქვს...“ (მართალი ილია).

ნათელა მურუსიძე 1927 წელს დაიბადა ქ. ქუთაისში. ღვთისმოსავ დედის შემწეობით ბავშვობაშივე დაუსწავლია ხუცურად კითხვა და ცალკეული ლოცვები. ორმოციანი წლების დასაწყისში, ომის განსაცდელის ჟამსაც არ განშორებია დედა-შვილი ეკლესიას, არამედ ერთგულად მსახურებდნენ მას: 1943 წელს „მთავარანგელოზის“ ეკლესიაში შავი ფკვილით მოხელილი სეფისკვერები გამატანა დედამ ეკლესიაში და წირვაზე ის კვეთესო – იგონებს ნათელა. 1944 წელს იგი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩარიცხულა და არც სტუდენტობის ჟამს

მოუკლია ღვთისმსახურება... მესამე კურსელს ქუთაისის განახლებულ „წმიდა გიორგის“ ეკლესიაში „სამოციქულოც“ წაუკითხავს. მწირველი მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ყოფილა და ყმაწვილი ქალი დაულოცნია კარგი კითხვისათვის. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჭიათურის „მღვიმეის“ დედათა მონასტერში მორჩილად უკურთხებიან ნათელა, სადაც ელენე კიკნაძის წინამძღვრობაში სამ წელს გამოიცდებოდა. 1952 წელს კი ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ გაბრიელს (ჩაჩანიძე) იგი ქუთაისის „პეტრე-პავლეს“ ეკლესიაში მედავითნედ უკურთხებია, სადაც დღემდე მსახურობს; ხოლო კეთილმსახურებისათვის ქართულმა ეკლესიამ ნათელა მურუსიძე ორგზის პატივყო – წმ. გიორგისა და წმ. ნინოს ორდერები მიუბოძა მას.

საეკლესიო მოღვაწეობაში მრავალი განსაცდელისა და სიხარულის მხილველი, სამოც წელს გადაცილებული მხევალი დღეს ყველაფრისათვის მაღლობას უფალს და ერთგვის მომადლებული მხნეობით „ხმითა თვისითა უფლისა მიმართ ღაღადყოფს“.



მოღვაწეობის სამოცი წელი



სიონის საპატრიარქო ტაძრის გუნდში 1927 წლიდან მოღვაწეობს ანნა მუსერიძე, ვინაც დღემდის „გალობით უგალობს“ და აღიდებს შემოქმედს.


1910 წლის 20 თებერვალს, მუშის ოჯახში დაიბადა ანნა. დედა — საეკლესიო მგალობელი იყო. რვა წლის გოგონა გიმნაზიაში მიაბარეს, ხოლო შემდგომად სამი წლისა შრომის სკოლაში გადაიყვანეს. იქ გაასრულა ათი კლასი. სკოლის წლებშივე დიდუბის ღვთისმშობლის ტაძრის მგალობელთა გუნდს მიეკვდლა... სწორედ იქ მოუსმენია მისთვის სიონის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელს იოანა ოჩიგავას და თავისთან წაუყვანია. მას შემდეგ იგი აღარ განშორებია სიონს... ბევრი რამ ახსოვს... ახსოვს კათოლიკოს-პატრიარქნი: მელქისედეკი, კალისტრატე, ეფრემი, დავითი... ახსოვს ის წლებიც, რამდენიმე კაცი რომ იდგა მრევლში წირვის დროს... საოცარი სიმყუდროვე იდგა მაშინო, იგონებს. ბევრი ტანჯვა და მწუხარება გარდახდენია... უჭირდა იმ წლებში საქართველოს ეკლესიას... მაგრამ უხენაესის რწმენა არასდროს დაუკარგავს და არც თავისი საყვარელი საქმისთვის უღალატნია. შეეთვისა და განუყრელად შეერწვა მისი სასიამოვნო, მელოდიური ხმა ქართულ საეკლესიო გალობას, მგალობელთა გუნდს... მოგვიანებით კი მისი საშემსრულებლო დონე აკადემიურ კაპელაში მოღვაწეობის ჟამსაც აღიარეს და სახალხო არტისტის

წოდება მიანიჭეს. ხოლო ანნა, საბოლოოდ მაინც სიონის ტაძარს მინდობია და თუ რამ გარეშე მიზეზი არა, იგი არც ერთ წირვა-ლოცვას არ დაკლებია; თანამოსაგრეობდა და ლოცვა-კურთხევას იღებდა პატრიარქ მელქისედეკისა, კალისტრატესა, ეფრემისა და დავითისაგან.

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე წირვის დაწყებამდე უეჭველად მოიკითხავდა თურმე მას. ეიმედებოდა მისი გალობა. საკვირველია, რომ ამ ხანდაზმულ, მრავალისმხილველ ღვთისმოსავ ქალის სახეზე დღესაც იკითხება: „ყველაფერი რიგზეა“: თითქო მწუხარება, დევნა, ან სხვა რამ განსაცდელი მას არ ეხილოს; თითქო ტკივილი მრევლით დაცლილ ეკლესიაში გალობისა მას არ განეცადოს; არამედ სამოცი წლის ლოცვა-გალობა სიმშვიდელ დაჩენია მის პირისახეს.

1980 წელს, მცხეთობას — სვეტიცხოვლის ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დეაწლმოსილი ანნა წმ. ნინოს ორდენით დააჯილდოვა.

სამოცი წელი გაასრულა ანნამ სიონის ტაძრის კედლებში და უხარია, რომ შეესწრო მასში მოზვირთულ მრევლს; ქართულ საგალობლებთა და ახალგაზრდების მოძლიერებულ მგალობელთა გუნდს. აწ ერთსდა შეთხოვს უფალს: „რომ არსადა განეშოროს მას აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“.



კ უ რ თ ხ ე მ ვ ა ნ ი



XXX

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით, შობის მარხვის დასასრულს, 3 იანვარს სამთავროს დელათა მონასტერში მცხეთის სასულიერო სემინარიის სამი სტუდენტი დავით თოღაძე (I კურსი), ელგუჯა აქიაშვილი (II კურსი) და ამირან გარმელია (III კურსი) აღიკვეცნენ ბერებად და ეწოდათ სახელები: დამიანე, იობი და აბრამი.

ბერად აღკვეცის წესს, რომელიც შეასრულა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორმა წილკენელ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ,


დიდძალი ხალხი დაესწრო. ტაძარში შეკრებილთ სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ზოსიმემ, რომელმაც ახალი სულიერი ძალების შემატება მიულოცა სამწყვსოს. მან მადლობა შესწირა ღმერთს, რომელმაც ჩააგონა ახალგაზრდებს ანგელოზებრივი მოღვაწეობა დედამიწაზე. აღნიშნა სიმნელენიც, რომელნიც კაცს ხვდება ღვთისკენ მიმავალ გზაზე და ის სიკეთე, რასაც უფალი უმზადებს ღვთის მადლით განწმედითა და გამართლებულთ. შემდეგ შესრულდა ბერად აღკვეცის წესი.


XXX

19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე, სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად ეკურთხა მცხეთის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი ბერი იობი (ელგუჯა) აქიაშვილი. ხელდასხმა შეასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

XXX


27 იანვარს, წმიდა ნინოს დღესასწაულზე, სამთავროს დელათა მონასტერში, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით დიაკვნად ეკურთხა მცხეთის სასულიერო სემინარიის I კურსის სტუდენტი ბერი დამიანე (დავითი) თოღაძე. ხელდასხმა შეასრულა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორმა წილკენელ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ.















მცხეთა. ჯვრის მონასტერი სვეტიცხოვლის გალაგნიდან.



⊙

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ თავის რეზიდენციაში მიიღო იტალიელი კომუნისტების გაზეთ „უნიტას“ პოლიტიკური მიმომხილველი ალჩესტე სანტინი მეუღლითურთ.

მიღებას საქართველოს ეკლესიის მხრიდან ესწრებოდნენ: საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების მდივანი ბორის გაგუა, კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტი ვლადიმერ საბიაშვილი და რელიგიების საქმეთა საბჭოს უფროსი ინსპექტორი ოთარ ჯაში.

დიალოგი, რომელიც მის უწყმიდესობასა და სტუმარს შორის გაიმართა, დაახლოებით ასეთი იყო:

პატონი ალჩესტე სანტინი — გამაღობთ, რომ მიმიღეთ. ვიცი, დღეს თქვენი აღსაყდრების დღეა. მიიღეთ ჩემი გულწრფელი მილოცვა. 27 ოქტომბერს ქ. ასიზში (იტალია), რომის პაპის იოანე-პავლე II-ის ინიციატივით ჩატარდა საყოველთაო ლოცვა მსოფლიო მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობისათვის, რომელშიც სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს დიდი სიახლე იყო. მე ვესწრებოდი ამ ლოცვას და ვიცი, რომ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებიც იყვნენ იქ. ნება მიბოძეთ გკითხოთ, როგორია თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით? კონკრეტულად, რა შეუძლი-

ათ მოიმოქმედონ ეკლესიებმა იმისათვის, რომ სახელმწიფოებს შორის დამყარდეს კარგი, საქმიანი ურთიერთობა და აღარ იყოს მსოფლიო ომის საშიშროება. მართალია, ეკლესიებს ჯარები არ ჰყავთ, მაგრამ მათ მაინც დიდი ძალა აქვთ. ისინი ზემოქმედებას ახდენენ მასებზე.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — რაც მოხდა ასიზში, მართლაც ისტორიული მნიშვნელობისაა. იქ თავი მოიყარეს მსოფლიო რელიგიების წარმომადგენლებმა. ეს არის ნათელი გამოხატულება იმისა, თუ რამდენად შესტკივათ გული მსოფლიოს ხალხებს მშვიდობისათვის, სიკეთისათვის, სიცოცხლისათვის. ჩვენ ძნელ დროს ვცხოვრობთ, იზრდება ბირთვული კონფლიქტის საშიშროება; თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საშიშროების ზრდასთან ერთად, იზრდება მის მოწინააღმდეგეთა რიცხიც. შეხვედრა ასიზში ნათელი დამადასტურებელია იმისა, რომ კაცობრიობას ძალუმს გაერთიანება მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. რის გაკეთება შეუძლია ეკლესიას ამ მიმართულებით? ბევრის. არა მარტო სხდომებსა და კონფერენციებში მონაწილეობით, არამედ, პირველ ყოვლისა, თავისი ზნეობრივ-მორალური ზემოქმედებით. ხშირად ის, რაც არ უხერხდებათ სახელმწიფო მოღვაწეებს, ადვილად გამოძლიან სასულიერო

პირებს, რადგანაც ეს უკანასკნელნი უფრო მშვიდად განიხილავენ სადაო საკითხებს. შემოძლია მოგიყვანოთ მაგალითი. ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ქრისტეს ეკლესიის ეროვნული საბჭო, რომელსაც საბჭოთა კავშირის საეკლესიო ორგანიზაციებთან თბილი, ახლო ურთიერთობა აქვს. თითქმის ყოველწლიურად ვუცვლით ერთმანეთს დელეგაციებს; ვეცნობით ერთმანეთის ეკლესიურ ცხოვრებას. იცით ალბათ, რომ აქ იყო შემთხვევები, როცა ეკლესიები სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ჩვენთვის საეკლესიო მოღვაწეებისათვის მშვიდობის საქმე არა მარტო სამოქალაქო ვალია, არამედ სულიერიც.

რაც შეეხება ქართულ ეკლესიას, იგი ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი მშვიდობისმოყვარეობით. ამჟამადაც ასეა. ჩვენი ეკლესია წვევრია ისეთი რელიგიური გაერთიანებებისა, როგორებიცაა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, ევროპის ეკლესიათა კონფერენცია, ქრისტიანული საშვიდობო კონფერენცია და სხვა მისთანა. ასევე ემონაწილეობთ მშვიდობის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების საქმიანობაში. მომავალშიც აქტიურად გაავაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით, გვჯერა, რომ დღეს ეკლესიას არა აქვს უფლება გამოვიდეს მხოლოდ მეტაფიზურის როლში. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე გავაგზავნეთ ჩვენი დელეგაცია ასიზში.

**ბატონი აღჩესტე სა-
ნტინი**— ესე იგი, ეს ინიციატი-
ვა შეიძლება კიდევ განმეორდეს?“

კ ა თ ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი -
ა რ ქ ი ი ლ ი ა II — დიახ, ეს
საჭიროა.

**ბატონი აღჩესტე სა-
ნტინი**— ამ ბოლო დროს ბევრს
ლაპარაკობენ ქრისტიანებს შორის
არსებულ დიალოგზე კერძოდ მის
სირთულეზე, რადგან არსებობს
ნაადმდეგობანი, როგორც საღე-
თისმეტყველო, ისე სხვა საკი-
თებში. თქვენ რა აზრის ბრძან-
დებით ამასთან დაკავშირებით?
მომავალს ოპტიმისტურად უყუ-
რებთ, თუ...?

კ ა თ ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი -
ა რ ქ ი ი ლ ი ა II — ეკუმენური
მოძრაობა საჭირო და აუცილებე-
ლია. მან უკვე ბევრი სიკეთის მო-
ტანა შესძლო. თუმცა არის პრო-
ბლემებიც. მე ხუთი წლის განმა-
ვლობაში ვიყავი მსოფლიოსაბჭოს
ერთ-ერთი პრეზიდენტი და საკმა-
ოდ კარგად ვიცნობ ამ პრობლე-
მებს. ჩვენს ეკლესიას აქვს ორ-
მხრივი დიალოგები რომის კათო-
ლიკურ, ანგლიკანურ და სხვა ეკ-
ლესიებთან. საგრძნობი წინსვლა
ჯერჯერობით არ შეინიშნება. მა-
რთლაც ბევრი წინააღმდეგობაა
დასაძლევო, როგორც საღვთისმე-
ტყველო, ისე დოგმატურ და ტრა-
დიციულ საკითხებში. მიუხედავად
ამისა, ჩვენ მაინც მივადწიეთ რა-
ღაცას, კერძოდ იმას, რომ შეგვი-
ძლია ერთად ლოცვა, საუბარი იმ
პრობლემატურ საკითხებზე, რომ-
ლებიც გვთიშავს და ა. შ. ისტო-
რიულად ცნობილია, რომ ეკლესი-
ების გათიშვამდე არსებობდა, რო-
გორც დასავლეთური ტრადიცია,
ისევე აღმოსავლური, მაგრამ ეს
ოდნავადაც არ უშლიდა მათ ხელს,
ეთანაშრომლათ ერთმანეთთან და
ჰქონოდათ ძმური, ქრისტესმიერი
ურთიერთობა. საჭიროა მოთმინე-
ბით მოვუსმინოთ ერთმანეთს,
ჩვენ კი პირიქით, მხოლოდ ვლა-
პარაკობთ, ვისმენთ კი, ცოტას. ეს
პროცესი ნელია, მაგრამ რეალუ-
რი.

**ბატონი აღჩესტე სა-
ნტინი**: — მე მახსენდება თქვენი
შეხვედრა რომის კათოლიკური ეკ-

ლესიის მეთაურ — პაპ იოანე-პა-
ვლე II-სთან“.

კ ა თ ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი -
ა რ ქ ი ი ლ ი ა II — ეს იყო ის-
ტორიული შეხვედრა. ორი ათასი
წლის განმავლობაში პირველად
შეხვედნენ ერთმანეთს რომისა და
საქართველოს ეკლესიის მეთაურე-
ბი. შეხვედრა იყო თბილი და დაუ-
ვიწყარი. ტრადიციულად, რომისა
და საქართველოს ეკლესიების ურ-
თიერთობის ისტორია პირველი
საუკუნეებიდან იწყება, რადგანაც
ეს ეკლესიები დაფუძნებულია ძმე-
ბის, პეტრესა და ანდრეას მიერ.
განსაკუთრებით კარგი ურთიერ-
ობა რომის ეკლესიასთან გვექონ-
და XIII საუკუნეში. ამ პერიოდში
ჩვენთან მრავლად იყვნენ კათო-
ლიკე მისიონერები, რომლებიც
ბევრს წერდნენ ქართველებზე და
საქართველოზე. იოანე-პავლე II
იმდენად ყურადღებიანი იყო ჩვენს
მიმართ, რომ გადმოგვცა მიკრო-
ფილმები, რომლებსაც ამჟამად
ამუშავებენ ჩვენი მეცნიერები.

**ბატონი აღჩესტე სა-
ნტინი** — ეს იყო ერთად-ერთი
შეხვედრა, თუ იყო სხვა შეხვე-
დრა ურთიერთობებზე?

კ ა თ ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი -
ა რ ქ ი ი ლ ი ა II — ურთიერთ-
კავშირები ჩვენს შორის იყო ად-
რეც და შემდეგშიაც. საქართვე-
ლოში 70-იანი წლების ბოლოს
იმყოფებოდა კარდინალი ვილე
ბრანდსი. ჩვენი წარმომადგენლე-
ბიც ყოფილან ვატიკანში. გვაქვს
მიმოწერა ვატიკანის სამდივნოს-
თან. ასე რომ, ჩვენს შორის სა-
კმაოდ კარგი ურთიერთობა არსე-
ბობს.

**ბატონი აღჩესტე სა-
ნტინი** — როგორ შეაფასეთ პაპ
იოანე-პავლე II-ის ენციკლიკა,
რომელიც შეეხებოდა სლოვენთა
განმანათლებლებს — კირილესა
და მეთოდეს?

კ ა თ ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი -
ა რ ქ ი ი ლ ი ა II — პოზიცია სა-
კმაოდ რთულია. რადგანაც, კირი-
ლესა და მეთოდეს მოღვაწეობას
დასავლეთში და აღმოსავლეთში
სხვადასხვანაირად აფასებენ, მა-
გრამ ის ფაქტი, რომ ეს აღინიშნა,

ბევრის მთქმელია.

**ბატონი აღჩესტე სა-
ნტინი** — როგორ ურთიერთო-
ბაში იმყოფებით სახელმწიფოს-
თან?

კ ა თ ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი -
ა რ ქ ი ი ლ ი ა II — საერთოდ,
ურთიერთობა სახელმწიფოსთან
უნდა იყოს ნორმალური. ეკლესია
გამოყოფილია სახელმწიფოსაგან,
მაგრამ არის ისეთი საკითხები,
რომლებიც საჭიროებენ სახელმ-
წიფო ორგანოების ჩარევას. ამი-
ტომ სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოსთან არსებობს რელიგიე-
ბის საქმეთა საბჭო, რომლის მეო-
ხებით ვანხორციელებთ ჩვენს ურ-
თიერთობას სახელმწიფოსთან. ეს
საბჭო არის თავისებური შუამა-
ვლი ეკლესიასა და სახელმწიფოს
შორის. ასე რომ, ჩვენი ურთიერ-
ობა ადგილობრივ მთავრობასთან
არის ნორმალური. ვფიქრობ,
ასევეა მოძმე რესპუბლიკებში.

**ბატონი აღჩესტე სა-
ნტინი** — რა დამოკიდებულებ-
აში ხართ სხვა ქრისტიანულ ეკ-
ლესიებთან?

კ ა თ ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი -
ა რ ქ ი ი ლ ი ა II — ჩვენ მათთან
ძალიან კარგ დამოკიდებულებაში
ვართ. მათთან კონტაქტებს ვან-
ხორციელებთ, როგორც ეკლესია-
თა მსოფლიო საბჭოს ხაზით, ასე-
ვე ორმხრივი დიალოგების საშუ-
ალებით. მერმის, 1987 წლის მარ-
ტში ველოდებით შევიცარიის
პროტესტანტული ეკლესიების
ფედერაციის დელეგაციას. ადრე
მე ვიყავი შევიცარიისაში. ეს მათი
საპასუხო ვიზიტია. ჩვენი ურთი-
ერთობა არამართლმადიდებელ
ქრისტიანებთან მეგობრულ და სა-
ქმიან ხასიათს ატარებს. სხვანაი-
რად არც შეიძლება. მართალია
არის პრობლემებიც, მაგრამ ჩვენ
უნდა ვეძიოთ მათი გადაწყვეტის
საშუალებანი.

ახალი სტილით დღეს შობაა,
გილოცავთ. მე წავიკითხე თქვენი
ინტერვიუ ჟურნალ „მეცნიერება
და ტექნიკაში“. ძალიან საინტე-
რესოა.

**ბატონი აღჩესტე სა-
ნტინი** — საფუხელში წერილო-

ბით კითხვებით მივმართე რუსეთის პატრიარქ პიმენს, რომელმაც წერილობითეუ გამცა პასუხი. ეს ინტერვიუ მე გამოვაქვეყნე სექტემბერში, ხოლო ოქტომბერში იგი გამოაქვეყნა მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალმა. ამჟამად ვფიქრობ დაწერო წიგნი საბჭოთა კავშირში არსებული რელიგიების შესახებ. ერთ თავს მთლიანად მივუძღვნი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ეს შეხვედრა ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ადრე თუ ყოფილხართ საქართველოში?

ბატონი ალექსე სანტინი — დიახ.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — კარგად რომ გაცნობთ ქართველი ხალხი, ჩაწვდეთ მის ბუნებას, საჭიროა რამდენიმე ხანს იცხოვროთ აქ, ისე კი, მე ვფიქრობ, ჩვენი ხალხები ჰგვანან ერთმანეთს.

ბატონი ალექსე სანტინი — მე ამაში ღრმად ვარ დაწვნიებული.

⊙

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ თავის რეზიდენციაში მიიღო ბელგიელი ქართველოლოგი დრ. მიშელ ფონ ესბრუკი. საუბარი, რომელიც მის უწმიდესობასა და სტუმარს შორის გაიმართა, ძირითადად ეხებოდა რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და ქართული ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობისა და ქართულ ხელნაწერთა შესწავლის საკითხებს.

⊙

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ თავის რეზიდენციაში მიიღო თბილისში სტუმრად მყოფი ბიბლიის გაერთიანებული საზოგადოების (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომელი დიპლომატი მანუელ ჯინბუშიანი, რომელსაც თან ახლდა ენციკლოპედიის აკადემიის რექტორი,

მღვდელი ეზდნიკ პეტროსიანი.

საუბარი, რომელიც მის უწმიდესობასა და სტუმარს შორის გაიმართა, დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო:

დრ. მანუელ ჯინბუშიანი — პირველ რიგში ნება მიბოძეთ გადმოგცეთ საუკეთესო სურვილები ჩვენი საზოგადოების გენერალური მდივნისაგან, აგრეთვე, დოქტორ უორდისაგან (საფრანგეთი) დოქტორ პანს ვლორინისაგან (დიდი ბრიტანეთი). მით ვერ მოახერხეს ჩამოსვლა. რათ შეგვიძლია თქვენს საქმეში გავიწიოთ დახმარება?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

— პირველ რიგში, მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. მივესალმები, აგრეთვე, მამა ეზდნიკს. მადლობას მოგახსენებთ იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელიც თქვენმა საზოგადოებამ გამოიჩინა ჩვენი ეკლესიის მიმართ. ყველაფერი იდეალურ მდგომარეობაშია. ცოტა შეგვაწუხა იმან, რომ თქვენს მიერ გამოგზავნილი დეპუტა ერთი თვის წინ დაგვიანებით მივიღეთ. იმ რიცხვისათვის გაგვაგზავნეთ ჩვენი წარმომადგენელი. პორტის დირექტორი კეთილშობილი ადამიანი გამოდგა. მან გვაცნობა, რომ ქალაქი მიიღეს და ყველაფერი წესრიგშია.

დრ. ჯინბუშიანი — იყო დაბრკოლება, გეძმა დაიგვიანა?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ვფიქრობ, სხვა გემით მოვიდა. ბიბლიის ტექსტზე მუშაობდნენ, როგორც სასულიერო პირები, ისე საერო მეცნიერები. საერთოდ მოგესხენებათ, რომ საქართველოს ეკლესია ტრადიციული ეკლესიაა. ბიბლიის ტექსტი, რომელიც ეკლესიაში იკითხება, XI საუკუნისაა. თქვენ რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, ყველა ენა განიცდის სახეცვლილებას. ამიტომ საჭირო გახდა ახლის შექმნა. მსგავსი ტექსტი მოშადადა შვეიცარიაში. მე მაქვს ეს ტექსტი. ცუდი არ არის, მაგრამ ენობრივად მეტად სუსტია. ეს გასაგებია, რადგან ხალხი, რომელიც მასზე მუშაობ-

და, ასე თუ ისე, მოწყვეტილია საშობლოს. თუმცა, ეს მაინც დიდი საქმეა. ამ სამი წლის წინ ვიყავი კანადაში, სადაც მთხოვეს ლოცვა-კურთხევა ძველი აღთქმის ტექსტზე მუშაობისა. მე მივეცი მათ ასეთი ლოცვა-კურთხევა. რაც მეტი იქნება თარგმანი, მით უკეთესია. ჩვენს ტექსტზე კარგი სპეციალისტები მუშაობდნენ. ვშიშობდით, შეძლებდნენ თუ არა აქაური სტამბის შემანქანეები თქვენს ქალაქზე ბეჭდვას. წაიღეს ნიმუშები და შესანიშნავად გამოვიდა. ქართველი მეცნიერები და პოლიგრაფისტები იმდენად დაინტერესებულნი არიან ბიბლიის გამოცემით, რომ მისთვის სპეციალური შრიფტიც კი შექმნეს. წელს არის 150 წლისთავი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძისა და მათ ამ ახალ შრიფტს ილიას სახელი დაარქვეს. რამდენიმე წიგნი უკვე ასაწობად ჩავაბარეთ სტამბას. საქმე დაწყებულია და კარგად მიდის. გვიან რამდენიმე მინიატურაც გავუშვათ. გამოცემული ბიბლიის ტირაჟი იქნება 20 ათასი. აქედან 17 ათასი გამოვა ახალ ტექსტზე, ხოლო 3 ათასი ძველ ტექსტზე.

დრ. ჯინბუშიანი — ქალაქი თუ გეყოფთ?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ალბათ, გვეყოფა. თუ გაჭირდება, აქ ვიშვივით.

დრ. ჯინბუშიანი — თუ დაგჭირდათ, ჩვენ კიდევ გამოგიგზავნით. ამჟამად დასავლეთ გერმანიაში იბეჭდება რუსული ბიბლია 15 ათასი ტირაჟით, რომელიც მერე გადაიგზავნება რუსეთში.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შეკვეთაა?

დრ. ჯინბუშიანი — შეკვეთა საბჭოთა კავშირიდანაა, მაგრამ კონკრეტულად ვისგან, არ ვიცი. ამ საკითხთან დაკავშირებით, უნდა შევხვედროდი რუსეთის ეკლესიის საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე მიტროპოლიტ პიტირიმს, მაგრამ იგი მოსკოვში არ დამხვდა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

— ჩვენთანაც იყო აზრი, რომ აღნიშნული ქართული ბიბლიის გამოცემა — დაბეჭდვა მომხდარიყო საზღვარგარეთ. მაგრამ მე აქ, სამშობლოში დაბეჭდვა ვარჩიე.

დრ. ჯინბუშიანი — გეთანხმებით.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — შემდეგში შეიძლება საზღვარგარეთ შევუკვეთოთ.

დრ. ჯინბუშიანი — დიახ, ეს ყოველთვის შეიძლება. მსურს გკითხოთ, ბიბლიურ საზოგადოებაში ამით ძალიან არიან დაინტერესებულნი: ჩვენი საზოგადოება ეხმარება მთარგმნელებსაც. ეს უბრალო წიგნის თარგმანი არ არის. ბიბლიის ტექსტში ბევრია პრობლემატური ადგილები, რომლებიც ჩვენც კი არ გვაქვს ბოლომდე დადგენილი. ამიტომ ყველა მსურველს ვაწვდით სათანადო მასალას. დღესდღეობით, ბიბლია ვთარგმნეთ 350 ენაზე. თარგმნის საკითხებში გვკავს ორმოცდაათამდე კონსულტანტი. ერთ-ერთი მათგანი მეც ვარ. კერძოდ, მე მეხება ჩრდილოეთი აფრიკა. მოხარული ვარ, რომ თქვენ თავად გითარგმნათ ბიბლია. თუ გაქვთ პრობლემები, სიამოვნებით დაგეხმარებით.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ამიტომ კარგი იქნებოდა, ახლა აქ ყოფილიყვნენ მთარგმნელები, მაგრამ ვერ მოხერხდა. ვფიქრობ, მომავალში აუცილებლად დაგვჭირდება თქვენი დახმარება. ტექსტზე მუშაობას შევუდგეთ 10 წლის წინ, ჩემი მიტროპოლიტობის დროს წარმოიშვა რამდენიმე აზრი: ითარგმნოს სრულიად ახალი ტექსტი, თუ შეიცვალოს მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც დღევანდელი ქართველისათვისაა გაუგებარი. დიდი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა ახალი ტექსტის შექმნა. ამ წლების მანძილზე გაკეთდა ახალი აღთქმა. უფრო სწორად, ერთდროულად ვაკეთებდით ძველსაც და ახალსაც, მაგრამ ახალი აღთქმის თარგმნა უფრო ადვილი გამოდგა, რადგან მასში მოცემული ტექსტი უფრო ახლობელია. ძველ აღთქმაზე ახლაც მუშაობენ. ამ გამოცემით, ცხადია, არ შეწყდება ბიბლიის ტექსტზე მუშაობა. უნდა შეიქმნას მუდმივი კომისია,

ტექსტის დასადგენად, რომლის წევრები იქნებიან, როგორც სასულიერო პირები, ისე საერო მეცნიერები.

დრ. ჯინბუშიანი — დიახ. ასეთი კომისია აუცილებელია, ხშირად, ტექსტი თარგმნის დროს იცვლება. ყველა ენას აქვს თავისი თავისებურებანი, რაც გასათვალისწინებელია. ამიტომ გვკავს კონსულტანტები, რომლებიც ძალიან გვეხმარებიან ამ დროს. ეს ხდება იმიტომ, რომ აზრი სწორად გადმოიცეს. თუ მთარგმნელმა არ იცის კარგად ებრაული, ბერძნული და ის ენა, რომელზედაც თარგმნის, აუცილებლად შეცდომები მოუვა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დიახ. ეს ასეა. ამიტომ გვინდა მუდმივი კომისია.

დრ. ჯინბუშიანი — ეს თარგმანი რომ გაუმჯობესდეს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — რა თქმა უნდა. ახლა, რომ დავიწყეთ ამაზე მუშაობა, დაგვიანდება. სოგუხსენებით, სტამბა სახელმწიფოს ეკუთვნის. სტამბის მუშაობას აქვთ მკაცრი გეგმა — მე ვშიშობდი, არ ამოგვარდნილიყავით ამ გეგმიდან. ეს რომ მომხდარიყო, ძნელი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებოდით. ახლა ვიმარაგებთ წიგნებს, რომლებიც შეეხება ბიბლიის ტექსტებს, კვლევებს. ახლახან მივიღეთ 43 ტომი ბიბლიის ტექსტების კომენტარებისა. ვფიქრობ, ეს წიგნებიც დაეხმარება ჩვენს კომისიას.

დრ. ჯინბუშიანი — მამა ეზდნიკიც გარკვეულია ამ საქმეში. ჩვენ კონსულტანტები ჩავიყვანეთ ეჩმიაძინში. ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ სომხებს. ასევე შეგვიძლია თქვენთანაც ჩამოვიყვანოთ. ვიმეორებ, რომ ასეთი ექსპერტები ძალზედ მნიშვნელოვანია. კომენტარები კარგია, მაგრამ თარგმნის პროცესს არ ეხმარება. ისინი უბრალოდ, ანალიზს უკეთებენ ტექსტს. ყოველი თარგმანი ძნელი, დამღლელი სამუშაოა. მართო ზუსტი თარგმანის შედარებაში კი არ არის საქმე, მთელ ტექსტს უკეთდება ანალიზი. შემდეგ შედარებით თარგმანს ვუკეთებთ ანალიზს და ამის საფუძველზე ვი-

წვებთ საბოლოო თარგმანს. პირველად ითარგმნება მშობლიური ენის შეგარბებით. შემდეგ ამ თარგმანს ერთად ვიხილავთ. თუ არის შეცდომები, მათ გამოსასწორებლად ვაკეთებთ შენიშვნებს. ასე რომ, ძირითადი თარგმანი საქართველოში ვაკეთდება ქართველებსაგან, კონსულტანტები კი ჩამოვლენ აზრის გასასწორებლად. შევციაში ქართულ ენაზე თარგმნილი ახალი აღთქმა შეასრულა მოხუცმა კაცმა, იგი 60 წლისაა.

რაც კარგია მისთვის, ის არ არის კარგი თქვენთვის. მისი ენა ემიგრანტების ენაა, თქვენი ენა კი ნაწილობრივ შეიცვალა. ენა ყოველდღიურად განიცდის ცვლილებებს. მაგალითად, ავიღოთ ფრანგული ენა კვებეკეში (კანადა) და იგივე ენა საფრანგეთში. იქ ძველი ენა დარჩა, ხოლო საფრანგეთში შეიცვალა. ამიტომ შევციაში თარგმნილ ახალ აღთქმაში არის ილიომატური თარგმანები, რაც არ არის ახალ ქართულში.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II — მაინც კარგია. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

დრ. ჯინბუშიანი — რა თქმა უნდა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ამიტომაც ვამბობდი, ტექსტი კარგია, ხოლო ენობრივად არა. გვაქვს ჯიემს ხასტინგის ლექსიკონი, რომელიც ჩვენს მეცნიერებს გამოადგება.

დრ. ჯინბუშიანი — ეს ლექსიკონი XIX საუკუნეში დაიბეჭდა. ამიტომ ის მოძველებულად ითვლება. სომხებს ჩვენ მივეცი თ ახალი, ხუთ ტომიანი ბიბლიური ლექსიკონი.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II — მადლობელი ვიქნები, თუ იმ ლიტერატურას, რომელიც მუშაობაში ჩვენს კომისიას გამოადგება, გამომოგზავნით. ეს ჩვენთვის დიდი დახმარება იქნება. რა თქმა უნდა, კონსულტანტებიც დაგვჭირდება.

დრ. ჯინბუშიანი — ეს თქვენზე დამოკიდებულია. როცა მოგვიწვევთ, ჩვენ დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით. საქართველოს ეკლესიას ჩვენთან განსაკუთრებულად უყურებენ, რადგან საქარ-

თველო არის ქვეყანა, სადაც აღმ-
მიანები მრავალ ენაზე ლაპარაკო-
ბენ. შემდგომში დიდი მუშაობა
დაგეგმირდება, რომ ბიბლია კავკა-
სიის ხალხებისათვის ვთარ-
გმნოთ.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
— ვუქირობ, მოწვევა მოხერხდება.
პრობლემებს არ ექნება ალგილი.

დრ. ჯინბეშიანი — თქვენ რო-
გორ გსურთ? რაც შეეხება მოპატი-
ვებას, ხშირად ეს საკმარი არაა ვი-
ზის მისაღებად; ჩვენ როგორც ტუ-
რისტები არ ჩამოვდივართ. შეგვი-
ძლია, მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
— ჩვენთან განახლების პროცე-
სია უმჯობესდება მდგომარეობა
და მომავალში ალბათ, უფრო ად-
ვილი იქნება ჩვენთან ჩამოსვლა.

დრ. ჯინბეშიანი — ჩვენ გვინ-
და ვიყოთ სპეტაკნი და არ გვსურს
უსიამოვნება მთავრობასთან. ჩინე-
თის მთავრობა დაგვეთანხმება, რომ

პეკინში შევქმნათ სტამბა, რომე-
ლიც მწეობრში ჩაღება ამ წლის
ბოლოს. ამ სტამბაში ყოველწლი-
ურად დაიბეჭდება ბიბლია, 15
ათასი ტირაჟით. იყო ერთი კაცი,
რომელსაც უნდოდა ერთი მილიონ-
ნი ბიბლია ფარულად შეეტანა ჩი-
ნეთში. მაგრამ ჩვენ უარი ვუთხა-
რით. მან მაინც იშოვა ფული, და-
ბეჭდა, იშოვა თვითმფრინავი, შე-
აღწია იქ და ჩამოყარა ბიბლიები.
დავადგინეთ, რომ მხოლოდ 2 ათა-
სმა მიადწია ხალხამდე. მთავრო-
ბამ გაიგო და მოახდინა რეკვიზი-
ცია. ჩვენ ამ საქმეში სუფთები და-
ვრჩით. ახლა თვითონ მთავრობამ
შემოგეტავება.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
— დიახ. სახელმწიფოს კანონების
გათვალისწინება აუცილებელია.

დრ. ჯინბეშიანი — რა თქმა
უნდა, 20 ათასიანი ტირაჟით ბი-
ბლიის გამოცემა საკმაოდ კარგი
დასაწყისია. ერთდროულად ინ-

გლისშიც კი არ იბეჭდება ამდენი.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
— სამაგიეროდ, ინგლისში ყოველ
წელს იბეჭდება. ახლა კი მინდა
დაგლოცოთ თქვენ და მთელი
თქვენი საზოგადოება იმ დიდი
დახმარებისათვის, რომელსაც
გვიწევთ. აგრეთვე მამა ეზდნიკი.
ასეთი საუბრები ნამდვილად სა-
სარგებლოა. საპასუხისმგებლო
საქმეს ვკიდებთ ხელს. ჩამობრძა-
ნებისათვის გიხდით მადლობას.
იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით
ერთმანეთს.

დრ. ჯინბეშიანი — მე გისურ-
ვებთ მრავალუამიერ სიცოცხლეს,
რათა განხორციელდეს თქვენი ყო-
ველი ნაფიქრი. ქართული ეკლე-
სია უძველესი ეკლესიაა. იგი მუ-
დამ იქნება ერთერთი ყველაზე
ძლიერი და მადლიანი ეკლესია
მსოფლიოში.

უფალო, მომიცემა ძალა, რათა სიმშვიდითა სულიერითა
მივიღო ყოველივე, რასაცა მომიტანს ღმრად მსა, მომიცემა
ძალა, რათა სულიერად მიხედვილი ვეძინა წმიდისა ნაზარა-
შისა. ყოველითურთ მივიწინააღმდეგო და შემიძირა მათითი-
ქულსა შამსა ღმრისა.

რადცა-რა ვამბავი მისამს ღმრსა შამს, მასწავნა მიღებად
მისა სულითა სიმშვიდისათა რწმენითა მტკიცითა, რამე-
თუ ყოველივე ნაგითა შინითა წმიდითა მნიღ არს!

შინ ეძინა მარჯის წინააღმდეგარ ახრთა და გრძნობათა
ჩვეთა შამსა შრომისა და უზნობისა შამსა ყოველისა უხვი-
სა სამისა მოწამნისა ნუ მიმცემ მსა ღმრისწემად, რამეთუ
ყოველივე შენ მიერ მოვლინებულ არს!

მასწავნა მსა კითხვბრძნიერებითა და წრფელად ცხოვ-
რებად ჩვედა თანა ყოველისა სხსლოებისაგითა, არა წმინდად
და არცა აღმშობილად ვინმისა!

უფალო, მომიცემა ძალა, რათა ღვთისმშინო დაშრომიად
მდგომარისა ღმრსა და ყოველისა შამისხვევისადა განმავ-
ლოვასა შინა მისსა! მამენ წინააღმდეგარ ნაზარა ჩვესა და მა-
სწავლმე მსა ღმრისა, სხსლობად, რწმენად, სიმშაგჳლი,
მითმინებად და მიტყვევად! ამინ.

ახალი წელი საინგილოში

ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიას ქრისტიანული ყოფის დიდი გავლენა ატყვია, რომლის ნიმუშსაც წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი მასალა „ახალი წელი ძველი პერების მიწაზე“.



შე ჩაესვენება და შებინდდება თუ არა, საინგილოს სოფლებში დაიწყება თოფების სროლა, ხმაური, ძაღლების ყეფა. მთელი კუთხე ხმად გადაიქცევა. პერების მიწაზე ინგილოები ეგებებიან ახალ წელს.

...შუა ღამეა, ყოველივე მიწნარებულია, მხოლოდ კანტიკუნტად ყეფს ეზოს სიდრმეში მურა. შრომის შეიღწილი მისცემიან ტკბილ ძილს. არ ძინავთ სახლის დედაბერთ და ოჯახის მეთაურთ:

დიდებდა თითისტარზე განქარებით ართავს ბაბბის ძაფს. შემდეგ ადგებიან, ორთავენი, ჩუმად მივლენ მძინარე ყმაწვილებთან, მკლავებს გამოუღებენ საბნებიდან, მაჯებზე შემოავლებენ დართულ ძაფს და გაკვანძავენ. შემდეგ იმავე ძაფს შემოახვევენ დედაბრის და ყოველგვარ საწველ და საფქვილე ჭურჭლეულობას.

ძაფი ანუ რგოლი, ძველთაგანვე ცნობილია, როგორც სიმბოლო ღვთის დაუსაბამობისა და ერთარსობისა. ინგილოები ამით გამოთქვამენ სურვილს, რომ ერთარსმა და დაუსაბამო ღმერთმა, ოჯახის წევრნი და ყოველი მათი ქონება ახალ წელიწადს შეინახოს მთლიანად, დაუზიანებლად და დაურღვევლად. ამ შემოვლებული ძაფის რგოლს. სამ დღეს არ შემოიხსნიან მაჯიდან.

გამთენიისას მამლები მესამედ რომ აყვილებიან, სახლის უფალნი დაადვიებენ ოჯახის წევრებს. ყველას უხარია გათენება. ბავშვები ერთმანეთს ეკითხებიან გაკვირვებულნი: „შენც ვერ გაიგე? როდის შეგვაბა ბებიამ ძაფი. იცვამენ ახალ ტანსაცმელს, იბანენ ხელ-პირს. ყველას სიხარული გადაჰყვანია სახეზე და აუღურტულებულან. ცდილობენ მხოლოდ ტკბილი სიტყვებით მიმართონ ერთმანეთს. ამასობაში, სახლის უფროსი ადგება, ჩუმად გავა სახლიდან, თან წაიღებს თიხის გოზაურს და აბგით ხორბალს. მივა მდინარესთან, ხელ-პირს დაიბანს, ღმერთს ახსენებს, გოზაურს გაავსებს წყლით. ხორბლით სავსე აბგის თვალს წყალში ამოასველებს. თხილის ბუნქს კინკილიან (ყვავილებიანი) ტოტებს შემოამტვრევს, აბგის ცარიელ თვალში ჩააწყობს, დაბრუნდება შინ, დაიწყებს კარებზე კაკუნს და დაიძახებს:

— კარი გამიღეთ!

— რა მოგაქა? — მიაძახებს დიასახლისი.

— წყალი, წყალობა!

— რა მოგაქა?

— წყალი, წყალობა

— რა მოგაქა?

— წყალი, წყალობა.

— შოშოა, კოლი! შენი-კოლი ანგელოზისა. კარს გაუღებენ და შემოვა მეკვლე. თურმე, თვის სახლის უფროსს უკისრია მეკვლეობა. სახლში შემოსვლისთანავე წყლით სავსე გოზაურს დასდებს კორთეში² (ჭურჭლის თარო), თიხის ტოტებს შეარევს და დააწყობს საკანზე (საფქვილ) ხორბალს კი მიმოაბნევს (დათესავს) სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში და დაიძახებს: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ პურს, წყალს და სარჩო-საბადებელს“. შემდეგ მოვლენ კორთის გასწვრივ, დირეზე მდებარე პაწია კილობანთან. ამ კილობანს „წმიდა კილობანი“ ჰქვია და ითვლება საოჯახო სიწმიდედ. მასში ინახავენ საკმეველს, სასანთლე ცვილსა და ბამბას. ან ფითილს, რომელსაც მამისა და უფროსი-მემკვიდრე ვაჟის გარდა არავინ ეხება.

მამა ამოიღებს ჩამოთვლილ სიწმიდეს, გადასცემს ოჯახის დედას სანთლების ჩამოსაქნელად. ჩამოქნილ სანთლებს აიღებს და მიაკრავს წმიდა კილობანს. ოჯახის ყველა წევრი ჩამოწყვირდება და დაიწყება ლოცვა. ლოცვის დამთავრების შემდეგ ყველანი მიუსხდებიან კერას, სახლის დიდი (უფალი) ჭერიდან ჩამოიღებს წინასწარ მოშადებულ ერთ კონა კაკლის „ლარტას“ (კაკლის ნაკაფზე ამოყრილი წვრილი ტოტები). ყველას თითო-თითოს ჩამოურიგებს, ერთსაც თვითონ აიღებს და კერას შეუტყლაშუნებს. ტოტის ნორჩი კანი ერთბაშად დასკდება, ტკაცა-ტკუცს დაიწყებს. ოჯახის თავი ამ დროს ღმერთს შესთხოვს: „ღმერთო, გაგვამრავლე, გაგვაბედნიერე, ნუ მოგვაკლებ სითბოს, სინათლეს... ოჯახის წევრებიც გამიყორებენ, ამასობაში გათენდება.

¹ კოლი — კვალი.

² ინ. ს. საბას ლექსიკონი კორთე-თარო

ახლა შეუდგებიან ვახისტვის ახალი წლის მილოცვას, აიღებენ ხის ხონჩას ან ტაბაკს, დააწყობენ ზედ პურებს, წითელ ლავაშებს, ჯამით თაფლს, ერბოს, გოხინაყს, ხილს, არაწით ღვინოს, თეთრი და წითელი ფერის ბამბის ძაფს და სახლის „დიდთან“ ერთად წავლენ მეკვლედ ერთ-ერთ ვახთან. სახლის უფალი გასხლავს ვახს, თეთრი ძაფით აავებს ჭიგოზე, ფესვებს დაუსხამს კუჭულით ღვინოს. პირით ქურმუხის ტაძრისაკენ მიქცევით ვახის ძირში დაკლავს წითელ მამალს, შემდეგ მოაჭრის წითელ ფრთებს, მიაბამს წითელი ძაფით ვახს, როგორც წმიდა ზვარაკს და აქაც იტყვის: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ გაახარე ჩვენი ვახი და ვენახი, ნუ მოგვაკლებ წითელ ღვინოს ქვევრებში და ქოცოებში. დაიწყებენ „გალუმებას“. თითო ლუკმა პურს ამოაწობენ თაფლსა და ერბოში, შეჭამენ, ცოტა ღვინოსაც მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან.

ახალგაზრდა ვაჟებს პირუტყვთაღმი მკვლელობა ევალებათ. ისინი, აიღებენ წინაღღეს სამკვლეოდ გამომცხვარი პურებიდან საქონლის სახელზე გამომცხვარ

კვერებს-კოკოებს, შევლენ ბოსელში. ყველას თავთავის კვერს ჩამოაცმევენ რქაზე. მერე გატეხენ, შეაჭმევენ და შემდეგი სიტყვებით დალოცავენ: „იცოცხლე და იჯანმრთელე დიდხანს“. ასევე მიართმევენ და დალოცავენ შინაურ ფრინველთაც. მათთვის განკუთვნილ კოკოებს ჟინაზე³ დასდებენ დასაკენკად. ყოველივე ამის მერე, აიღებს, დანაყრდება და ყველანი შეუდგებიან საახალწლო სადილობა-პურობას. სადილზე მოელიან გარეშე მეკვლეს, რომელიც უნდა იყოს ბედისაგან დაუჩაგრავი ნაცნობი ან ნათესავთაგანი. მეკვლე, რომ ეწვევათ, ჩამოიღებს ჭერიდან დარჩენილ კაკლის ლარტას, შეუტყლაშუნებს კერას და ოჯახს უსურვებს მშვიდობას, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და კარგს მოსავალს. მასაც მიწვევენ სუფრასთან. ასე შეხვდება და ასე მოილხენს საინგილოში ყოველი კომლი ახალ წელს.

³ ჟინა იგივეა მეგრულშიც.

მართა ტარტარაშვილი



ლექსიკონი და განმარტებანი

მევალებლობათათვის

სადმრო წერილზე დაფუძნებული და მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ დამტკიცებული ქრისტიანული დოგმატური სისტემიდან ყოველგვარ გადახვევას მწვალებლობა ეწოდება. სიტყვა წვალება (გაწვალება) ძველ ქართულში აღნიშნავდა გაყოფას, ერთმანეთისაგან გამოცალკევებას. ბერძნულად მას შეესატყვისება ერესი.

ქრისტიანული დოგმატიკიდან, როგორც სარწმუნოების საფუძვლებიდან, ყოველგვარი გადახვევა გული-სხმობდა მასზე დამყარებული საღვთისმეტყველო მოძღვრების, ღვთისმსახურებისა თუ საეკლესიო-სამართლებრივი ინსტიტუტის ძირეულ ცვლილებებს, რასაც საბოლოო ჯამში მივყავით ეკლესიის გათიშვამდე, სხვადასხვა მრწამსისა და ცხოვრების წესის მქონე რელიგიურ თემებად მათ გაყოფამდე.

ანტიკურ მწერლობაში ტერმინი „მწვალებლობა“ იხმარებოდა მოძღვრების, მიმდევრობის, სკოლის მნიშვნელობით. აღრინდელ ქრისტიანობაში ასე ეწოდა სადმრო წერილის თავისებურ ინტერპრეტაციებს; სახელდობრ ისეთებს, რომლებიც უკუღებელყოფდნენ მოციქულთაგან მომდინარე ტრადიციას. უფრო გვიან, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV ს-დან) მწვალებლებად ითვლებოდნენ არა მარტო სადმრო წერილის თავისუფლად (თავისებურად განმმარტებულნი, არამედ მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებათა მოწინააღმდეგეებიც.

მწვალებლობა ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნებისთანავე წარმოიშვა. ამაზე მიუთითებენ მოციქულები: პეტრე (პეტრე 2, 1-3), პავლე (1 კორ. 1, 10-12; გალ. 1, 6-9; 6, 12; I ტიმ. 1, 3-7; 4, 1-5, 7; 6, 3-5, 21; ებრ. 13, 9), იუდა (იუდ. 4). სახელდობრ, კორინთოში ქრისტიანები განწვალებულან (გათიშულან) სხვადასხვა მიმდევრობად: ერთნი ამბობდნენ, — „მე პავლესი ვარ“, მეორენი — „მე აპოლოსი“, მესამენი — კეფასი (პეტრესი), მეოთხენი — ქრისტესი (1 კორ. 1, 12). გალატიაში გამოჩენილან წინადაცვეთის მქადაგებულნი (გალ. 6, 12), ეფესოში — „სხუასა რასმე მძოდურებდნენ“ (1 ტიმ. 1, 3), „აყენებდნენ ქორწილსა და განაშორებდენ საჭმელთა“ (1 ტიმ. 4, 3). პავლე მოციქული ამგვარ მწვალებლობას „დედაბერებერ ზღაპრობას“ (1 ტიმ. 4, 7), „ბილწთა ხმათა“ (1 ტიმ. 6, 21) უწოდებდა, ხოლო ერესიარქებს (მწვალებლობათა მეთაურებს) ამხილებდა: „პოუნებენ, ვითარმედ სარწმუნოარს ღმრთისმსახურებაი“-ო (1 ტიმ. 6, 5). გალატელთა მიმართ ეპისტოლეში იგი ხაზს უსვამს სარწმუნოებრივ საკითხებში მოციქულთა ტრადიციოს დაცვის საჭიროებას (გალ. 1, 11-24).

II საუკუნეში ერთ-ერთი ძლიერი მწვალებლობა იყო გნოსტიციზმი (სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *γνωσις* — ცოდნა, შეგნებება). იგი ჯერ კიდევ I ს-ში ჩაინახა. (ცნობილია, რომ მასთან ბრძოლა მოუხდა მოციქულ იოანე ღმრთისმეტყველს), II ს-ში კი ეს მოძღვრება უკვე ფართოდ იყო გავრცელებული.

გნოსტიციზმმა მოახდინა სინთეზი აღმოსავლური წარმართული რელიგიებისა და ქრისტიანობისა. მასზე გავლენა მოახდინეს აგრეთვე ნეოპლატონიზმმა და პითაგორიზმმა. გნოსტიციზმი ცდილობდა აეხსნა სამყაროს, სიკეთისა და ბოროტების წარმოშობა. ქრისტეს მიმდევრებად თვლიდნენ მხოლოდ რჩეულ ადამიანებს, რომლებიც სულით (*πνεματος*) განათლებოდნენ და შეიმეცნებდნენ სადმრო ჭეშმარიტებას. პირველი დიდი გნოსტიკოსის ბასილიდ სირიელის (მოღვაწეობდა ალექსანდრიაში იმპერატორ ადრიანეს დროს) აზრით, ცხოვრებიან მხოლოდ რჩეულნი (შემეცნებულნი), დანარჩენები კი წარწყმედიან. ბასილი უარყოფდა მაცხოვრის მსხვერპლსა და კაცობრიობის ცოდვათა გამოსყიდვას. თავისი სისტემის შემუშავებისას მან ბევრი რამ ისესხა ბერძნული მითოლოგიიდან და ფილოსოფიიდან, დუალიზმი კი (ორი საწყისის — კეთილისა და ბოროტის, ღმერთისა და არქონტის არსებობა) მის ნააზრევში აღმოსავლური რელიგიებიდან შევიდა.

ვალენტინ ეგვიპტელმა (ქადაგებდა რომში 136-165 წწ) განავითარა ბასილიდის მოძღვრება. კერძო, იგი ასწავლიდა ეონებისა (უმადლესი სულიერი არსებანი; მათ რიცხვს მიაკუთვნებდნენ ქრისტეს და სულიწმიდას) და ღვთიური სიბრძნის შესახებ. მისი დასკვნით, ჭეშმარიტების ძიება შესაძლოა ქრისტიანობის მიღმაც.

პტოლომე და პერაკლიონი, ვალენტინის მოწაფენი, ღმერთთან და არქონტთან ერთად აღიარებდნენ ბორო-

ტისა და კეთილის შუალედურ ღვთაებას-ღემიურგოსს. ამ დასკვნამდე ისინი იოანესა და ლუკას სახარების თავისებური განმარტების შედეგად მივიდნენ. თავიანთ მოძღვრების ერთ-ერთ აუცილებელ დასტურად მიაჩნდათ სახარების ის ადგილი, სადაც იესო ესაუბრა სამარტიელ დედაკაცს (იოანე 4, 1-30). ღმერთი-სული, მათი განმარტებით, ესაა — ღმერთი სიკეთისა; ღმერთი, რომელსაც იერუსალიმში თავყვანს სცემდნენ — ღემიურგოსი; ხოლო სამარტიელთა ღმერთი — ღმერთი ბოროტებისა, ეშმაკი. ამის შესაბამისად აღამიანებიც სამკატეგორიად იყოფიან: სულიერი, სამშენველიერი და ხორციელი.

გნოსტიკოსები წვალების ამ დონეზე არ შეჩერებულან. II საუკუნის განმავლობაში ისინი მრავალ მიმდევრობად და სექტად დაიშლნენ, რამაც ხელი შეუწყო საუკუნემდე მათ დამარცხებას. გნოსტიკოსთა მოძღვრებას ებრძოდნენ ირინეოს ლიონელი, კლიმენტი ალექსანდრიელი და ტერტულლიანე. დამარცხების მიუხედავად გნოსტიკური ტრადიციები გვიანდელ შუა საუკუნეებამდე განაგრძობდნენ არსებობას. გნოსტიციზმის ერთ-ერთი გვიანდელი ფორმაა მანიქეიზმი.

მარკიონიზმი. II ს-ში გნოსტიკოსებთან ერთად ქრისტიანულ ეკლესიას ებრძოდნენ მარკიონი და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფენი. მარკიონი იყო სინოპის ეპისკოპოსის ვაჟი. იგი ბევრს იღვწოდა საკუთარი სექტის დაფუძნებისა და გავრცელებისათვის. მართლმადიდებლური ეკლესიიდან მისი გათიშვა დაიწყო უმთავრესად ძველი აღთქმის უარყოფით.

მამამისმა, სინოპის ეპისკოპოსმა, დაწვევლა იგი ქადაგების დროს. განდევნის შემდეგ მარკიონი ბევრს მოგზაურობდა; თავის გარშემო იკრებდა თანამოაზრეებს. 144 წელს რომში დააფუძნა ანტი-ეკლესია და გამოაქვეყნა თავისი სახარება, რომელსაც ეწოდებოდა „ანტითეზა“. მარკიონი ამ

თხზულებაში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ებრაელთა ღმერთი და ქრისტიანთა ღმერთი — სხვადასხვაა, ხოლო ძველსა და ახალ აღთქმას შორის არსებობს წინააღმდეგობა (ანტი-თეზა). ახალი აღთქმიდან იგი შესაწვნარებლად თვლიდა მხოლოდ ლუკას სახარებას და პავლეს ეპისტოლეთა ნაწილს, თანაც მათ განმარტავდა თავისი მოძღვრების შესაბამისად. ამ თხზულებებიდანაც მან ამოიღო ზოგიერთი თავი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის სისტემას.

მარკიონის პოპულარობის და წარმატების საწინდარი იყო მისი ასკეტური სიმტკიცე, სანიმუშო ცხოვრების წესი, ქველმოქმედება და ა. შ. მართლმადიდებლურ ეკლესიას მძიმე ბრძოლა მოუხდა მისი მოძღვრების დასამარცხებლად.

მარკიონის მიმდევრები ერთი საუკუნის შემდეგ შეერთდნენ მეორე ანტიქრისტიანულ მოძღვრებასთან — მანიქეიზმთან.

მონტანიზმი (ერუწინასწარმეტველთა სექტა). II საუკუნეში გნოსტიციზმთან და მარკიონიზმთან ერთად ქრისტიანულ ეკლესიას ებრძოდა მონტანიზმიც (მისი მთავარი წარმომადგენლის — მონტანის სახელის მიხედვით). ამ მოძღვრების თანახმად, საღმრთო მსახურებაში უპირატესობა უნდა მიეცეს წინასწარმეტველებას და პირად შთაგონებას. ჯერ კიდევ იოანე ღმრთისმეტყველი აფრთხილებდა მორწმუნეებს, რომ ცრუ წინასწარმეტყველებისაგან შორს დაეჭირათ თავი და ასწავლიდა, თუ როგორ უნდა გამოეცნოთ ისინი, მაგრამ გამოუცდელ მორწმუნეთათვის მაინც ძნელი იყო ცრუ წინასწარმეტყველების გარჩევა ჭეშმარიტისაგან, ხოლო ჭეშმარიტი წინასწარმეტყველები ეკლესიის დიდ ავტორიტეტად ითვლებოდნენ (წინასწარმეტყველებდნენ თვით მოციქულები და სხვა ღმრთივანბრძნობილი მოღვაწენი).

II ს-ში ქრისტიანულ ეკლესიაში გაჩნდა მიმდინარეობა, რომელიც მორწმუნეთაგან მოითხოვდა ცხოვრების განსაკუთრებულ მკაცრ რეჟიმს. ეს მორალური კონცეფცია იგავებისა და წინასწარმეტყველების ფორმით ყველაზე უკეთ ჩამოყალიბდა ერმის, რომის ეპისკოპოსის-პიუს I-ის ძმის, წიგნში „მწყემსი“ (დაახლ. 140 წ.). ამას მოჰყვა მცირეაზიელი მონტანის ქადაგება და წინასწარმეტყველება (157 წ.). მონტანმა თავი გამოაცხადა „პარაკლეტად“ (ბერძნ. ნუგეშისმცემელი). მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. მისი მოძღვრება სწრაფად გავრცელდა მთელ იმპერიაში და გალიასაც მიადგია. რომში ჩამოყალიბდა მონტანისტთა, ე. წ. სულთერ ქრისტიანთა საზოგადოება. ისინი უარყოფდნენ ეკლესიას და მისდევდნენ მხოლოდ საკუთარ შთაგონებას.


ქრისტიანულმა ეკლესიამ ბევრი იზრუნა მონტანიზმთან მოსაქცევად. მათი მოძღვრების უარყოფას მიემდგვნა პირველი საეკლესიო კრებებიც, მაგრამ მონაიზმი ვრცელად ვერ იქნა დაძლეული. III ს-ის დასაწყისში მონტანიზმმა გაიტაცა და ეკლესიის მტრად აქცია ქრისტიანობის ცნობილი აპოლოგეტი ტერტულიანი.

(გაგრძელება იქნება)

შერ-მონოზონი

ეპითიგე (კოხლავაზაშვილი)





Журнал открывается Новогодним Посланием Католикоса-Патриарха всея Грузии, Илии II, в котором глава Грузинской Церкви поздравляет свою паству. Его Святейшество особое внимание уделяет вопросам духовного возрождения и совершенствования грузинского народа, необходимости взаимосвязи физического и духовного, что должно способствовать решению такой важнейшей проблемы, каковым являются сохранение мира, спасение жизни, торжество любви между народами. Здесь же говорится о священном долге родителей, что в первую очередь выражается в правильном воспитании детей.

В текущем году исполняется 80 лет со дня смерти первого после восстановления автокефалии Грузинской Церкви Патриарха Кириона II. В связи с этим журнал публикует статью Т. Джваридзе. В ней читатель ознакомится с жизненным путем Католикоса—Патриарха Кириона, с его большими заслугами перед Церковью и Родиной. В годы царизма из-за репрессии и ссылки Кириону часто приходилось жить в различных краях России. Он везде с честью носил свой крест, оставил в людях теплоту и доброе имя. К примеру достаточно вспомнить один факт: В Орлове, во время русско-японской войны он для раненых на собственные средства основал больницу—лазарет, которая в дальнейшем стала пристанищем пожилых служителей церкви. Поэтому решением Синода Русской Церкви его назвали «Кирионовским». стр. 11.

Проповеди... Учения...

В этой рубрике читатель ознакомится с учением об исповеди, также с правилами чтения псалмов Давида.

Здесь же напечатана одна глава из псалмов Давида, а также «Духовные песни» неизвестного опизского поэта X века. стр. 19.

На следующей странице журнала публикуется письмо епископа Гавриила Кикодзе к Георгию Мухран-Батони. Письмо весьма интересно по содержанию. стр. 23.

Исполнилось 20 лет со дня кончины схиигумени Теклатской обители Павсто Шушаниа.

В письме, посвященном этой дате, читатель ознакомится с жизнью этой монахини, с её заботой об упрочении Церкви Христа и пробуждении веры в народе. Здесь же публикуется её несколько личных писем, полных христианской любви. стр. 27

В журнале печатается статья под названием «Память сердца». Она касается батумской католической Церкви, которая была построена в начале нашего века Степаном Зубалашвили. Автор Г. Тоточава знакомит читателя с родословной Зубалашвили, которые находились в тесной связи с церковью. стр. 31.

Проблеме секуляризации посвящено письмо епископа Зосимы «Церковь в секулярном обществе». стр. 36.

В статье, автором которого является З. Стуруа открывается еще одна интересная страница исторических взаимоотношений Римской и Грузинской Церквей. стр. 44

Недавно из Франции был перевезён и предан дидубийской земле, прах известного ученого К. Салия. В журнале напечатано сообщение об этом событии.

В жизни нашей церкви и народа произошёл интересный факт, опубликован древне-грузинский перевод «Жизни» Святого Иоанна Златоуста. Об этом переводе и о наследии Св. Иоанна Златоуста в журнале печатается статья «Слава Господу за всё». стр. 38.


Под рубрикой «Из прошлого» в журнале напечатано слово Михако (Михаила) Церетели, произнесенное в траурные дни Ильи Чавчавадзе, 7 сентября 1907 года.

Читатель ознакомится с письмом этнографи-

ческого характера М. Тартарашвили «Новый год в Саингило». стр. 63.

Гости... В этой рубрике передано содержание беседы Католикоса—Патриарха Илии II с политическим обозревателем итальянской коммунистической газеты «Унита» Альчесте Сантини, а также с сотрудником объединенного общества Библии (Великобритания) д-р Мануилом Джинбешяном и другими. стр. 58.

В рубрике словарь и разъяснения письмо монаха Эквтиме (Кочламазашвили). стр. 65



სამეგრელოს XII ს.

JVARY VAZISA

The Cross of Vine



The journal opens with New Year epistle of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarch of All-Georgia, by which the Primate of Georgian-Church congratulates his flock on the coming New Year. His Holiness emphasises the problems of the spiritual development and perfection of the nation, the youths' religious aspiration and ecclesiasticalness, the achievements of modern technology, the necessity of intercommunication of physical and spiritual... that are the problems which have to ensure the maintenance of peace all over the world, to survive life 'to glorify love among men. His Holiness speaks about the sacred duty of parents in bringing up children; he appeals to us to live in Faith and with sincere heart, love and consent... All that will make us strong, he adds. p. 5.

„Preaching... Teachings...“ Under these headings the reader will acquaint himself with the teaching of confession and also with the rule of reading Psalms...

In the next heading the journal publishes a chapter from The Book of Psalms and „Songs of the Soul“ by unknown poet from Opiza of 10 th century. p. 19.

This year 70 years will pass since the death of worthy Cyrion II, The first Catholicos-Patriarch, after the restoration of Autocephaly, of the Georgian

Church. In this connection the journal published an article «Cyrion II — Catholicos-Patriarch of All Georgia» by T. Jvardize. The reader acquaints himself with the Catholicos-Patriarch Cyrions' life and deeds and his concern for his own church and country. In the Years of Tsarizm Cyrion was exiled several times and had to spend much time in different remote parts of Russia. He bore Cross with dignity and deserved love and unblemished reputation among common people in remote foreign parts. He always took care of common people everywhere he had to live in exile. Russian—Japanese war he founded a hospital-infirmatory for wounded which cost him 11 700 rubles. Later he made that hospital into asylum for aged ecclesiastics. According to the resolution of the Russian Synod the asylum was given the name of «Cyrionovski». p. 11.

Cyrion II's life and deeds is an example of moral purity for his native people and all the faithful.

An open letter by Bishop Gabriel Kikodze to Giorgi Mukhran-Batony is published on the next page. The prominent high-priest points out the mistakes made by his addressee in his article — «on the Essence of National Individuality and the Educational Importance of large Peoples' Units». The letter is ex-

tremely interesting as it reveals the authors civil point of view. p. 23.

Anyone who has ever been to Batumi cannot but remember the Roman Catholic temple built in Gothic style by Stephane Zubalashvili in the beginning of XX century. The family story of the Zubalashvili and their close links with church is given in the article «The Memory of the heart» by G. Totochava. p. 31.

Next comes the article «The Church in the Secular Society» by Bishop Zosime.

Twenty years have passed since the decease of Phavsto Shushania — Mother — Superior of Teklati Cloister. The life story of this worthy nun and her care for awakening Faith among people is told in the article «Undying Candles». The journal published several of her private letters full of piety and love.

The article «Georgia is always close to my heart» by Z. Sturua reveals another interesting page in the history of relationship of Roman and Georgian churches in the XVII century. p. 44.

Recently the remains of the famous scholar K. Sallia was transferred from French and committed to the

Earth in Tbilisi. The information of this fact is published in the journal. p. 48.

The journal presents the news in the life of our church and our country. Old Georgian translation of St John chrysostomos life provided with essay and glossary has been published... The article «Glory to God is devoted to this translation. p. 38.

Under the heading «The Past» the journal publishes Mikhako Tseretelis' speech delivered at the coffin of Ilia Righteous, Ilia Chawchavadze, in Tbilisi on the 7th of September 1907. p. 41.

On the next page The article «The New Year in Satingilo», by M. Tartaraschvili, is printed. 63.

«Guests»... under the heading the journal published several notes... These are: Catholicos-Patriarch Ilia IIs' talk to the member of the United Bible Societies of (Great Britain) Dr Manuel Jinbeshian, and to Alcheste Santiny — Political comentator of the Italian Communist newspaper «Unita». p. 58.

Under the Heading «Glossary and Commentaries», the article «On Heresy» , by Monk Ekvtime (Kochlamazashvili) is published.65.

დაფიქსირდა

ქვეყნის

არსებობის

ისტორიის

შედეგად

ფოტომასტიანი



1917 წელი. სექტემბრის მიწურული. ქართულმა ეკლესიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია **კირიონ II** (სამაგლიშვილი) II რიგში მარცხნიდან მარჯვნივ სხედან:

მღვდელი მელქისედეკ ფხალაძე (შემდგომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (შემდგომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი)

დეკანოზი კორნელი კეკელიძე (შემდგომ ცნობილი აკადემიკოსი, ხარისხან-განპარცვული).

ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე).

ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე); შემდგომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (სამაგლიშვილი)

ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე)

არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) შემდგომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).

.....

.....

იგუმენი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) (შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქი); პირველ რიგში მარცხნიდან მეორე — მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი. სამღვდელონი და საერონი

თბილისი. სიონის ტაძრის ეზო.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ილია II-სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. საახალწლო ეპისტოლე	5
ეპისტოლენი, ცნობები, დეპეშები	10
თ. ჯვარიძე. კირიონ II-კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა. 80 წელი გარდაცვალებიდან	11
ქადაგებანი... სწავლანი	
მცირელი სწავლება აღსარების შესახებ	19
თადეოზი — აგარაკ-წალკელი მთავარეპისკოპოსი. დავითნის (ფსალმუნის) ძალა და მისი კითხვის წესი	20
ნაშრომი განკად დაშთების	
დავით წინასწარმეტყველი. ფსალმუნი 41	22
ოპიზარი მგოსანი. გალობანი სულისანი	22
გაბრიელ ეპისკოპოსი . პასუხი გიორგი მუხრან-ბატონის წერილზე	23
სანთელნი დაუშრეტელნი	
სქემილუმენია ფავსტო (შუშანია)	27
გოდერძი ტოტონავა . ხსოვნა გულისა	31
საეკლესიო ცხოვრების ფოტო მატანე	34
ზოსიმე — წიღნეღ-ურბნელი ეპისკოპოსი. ეკვესია სეკულარიზებულ საზოგადოებაში	36
დიდება ღმერთს ყველაფრის გამო	
წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრება	38
მიხეილ (მიხაკო) წერეთელი	40
მიხაკო წერეთლის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის თბილისში ჩამოსვენების დღეს 7 სექტემბერს 1907 წელს	41
წარსულიდან	
ზ. სტურუა . საქართველო მუდამ ჩემს გულთანაა	44
შენს მიწას მიმამარეო	
დაბრუნება (კ. სალიას ნეშთის დაკრძალვა)	48
ნაშრომი განკად დაშთების	
გორისჯვრის საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვარი	50
საეკლესიო ცხოვრება	52
სტუმრები	58
მ. ტარტარაშვილი . ახალი წელი საინგილოში	63
ლექსიკონი და განმარტებანი	
ეკვთიმე (კოჭლამაზაშვილი) — შირმონოზონი . მწვადლებლობათთვის	65
რეზიუმე რუსულ ენაზე	67
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	69

ჯვარი ვაზისა № 1. 1988

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე (შოიშვილი)**

ჟურნალის რედაქტორი **თ. კობალაძე**

საქართველოს საპატრიარქო.

თბილისი. სიონის ქ. № 4. ტ. 72-04-53

ტირაჟი 3000 შეკვეთა №560

საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი. 380060. კუტუზოვის ქ. № 19

«Джвари вазиса» (Лозовый крест) № 1 1988 г.

Грузинская Патриархия

Тираж 3000. Заказ №560

Набрано способом фотонабора

Типография АН Груз. ССР. Тбилиси. 380060. ул. Кутузова 19.

ქართული ანბანი

ა	ა	ა	a	1
ბ	ბ	ბ	b	2
გ	გ	გ	g	3
დ	დ	დ	d	4
ე	ე	ე	e	5
ვ	ვ	ვ	v	6
ზ	ზ	ზ	z	7
თ	თ	თ	t	8
ი	ი	ი	i	9
კ	კ	კ	k	10
20	4	ა	ჰ	20
30	თ	მ	ლ	30
40	ა	მ	ნ	40
50	ნ	ნ	ო	50
60	ო	ო	პ	60
70	უ	მ	ო	70
80	უ	პ	პ	80
90	ყ	ც	ჭ	90
100	ღ	წ	ც	100

ს	ს	ს	s	200
300	რ	ო	ტ	300
ყ	ყ	ვ	ყ	
400	ყ	უ	უ	400
500	ფ	ფ	ფ	500
600	ქ	ქ	ქ	600
700	ჩ	ჩ	ჩ	700
800	ც	ც	ც	800
900	ც	ც	ც	900
1000	ხ	ხ	ხ	1000
2000	ც	ც	ც	2000
3000	ძ	ძ	ძ	3000
4000	წ	წ	წ	4000
5000	ს	ს	ს	5000
6000	ე	ე	ე	6000
7000	ყ	ყ	ყ	7000
8000	ჯ	ჯ	ჯ	8000
9000	ღ	ღ	ღ	9000
10000	ჭ	ჭ	ჭ	10000

